ლიტერატურული გაზეთი

№12 (364) 21 ივნისი - 4 ივლისი 2024 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით ფასი 80 თეთრი

ქეთი გზირიშვილი

ოდესმე ყველა მიიღებს პასუხს

მერცხალს,
რომელიც სითი მოლის ჰოლში დაფრინავს

ვერ გააგრძელე გზა ზამთრიდან, სადაც ჩაგტოვეს
ვერ გააგრძელე გზა ზამთრიდან, სადაც ჩაგტოვეს
ვერ გააგრძელე გზა ზამთრიდან, სადაც ჩაგტოვეს
და ვერც გაზაფხულს ვერ იხილავ,
რადგან ცაში ხარ

აწყდები კედლებს, საიდანაც ჩანს სხვა ჩიტები
აწყდები კედლებს, საიდანაც ჩანს სხვა ჩიტები
აწყდები კედლებს, საიდანაც ჩანს სხვა ჩიტები
როგორ მიდიან თბილ ქვეყნებში,
როცა ცაში ხარ

წივი და იწყებ ისევ იმ გზას, რაც ჩაიარე
წივი და იწყებ ისევ იმ გზას, რაც ჩაიარე
წივი და იწყებ ისევ იმ გზას, რაც ჩაიარე
იქნებ იპოვო კარი ცაში,
ვიდრე ცაში ხარ

ოდესმე ისე დაბლა იფრენ, ისე ჩამოხვალ
ოდესმე ისე დაბლა იფრენ, ისე ჩამოხვალ
ოდესმე ისე დაბლა იფრენ, ისე ჩამოხვალ
რომ მიწა გეტყვის, ჩიტო ჩემო,
უკვე ცაში ხარ

IV

ნინო გუგეშაშვილი

კლოსი

დღეს გავაცილეთ ბაქოელი ახლობლები რკინიგზის სადგურში. ჰოდა, სანამ ქალები ერთმანეთს ვემშვიდობებით ბაქანზე და ვჟიჟინებთ, შალვა დადის მოკლე ბოლთებით და სადღაც გვერდულად იყურება, ანათებს თვალებს.

გავიხედე — გამცილებელს რაღაცას სთხოვს ზურგჩანთიანი ქერა ტურისტი, ორმეტრიანი ბიჭი, და შალვას იმათკენ აქვს ყურადღება.

მივუგდე ყური — ტურისტი ევედრება, ვიზა გაუკეთებია, კისრისტეხით გამოქცეულა სალაროსკენ, სალაროში კი ბილეთს არ აძლევენ, მატარებლის გასვლას 10 წუთი რომ დააკლდება, ბილეთებს აღარ ვყიდითო.

ბიჭს ფულიც აქვს, დოკუმენტებიც წესრიგში, მატარებელში ადგილები არის და მაინც არ უშვებენ. ჩვენთან მატარებელშიც იყიდება ბილეთებიო, ლამის ატირდეს, გაწითლებულია, ას ევროს იხდის, ოღონდ შეუშვან.

არაო, რუსულენოვანმა „პრავადნიცამ“, არ შემიძლიაო.

დაიძრა მატარებელი, ეს ტიპი მიჰყვება და ისევ ემუდარება, შალვაც მიაცილებს, აკვესებს თვალებს, გიჟები არიანო, კაცს ფული აქვს, საბუთები აქვს და არ მიჰყავთო, მე მომიბრუნდა.

წავიდა მატარებელი. ტურისტი დადგა, კანკალებს ნერვიულობისგან. მიადგა შალვა, წამოდი სალაროშიო, წაიყვანა სირბილით, მეც დავედევნე. ბილეთი მიეცით ამას ბაქოს მატარებელზეო, შალვა ეუბნება. მოლარემ, ბაქოს მატარებელი უკვე გავიდაო. გარდაბანში ხო დგას ერთი საათი, ჰოდა, გარდაბნიდან მომეცით ბილეთიო. ეეე, მივხვდი, რაც მოიფიქრა, შევუტიეთ ამ მოლარეს, შენ რა გინდაო, შალვამ, მოასწრებს, თუ ვერ მოასწრებს, ეს ამის პრობლემააო, ბილეთი მოგვეცი, იქაც 10 წუთი ხომ არაა დარჩენილიო. გარდაბნიდან მატარებლის გასვლამდე 2 საათი იყო დარჩენილი და უფლება არ ჰქონდათ, არ გაეყიდათ.

გაგვიფორმა ბილეთი გაშტერებულმა მოლარემ, თან ბუზღუნებდა, ეგ გერმანელები ისეთი ცივები არიან, გერმანიაში ჩვენ რო ჩავდივართ, ცივად გვექცევიანო. მოკლედ, ავიღეთ ბილეთი.

ამ ტიპს ისე უნდოდა წასვლა, აი, შონ პენი რო მოხვდება სადღაც ჩიხ ქალაქში და ვეღარ გააღწევს, ისეთ დღეში იყო. დაგვყვებოდა ხბოსავით, გვენდობოდა, არც უკითხავს, ვინ ხართო, ოღონდაც წასულიყო.

მოკლედ, ცოტა რუსული იმას ესმოდა, ცოტ-ცოტა გერმანულ-ინგლისურ-პოლონური ჩვენ, შეანახვინა ის თავისი 100 ევრო შალვამ, ბენზინი ჩამისხი და წავედით გარდაბანშიო. ჩვენი სამყოფი ბენზინიც ძლივს გვქონდა, ბოდიში უხადა, არ ჩაგასხმევინებდიო. ასე ამოვყავი თავი გარდაბანში.

პოლონური წარმოშობის ფრანკფურტელი აღმოჩნდა, მისი მშობლიური ქალაქის (რაღაც პატარა პოლონური ქალაქი დაგვისახელა, კრაკოვთან ახლოს) ფეხბურთის გუნდი თავის ისტორიაში პირველად გავიდა რომელიღაც ლიგაში თურმე, გუშინ აქ ითამაშა და ხვალ ბაქოში თამაშობსო, გუნდს დავყვები და ვგულშემატკივრობო. ცუდად თამაშობს, მაგრამ მე მაინც ვგულშემატკივრობო. აი, გულშემატკივარიო, შალვამ, კაი კაცი ხარ შენო. გამონახეს გზაში საერთო ენა — კობიაშვილიც იცოდა, იაშვილიც. რუსთავის ციხეს რომ ჩავუარეთ, საერთოდ გაიბადრა, კოშკურაზე მიგვითითა, მეც გუშაგად ვმუშაობ გერმანიაშიო. იქ ციხეში გინდა ინსტიტუტს დაამთავრებ, გინდა სპორტს მისდევ, გინდა შენი რელიგიის მიხედვით სერვისს მოითხოვო, თუ მუსულმანი ან ებრაელი ხარ, მენიუში ღორის ხორცს შეგიცვლიან ძროხის ხორცითო. მოკლედ, დავეწიეთ გარდაბანში მატარებელს, სიხარულით ფეხზე ძლივს იდგა. მე ვუთხარი შალვას, პრინციპში, წითელ ხიდამდეც რო წასულიყო ტაქსით, შეიძლებოდა-მეთქი. რა ტაქსით, ნინოო, ნახე, რა ბოთესავით ეჭირა ფულიო? აქეთ ეს ტაქსისტები გაწეწავდნენ, იქით აზერბაიჯანელები, თან მატარებელი კარგია, გამოიძინებსო.

ეს ჩვენი თბილისში ხელდაქნეული, გადაკოცნილი და ყველა წესის დაცვით გაცილებული სტუმრები ფანჯრის მინაში კინაღამ გამოდნენ გაოცებისგან, გარდაბანში ისევ რომ დავადექით და მივუკაკუნეთ. ბაქომდე ასე უნდა გდიოთ და ხელი გიქნიოთო, შალვამ უთხრა.

მოკლედ, ჩავაბარეთ იქ ტურისტი საჭირო ხალხს და წამოვედით. ვერ აღვწერ, როგორი კმაყოფილი დარჩა, ფრენით გაჰყვა მებაჟეებს.

გზაში შალვას ვუთხარი, სახელი მაინც გვეკითხა-მეთქი.
რა ფეხებად მინდა მაგის სახელი, კლოსი ერქმეოდაო.
კი ჰგავდა კლოსს.

VI-VII

თემურ გაბუნია

უკანასკნელი მსხვერპლშეწირვა

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან „სიკვდილის ცეკვა“

ყოველთვის მაოცებდა ებრაელი ერის მეხსიერება. ბიბლიის შემქმნელ ხალხს კარგად ახსოვს არა მხოლოდ ის, თუ რამდენი სული გადაასახლეს იუდეიდან ბაბილონში, არამედ იმ ოქროსა და ვერცხლის ბარძიმების, დანებისა და ლანგრების რაოდენობაც, სპარსთა მეფემ, კიროსმა 2600 წლის წინ რომ გადასცა ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნებულებს. ჩვენ, ქართველებმა კი ბევრი არაფერი ვუწყით არათუ ნივთების, არამედ ქართლ-კახეთის სამეფოს დიდ სახელმწიფო ბეჭედზე გამოსახული სიმბოლოების შესახებაც. ბევრმა არ იცის, რას აღნიშნავს ქართლის გერბზე ალმოდებული მთა ორი გადაჯვარედინებული ისრით. ისტორიკოსთა აზრით, ეს ჰერალდიკური ნიშანი ამირანის ემბლემური გამოსახულებაა. მაგრამ რომ ჩაეკითხოთ, რომელ მთას ესროლა ცეცხლოვანი ისრები და რა უძღოდა წინ ამ მოვლენას, ვერ აგიხსნიან. ეს ბუნებრივიცაა, რადგან წარმართმა ქურუმებმა ყველაფერი გაასაიდუმლოვეს. ისინი სათქმელს იგავებით გადმოსცემდნენ. ვითომცდა პრომეთემ ღვთაებრივი ცეცხლი მოსტაცა ზევსს, ამირანმა კი ღრუბელთბატონს — უკარო, კვერცხის მსგავს კოშკში გამოკეტილი ასული, ყამარი. საგულისხმოა, რომ ღრუბლებთანაა კავშირში წვიმა და ელვა. ინდუიზმში პრომეთე-ამირანის ტყუპისცალი შივა ცეცხლს სტყორცნის წმინდა მთა მერუს, რადგან მსხვერპლშეწირვაზე არ დაპატიჟეს. რა აკავშირებს ამ სამ მოვლენასა და ადამიანს? იქნებ პრომეთე, ამირანი და შივა ერთი პიროვნებაა, რომლის ქმედებებიც სხვადასხვა მისტიკური ნიშნით გადმოსცეს განსხვავებული ტრადიციისა და სკოლის მიმდევარმა ქურუმებმა? ან რას მოასწავებს წმინდა მთისკენ ალმოდებული ისრების გასროლის წინ დიად დედად წოდებული სატის ცეცხლში ჩახტომა ინდუიზმში? რაღაც წარღვნის მსგავს კატასტროფას ხომ არა?

სწორედ ამ კითხვებზე პასუხის გაცემას ვცდილობ თხზულებაში „სიკვდილის ცეკვა“, რომლის ნაწილიცაა მოთხრობა „უკანასკნელი მსხვერპლშეწირვა“.

ავტორი



ქმართან ხანგრძლივი და დამღლელი კამათის შემდეგ გადაწყდა, შემოდგომის ბუნიობის დღესასწაულამდე რამდენიმე კვირით ადრე სამასი რჩეული მხედრის თანხლებით ოქროსფერი მთისკენ უნდა გამგზავრებულიყო. კარგად ახსოვდა, როგორ უთხრა აღელვებულმა ტაოს მბრძანებელს, სოფლელ ბიჭსაც შეუძლია ქალების წინაშე ტრაბახი, თუ უკვე გაქვს დამანგრეველი იარაღი, გამოიყენე, თორემ ხომ ხედავ, დიადი გამარჯვების ნიშნად ოქროსფერ მთაზე გასამართ საზეიმო მსხვერპლშეწირვაზე არც მიგიწვიეს, არ გკადრულობენ. არადა, შენ უნდა გწირავდნენ მსხვერპლს, კრავიც შენ უნდა დაგიკლან, ხარიც და ცხენიც, რადგან შენ გადაარჩინე, ომი შენ მოაგებინე იმ ლაჩრებს, ამბოხებული ტიტანების ხსენებაზე შარვლებში რომ ეპარებოდათ...

ქმარს არაფერი უთქვამს, თუმცა გაუკვირდა, იქ, ჩრდილოეთში, ხომ ყამარის მშობლებიც ცხოვრობდნენ, რომლებიც იარაღის გამოყენების შემთხვევაში დაიწვებოდნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ შეწყვეტილი დიალოგი გაგრძელდა. ყამარს, ეტყობა, აზრი შეეცვალა. ახლა სთხოვდა, ჩრდილოეთში ერთად წავიდეთო.

— მე იქ ვერ წამოვალ, მკვლელს დამიძახებენ. ერეგიელში ჩრდილოეთის საუკეთესო შვილები ჩავმარხე. ცეცხლოვანი იარაღი გამოიყენეო, მეუბნები, მართლა რომ გამოვიყენო, შენი მშობლებიც ხომ დაიწვებიან?! მამაშენი სარდლად დაუნიშნავთ, წინა ხაზზე აყენებენ, მის გამო სხვებიც რომ დავინდო... — უპასუხა მაშინ გაღიზიანებული ხმით.

— თუკი ასეა, წასვლა უფრო მმართებს, მამა რომ გადავარწმუნო, იქნებ აზრი შევაცვლევინო და ვაიძულო, გაღიაროს ჩემს ქმრადაც და მეფედაც, მაშინ ყველაფერი მშვიდობიანად მოგვარდება.

— თუ შენსას არ იშლი, წადი. ოღონდ დაცვის გარეშე ვერ გაგიშვებ.

ასეც გადაწყდა. ყამარი რჩეული მხედრების თანხლებით ოქროსფერი მთისკენ უნდა გამგზავრებულიყო. თუმცა წასვლის წინ დედოფალმა უცნაური სიზმარი ნახა. ვითომ ბავშვი იყო და სასახლის ბაღში თავისი საყვარელი თოჯინით თამაშობდა. უცებ თოჯინა შეიცვალა, ენა გადმოაგდო, ქვედაკაბა სადღაც გაუქრა, მის ნაცვლად კი ქამარზე მოკლულ ადამიანთა მოჭრილი თავები და მკლავები ჩამოეკიდა.

ყამარი შეშინდა. სიზმარი მოახლეს გაანდო. ესთერი ეხვეწებოდა, ნუ წახვალ, ჩრდილოელები არ დაგინდობენო. ერთხანს ყოყმანობდა, თუმცა წასვლით მაინც წავიდა...

ხმები ტაოს დედოფლის სტუმრობის შესახებ დედაქალაქში უფრო სწრაფად ჩავიდა, ვიდრე — თვითონ ყამარი. ეტლში თვინიერი ცხენები შეებათ, მგზავრობას რომ არ შეეწუხებინა. დედოფალი სარკმლიდან ხშირად იყურებოდა, თუმცა სანუგეშოს ვერაფერს ხედავდა. ხანგრძლივ გვალვას ქვეყანა გაეუდაბურებინა, ბალახი ამოსვლას იგვიანებდა. ხეები და ბუჩქები ალაგ-ალაგ გამხმარიყო. მთებზე შარშანდელ ხანძრებს ფიჭვების დიდი მასივები გადაეწვა. გაძვალტყავებული ძროხები ძლივს დალასლასებდნენ. ჯარისკაცები გლეხებს ღრმა ჭების ამოთხრაში ეხმარებოდნენ. ბავშვებს წაგრძელებული ავადმყოფური სახეები ჰქონდათ. გზებზე ქარავანს ჩამორჩენილი მკვდარი სახედრები და ჯორები ეყარა. მათ ლეშებს ყორნები ძიძგნიდნენ, ნარჩენებს კი დიდი წითელი ჭიანჭველები და მწვანე ბუზები შესეოდნენ. თვით მდიდარი ვაჭრებიც კი, ქარავნებს რომ მიუძღოდნენ, მოწყენილები ჩანდნენ. მათ ბევრი ფული, ოქრო-ვერცხლი და თვალ-მარგალიტი ჰქონდათ, წყლის მარაგი კი — ცოტა. ამარანტოშიცა და ნიფურშიც ჭებთან გრძელი რიგები იდგა. გლეხები ამბობდნენ, ჰავა მთელ ქვეყანაში შეიცვალა, დაცხა და ტყის ხანძრებმაც იმატაო. ზაფხული იწურებოდა. მხუთავი სიცხე მიწას აშრობდა, გვალვას ველებზე ნაპრალები გაეჩინა. ადამიანები ძველ, მამაპაპისეულ სოფლებს ტოვებდნენ და ახალ ადგილებს ეძებდნენ დასასახლებლად. ეტლის ფანჯრიდან მოჩანდა ნასახლარები და ნასოფლარები. ყამარი არსად შეჩერებულა, ის რაღაც უცნაურ მოუსვენრობას შეეპყრო. ყველანი რაღაც დიადის მოლოდინში იყვნენ. ყამარს ვერ წარმოედგინა, როგორ ეგუებოდნენ განცხრომასა და ფუფუნებას ნაჩვევი დიდებულები საყოველთაო გაპარტახებისგან გამოწვეულ სირთულეებს, შიმშილსა და უღიმღამო ცხოვრებას. ხალხის სახეზე ღიმილი გამქრალიყო.

დედაქალაქის მისადგომებთან დაცვის მეთაური შედგა, გალავანთან რაღაც ხდებოდა. ყამარი ეტლიდან გადმოვიდა და მოუთმენლად დაუწყო ლოდინი მალემსრბოლის დაბრუნებას, რომელიც ამბის გასაგებად გაგზავნეს. მალე აღელვებული დაბრუნდა, დედაქალაქის კარიბჭესთან მშვიდობიანი მოქალაქეები შეჯგუფულიყვნენ. მათ ხელში შავი დროშები და უზარმაზარი თოჯინები ეჭირათ, რომლებსაც დედოფლის გარეგნობა ჰქონდათ, ოღონდ ქვედაკაბის მაგივრობას ქამარზე დაკიდებული მოჭრილი თავები და მკლავები უწევდათ. ერთგან წარმოდგენაც იმართებოდა, ყამარისსახიან ტიკინას ერთ ხელში თასი ეკავა, მეორეში კი — მახვილი. მას გვერდით ამირანს მიმსგავსებული თოჯინა ედგა მრისხანე გამომეტყველებით, ვეფხვის ტყავითა და თავზე გვირგვინით. დედოფალი ქმარს ევედრებოდა, ეს თასი მტრის სისხლით ამივსეო. აგზნებული ხალხი მთელი ხმით გაკიოდა:

— მკვლელებო, შორს ჩვენი ქალაქიდან! სისხლისმსმელებო, არ გაბედოთ ოქროსფერ მთაზე ასვლა! თქვენ გამო შვილები დავკარგეთ, თქვენ გამო ღმერთი წვიმას აღარ გვიგზავნის!

მალემსრბოლი შეშფოთებული ჩანდა. ის დედოფალს ურჩევდა, შემოვლითი გზით წასულიყვნენ. მცირეოდენი ფიქრის შემდეგ დედოფალი დათანხმდა.

ოქროსფერი მთა უკანასკნელ მართალ წინასწარმეტყველ იოავანს მიეტოვებინა. ის იმავე ღამეს გაუჩინარდა, როგორც კი მახლობელი სენაკები მაგლი სინ-ანდულის მიმდევარმა ქურუმებმა დაიკავეს. მთის მისადგომები ახლა სამხედრო ბანაკს დამსგავსებოდა. როგორც ჩანს, მაგლი ფიქრობდა, რომ ამ წმინდა ადგილის დალაშქვრას სამხრეთელები ვერ გაბედავდნენ. ამიტომ მისთვის თავი შეეფარებინათ არა მხოლოდ ქურუმებს, არამედ დიდებულებსაც და ვაჭრებსაც. დედაქალაქში მხოლოდ უბრალო ხალხი დარჩენილიყო. მთას რჩეულ მებრძოლთა გარნიზონი იცავდა, ფერდობებზე კი მდიდრული კარვები გაეშალათ. გიხონის ვიწრო ხეობასთან საგუშაგო კოშკი აეგოთ, მოშორებით კი — დიდი ციხესიმაგრე. როგორც ყველაფრიდან ჩანდა, ყამარს სამასი მეომრით ოქროსფერ მთაზე არავინ აუშვებდა. ერეგიელის განადგურების შემდეგ სამხრეთელებს აღარ ენდობოდნენ. საჭირო იყო მოლაპარაკება.

მალე მალემსრბოლმა ახალი ამბავი მოიტანა. ყამარს მხოლოდ ათი პირადი მცველის თანხლებით აუშვებდნენ წმინდა ადგილის მოსალოცად, თანაც ღამით უნდა ემგზავრათ, რათა არავის ეცნო. მიზეზად ხალხისგან მომდინარე საფრთხეს ასახელებდნენ. დედაქალაქიდან ამირანის მიერ ცეცხლისმფრქვეველი ლახტით გადამწვარი ერეგიელელთა ნათესავები თუ დაიძრნენ, მათ მალე მთელი მოსახლეობა აჰყვება და სამხრეთის დედოფლის დაცვაც გაგვიჭირდებაო, თავს იმართლებდა გარნიზონის უფროსი. ყამარმა მამასთან შეხვედრა მოითხოვა, არქელაოსთან კაცის გაგზავნას კი დრო სჭირდებოდა. ასე რომ, სამასეულის მეთაურმა გადაწყვიტა, ოქროსფერი მთის სიახლოვეს დაბანაკებულიყვნენ.

ღამით დედოფალი უცნაურმა ხმაურმა გააღვიძა. კარვის სიახლოვეს რაღაც ჩოჩქოლი ამტყდარიყო. მათ ბანაკს დედაქალაქიდან ჩამოსული მშვიდობიანი მოქალაქეები უახლოვდებოდნენ. ყამარის დანახვაზე მათ შავი დროშები ააფრიალეს და აყვირდნენ: „შორს ოქროსფერი მთიდან, იქ მკვლელების ადგილი არაა! სამხრეთის დედოფალო, შენს მეფესთან წადი!“ უცებ ხალხს რამდენიმე მსახიობი გამოეყო, რომლებსაც ხელში მოზრდილი თოჯინები ეჭირათ და წარმოდგენის გამართვა დაიწყეს. სამასეულის მეთაურს ისინი ეცნო, ეს სწორედ ის ხალხი იყო, დილით დედაქალაქის კარიბჭესთან რომ ნახა.

ქალი ყამარისსახიან თოჯინას ატრიალებდა და გაკიოდა: „სისხლი მომაკლდა, ჩრდილოელთა სისხლი. კიდევ მომიყვანეთ დაჭრილები. მინდა, მათი სისხლი ენით ავლოკო!“ მალე თოჯინა დაბზრიალდა, ქამარზე ქვედაკაბასავით ჩამოკიდებული ხისგან გამოჩორკნილი თავის ქალები და მკლავები აჩხარუნდა. გრძელი ენა ნიკაპს ქვემოთ ჩამოვარდნოდა. მარცხენა ხელში თასი ეჭირა, მარჯვენაში — მახვილი. ამირანის მრავალხელიანი თოჯინაც შეირხა და შუბი შემართა. გაისმა მამაკაცის ხრინწიანი ხმაც: „ახლავე, სამხრეთის დედოფალო, ახლავე შემოგწირავ მსხვერპლს და თასსაც სისხლით აგივსებ“. სხვა მსახიობებმა ყამარისსახიან თოჯინას ფეხქვეშ ადამიანთა მოკვეთილი თავები დაუწყვეს, სამხრეთის დედოფალი აცეკვდა...

იმ ღამეს ყამარმა მტკიცედ გადაწყვიტა, მამა შემოერიგებინა, თუკი უარს ეტყოდა, მაშინ თვითონვე დაესწრებოდა მსხვერპლშეწირვას და არქელაოსსა და მაგლის ომის გაჩაღებაში ამხელდა, საჯაროდ ამხელდა იქ, ოქროსფერ მთაზე, სამსხვერპლო კრავისთვის დანთებულ კოცონთან. „სწორედ ასე მოვიქცევი“, — გაიფიქრა ყამარმა და ოქროსფერი მთის მწვერვალს შეაცქერდა, რომელსაც თავზე შავ ღრუბლებში გახვეული მთვარე დასდგომოდა...

„მე, უკანასკნელი ჟამის ქურუმი იონა, შევესწარი, როგორ დასცინოდნენ თვით საკუთარი და-ძმებიც კი... ას ოცი წელი აგებდა კიდობანს და ას ოცი წელი დასცინოდნენ დიდებულნიც და მდაბიონიც, ბავშვებიც და მოხუცებიც... მე, უკანასკნელი ჟამის ქურუმი იონა, მოვესწარი იმ ადამიანის აღზევებასაც, რომელსაც ყველანი ღვთაებრივ მწყემსს ვეძახდით და რომელიც ბოლოს მორწმუნეთა ნაწილმა მბრძანებლად (ამირანად) აღიარა, მეორე ნაწილმა კი — უკვდავად და ღმერთის დარი პატივი მიაგო, მან დაუშვა, ტაძრებში მისი კერპები აღემართათ, ქურუმებს კი ნება მისცა, მრავალღმერთიანობა დაემკვიდრებინათ“, — ფიქრობდა იონა და იმ ღვთაებრივ მოხუცს იხსენებდა, გაზაფხულის ბუნიობის დღესასწაულამდე სამი დღით ადრე რომ მოევლინათ. დიახ, პირველად საჯაროდ სწორედ ოქროსფერი მთიდან ჩამოსულმა დიდმა წინასწარმეტყველმა, უხუცესმა იოავანმა ამხილა მწყემსი და მისი მოწაფეები. ღვთაებრივი მოხუცი ამბობდა, რომ იქნებოდა მიწისძვრები, გვალვები და ეპიდემიები ადამიანთა დასასჯელად, ვიდრე ისინი ეთაყვანებოდნენ კერპებს. ხოლო როცა ამოიწურებოდა უფლის მოთმინება, ქვეყნიერებას საშინელი წარღვნა მოევლინებოდა.

მწყემსის ნამოწაფარს მშვენივრად ახსოვდა ის დღე, როდესაც მოხუცი და ამირანი ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ტაძრის წინ, მოედანზე. მათ სანახავად უამრავი ხალხი შეკრებილიყო. მშობლებს პატარა ბავშვები მხრებზე შეესვათ, რათა უკეთ დაენახათ ბრძენკაცი, ხელჯოხით რომ მიიკვლევდა გზას ტაძრისკენ.

— მე შენზე ძლიერი ვარ, — უთხრა მოხუცს ამირანმა, — რადგან შემიძლია, ის ოქროსფერი მთა, სადაც შენ მთელი შენი ცხოვრება ლოცულობდი, ერთ დღეში გავაქრო.

მაშინ ღვთაებრივმა სტუმარმა ხელჯოხი მიწაში ჩაასო და უთხრა:

— შენ შეიძლება ოქროსფერი მთა დაფშვნა, მაგრამ ვერ შეძლებ, ამოძირკვო ის პალო, რომელიც მე ახლა ჩავასე.

ამირანი პალოს დაეჯაჯგურა და ძვრაც ვერ უყო. მაშინ მწყემსის ნამოწაფარიც მიხვდა, რომ მოხუცი სიცოცხლის ახალ ხეზე საუბრობდა...

„მე ახლა თვალი ამეხილა და სინანული ვიგრძენი, მაგრამ უკვე ყველაფერი გვიანაა, ცა ლამის ჩამოიქცეს, მიწის ნაპრალებს პირი დაუღიათ და წყლის ჭავლებს შეუჩერებლად აფრქვევენ, რათა ყველაფრის კვალი წაშალონ, რაც ადამიანის ამპარტავან გონებას შეუქმნია, ახლა მე, უკანასკნელი ჟამის ქურუმ იონას, მსურს, ყველაფერი თიხის ფირფიტაზე აღვბეჭდო, რაც წარღვნის წინ მასთან ერთად თავს გადაგვხდა... მაგრამ არ ვიცი, მოვასწრებ თუ არა, რადგან წყლის ხმაური მატულობს, ჟამთააღმწერლებს კი ხელები უშეშდებათ...“

იონამ საკუთარი ნაწერის კითხვა შეწყვიტა, რადგან ოქროსფერ მთაზე გამართული მსხვერპლშეწირვა დაუდგა თვალწინ. „არქელაოსის სიჯიუტემ და გულქვაობამ გადაწყვიტა ქვეყნიერების ბედი, თუმცა ყამარის მამა არ უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი და თავისუფალი პიროვნება, ის მძევალი იყო ქურუმთა ხელში...“ — ჩაწერა მან თიხის ფირფიტაზე და იმის წარმოდგენას შეეცადა, თუ რა საუბარი უნდა გამართულიყო ყამარს, ქურუმ მაგლისა და არქელაოსს შორის.

მას შემდეგ, რაც მამისგან პირად შეხვედრაზე უარი მიიღო, ყამარმა მტკიცედ გადაწყვიტა, შემოდგომის ბუნიობაზე ოქროსფერ მთაზე ასულიყო. ოციოდე დღეს იქვე, ფერდობზე გაშლილ კარავში გაატარებდა, მერე კი დაცვის უფროსისა და ორი პირადი მცველის თანხლებით წმინდა ადგილს მოინახულებდა. ლოცვასა და დღიურების წერაში დრო მალე გავიდა, დადგა დღე, რომელსაც ატლანტიდელთა მომავალი უნდა გადაეწყვიტა, ის კი სწორედ ერთი ოჯახის წევრების შერიგება-არშერიგებაზე იყო დამოკიდებული. ოქროსფერი მთის მწვერვალის პატარა მოედანზე, მართალი იოავანის დაცარიელებულ სენაკთან სამსხვერპლო კრავისთვის განკუთვნილი კოცონი დაენთოთ. აღმოსავლეთით რჩეულ ქურუმებს მოეყარათ თავი, სამხრეთით — დიდებულებს, დასავლეთით — ვაჭრებს, ჩრდილოეთით კი — გლეხებს. ეს რიტუალი სიმბოლურად განასახიერებდა ქვეყნის ოთხ კუთხესა და კასტას, რომლის შუაგულშიც ჯვარზე უნდა დაეკიდათ სამსხვერპლო კრავი. როდის იღებდა ეს რიტუალი სათავეს, აღარც ახსოვდათ, მაგრამ მას მაინც აღასრულებდნენ გაზაფხულისა და შემოდგომის ბუნიობებზე, იმის მიუხედავად, რომ კასტათა შორის სხვაობა თითქმის წაშლილიყო. ხავერდოვანი რევოლუციის შემდეგ უკვე ქურუმებიც ქორწინდებოდნენ დიდებულთა და ვაჭართა შვილებზე, ხოლო დიდებულებს ხანდახან არათუ ვაჭრების, გლეხების ასულებიც მოჰყავდათ ცოლად.

ყამარის გამოჩენამ კოცონის ირგვლივ შეკრებილი საზოგადოება აახმაურა. თუმცა ჩოჩქოლი მალე შეწყდა და ყველანი სამხრეთისკენ მიმავალ დედოფალს შეაცქერდნენ, რომელიც მამამისისკენ მიემართებოდა. არქელაოსი დიდებულთა ჯგუფს გამოეყო და ცივად მიესალმა დიდი ხნის უნახავ შვილს. ყამარი შეშფოთდა, მამა გარეგნულადაც შეცვლილიყო, გამხდარი ეჩვენა, სახის ნაკვთები კი ნაგრძელებოდა, რაც მკაცრ გამომეტყველებას ანიჭებდა.

— რას მივაწეროთ თქვენი აქ გამოჩენა? — იკითხა არქელაოსმა ისე გულგრილად, თითქოს ვერც ხვდებოდა, რას უნდა შეხებოდა საუბარი.

— აქ პირადი საქმისთვის არ მოვსულვარ, ომის შეჩერება და დაზავება მსურს, თუმცა თქვენთანაც მაქვს ერთი კითხვა, როგორც მამას, წესით, ჩემი ტყვეობიდან გამოხსნა უნდა გაგხარებოდათ, — თვითონაც თქვენობით დაიწყო საუბარი ყამარმა, — წესით, მშობლიური გრძნობებიდან გამომდინარე, თუკი ისინი ჯერ კიდევ შეგრჩენიათ, უპირველეს ყოვლისა, იმ ადამიანისთვის უნდა გადაგეხადათ მადლობა, ვინც გრძნეულთა კუნძულიდან დამიხსნა, უბრალოდ, მადლიერების ნიშნად. ის კი მსხვერპლშეწირვაზე არც მიიწვიეთ?!

— მერედა, რატომ დაასკვენით, რომ მადლიერი ვარ შვილის დაბრუნებით? იქნებ სჯობდა, გრძნეულთა კუნძულზე დარჩენილიყო და არ დაქორწინებულიყო ტიტანთა ნაშიერზე? ახლა კი ის გოგონა, რომელიც ჩემს შვილად მიიჩნევს თავს, აქ ამობრძანდა, რათა ღვთაებრივი რა, როგორც თვითონ უწოდებს, მის ქმრად და მეფედ ვაღიარო, იმას კი ვერ ხვდება, რომ უკვე თვითონაც აღარ მიმაჩნია შვილად.

— კი მაგრამ, რითი დაიმსახურეს ტიტანებმა ასეთი სიძულვილი? ან რატომ არ მოიწვიეთ დიადი გამარჯვების აღსანიშნ მსხვერპლშეწირვაზე? ამ ომს ხომ ღვთაებრივი რას გარეშე ვერ მოიგებდით? — იკითხა ყამარმა.

— მიზეზი მარტივია, — ტუჩები ზიზღით დაებრიცა არქელაოსს, — წმინდა მთაზე მისი ადგილი არაა. თქვენ ბავშვობიდანვე მონაწილეობდით ჩვენს ოჯახში გამართულ სამსხვერპლო რიტუალების მომზადებაში. მსახურებთან ერთად ბაღში გადიოდით სურნელოვანი ყვავილების მოსაკრეფად. თვითონაც ყრიდით მათ სამსხვერპლო კოცონში, სტუმრების მიღებაშიც გვეხმარებოდით. გეკითხებით, ოდესმე ვინმე მოგვიწვევია გაზაფხულისა და შემოდგომის ბუნიობის დღესასწაულებზე, შეითების გარდა?! არა! მით უმეტეს, უდიდესი მკრეხელობაა კაენის შთამომავლის მოწვევა ამ წმინდა მთაზე, რადგან კაენმა ძმა სწორედ აქ მოკლა, მერე კი შორიელთა ქვეყანაში გადაიხვეწა. მას შემდეგ შორიელთა ფეხი ოქროსფერ მთაზე არც დადგმულა. როგორ უნდა მოგვეწვია აქ კაცი, ვინც დედის მხრიდან თუბალ-კაენის მოდგმიდანაა?!



— კი მაგრამ, ის ხომ შეითთა მეფის, ბაალის ძეცაა? — შეაწყვეტინა ყამარმა.

— დიახ, ეს ასეა. სამწუხაროდ. ის ჩვენი მეფის ძეცაა, ბაალი კი სწორედ პრომეთეს დედამ გაჩხიბა თავისი ჯადოსნობით, იმ ქალმა, რომელსაც ახლა გაიაში ქალღმერთ დალის უწოდებენ, შუა ქვეყანაში კი — თემიდას, — ჩაერთო საუბარში ქურუმი მაგლი, რომელიც ყამარის გამოჩენისთანავე მთავარ ჯგუფს გამოეყო და არქელაოსს ამოუდგა მხარში.

— როგორ უნდა მოგვეწვია აქ? — განაგრძო ქურუმმა, — ეს ჩვენი წინაპრების შეურაცხყოფა იქნებოდა. წმინდა ადგილებში აღსრულებულ მსხვერპლშეწირვას უხილავად იმ შვიდ ბრძენკაცთა სულებიც ესწრება, რომლებმაც ოდესღაც ატლანტთა შვიდი ქალაქი დააფუძნეს და საფუძველი ჩაუყარეს ჩვენს მოძღვრებას. შენ ამით უნდა ამაყობდე, ყამარ, რადგან შენი მოდგმა სწორედ ერთ-ერთი ბრძენისგან, დიდონის დამაარსებლისგან იღებს სათავეს.

— ვიცი, რატომ არ გსურთ მისი მსხვერპლშეწირვაზე დაპატიჟება, ქურუმო მაგლი, — ხმაში მრისხანება დაეტყო ყამარს, — მახსოვს, ატლანტისში პირველად რომ ჩამოვიდა ამბოხებულ ტიტანებთან ბრძოლის დასაგეგმად, სახალხოდ დაამცირეთ და რიტუალში მონაწილეობა დაუშალეთ, „ვეფხვის ტყავს არ იხდი, მკვდარი ცხოველის ტყავით მსხვერპლშეწირვაში მონაწილეობა კი დაუშვებელია. ქურუმს თეთრი, სპეტაკი სამოსი უნდა ეცვას, მეომარს — მეწამული, ვაჭარს — მწვანე, გლეხს — შავი. ჩვენი საზოგადოების წესებით, რომელიმე სხვა სამოსით მსხვერპლშეწირვაზე დასწრება შეუძლებელია. თანაც ქურუმს მსხვერპლშეწირვის წინ განბანის რიტუალი უნდა ჰქონდეს შესრულებული, ხოლო შენ, განადგურების ღმერთის თაყვანისმცემელთა მსგავსად, ნაცარი გისვია ტანზე და, საერთოდ, ბანაობ თუ არა, არავინ იცის“ — აი, რა გაუგონარი შეურაცხყოფა მიაყენეთ, ქურუმო მაგლი, ღვთაებრივ სტუმარს, რომელსაც მალე იმ შვიდი ბრძენის დაარსებული ქალაქები უნდა ეხსნა ამბოხებულთაგან, იმ შვიდი ბრძენის, რომლებითაც ასე ამაყობთ. საკუთარი ოჯახების დაცვა თქვენნაირებს უკვე არათუ მრისხანე მტრისგან, უბრალო ყაჩაღებისგანაც კი აღარ შეუძლიათ, რადგან თავიანთი გამოგონილი წესები მიაჩნიათ უმთავრესად და არა — მოვალეობის შესრულება.

ყამარი შეყოვნდა, თითქოს პასუხს ელისო, მაგრამ რადგან ქურუმი დუმდა, თვალცრემლიანმა განაგრძო:

— კარგად მახსოვს, რა გითხრათ მაშინ ღვთაებრივმა მბრძანებელმა: „მსხვერპლშეწირვა სამოსსა და მის ფერზე არაა დამოკიდებული, მთავარია, როგორი გულით აღასრულებ. თუ გსურს, ჩემს სიმართლეში დარწმუნდე, ნება დამრთე, მოშორებით ჩამოვჯდე, თუნდაც გლეხებს შორის ან სადაც მეტყვი, იქ. სამსხვერპლო კოცონის ალი რიტუალის აღსრულებისას ჩემკენ გადმოიხრება, მნიშვნელობა არ აქვს, სად ვიჯდები — ქურუმებთან, ვაჭრებთან თუ მეომრებთან“ — აი, რა გიპასუხათ ღვთაებრივმა რამ. თქვენ მაშინ ჩაფიქრდით ქურუმო მაგლი, რადგან გული რაღაც ცუდს გიგრძნობდათ. დიდხანს ყოყმანობდით, ბოლოს კი მაინც დათანხმდით. კარგად მახსოვს, დაიწყეს თუ არა ლოცვა და ცეცხლში ვარდის ფურცლების ჩაყრა, უცნაური რამ მოხდა, ალის სიმაღლე საგრძნობლად გაიზარდა და რასკენ გადაიხარა. პირველად მაშინ აითვალწუნეთ ჩემი მბრძანებელი, რადგან მისი თანდასწრებით პატარა ადამიანად იგრძენით თავი. უბრალოდ, შეგშურდათ. ასე არაა, ქურუმო მაგლი? — იკითხა დედოფალმა შეცვლილი მამაკაცური ხმით, თითქოს მასში სხვა ადამიანი ჩასახლებულიყო. ნაზი და მოსიყვარულე ყამარი ახლა გულქვა და სასტიკ არსებას შეეცვალა, ისეთს, მსოფლიოს განადგურებაზეც თანახმა რომ იქნებოდა.

არქელაოსი შვილის სახეცვლილებამ შეაშფოთა, თუმცა არ შეიმჩნია. აზრი მოიკრიბა და მოჩვენებითი სიმშვიდით განაგრძო:

— არსებობს კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც არ მოვიწვიეთ. ჩვენს ქურუმებს ტიტანები ღვთისშვილთა და დაცემულ ანგელოზთა ნაშიერებად მიაჩნიათ...

— რომელ ქურუმებს? — შეაწყვეტინა ყამარმა ჩახლეჩილი ხმით. — მაგლი სინანდულივით ზედაპირულად მოაზროვნეებს? მე მთელ ატლანტიდაში საუკეთესო ქურუმები მზრდიდნენ და არა მაგლივით უცოდინრები. მათ კი მასწავლეს, რომ ტიტანები შეთისა და კაენის მოდგმის ქორწინებისგან იშვნენ და რომ ბუმბერაზთა დაცემულ ანგელოზთაგან წარმოშობას მხოლოდ ქურუმთა მცირე ჯგუფი ემხრობოდა, რომლებიც შეცდომაში იყვნენ შეყვანილნი ცრუ მოძღვრებით. ენოქის ნამდვილ, შეურყვნელ წიგნში კი ეწერა, რომ უფალმა კაენის მოდგმასაც მისცა გადარჩენის უფლება, თუკი ჩადენილ ცოდვებს მოინანიებდნენ. ხოლო გოლიათები საღვთო გადმოცემაში „ოდითგანვე სახელოვან ხალხად იყვნენ მოხსენიებულნი“, რაც იმას ნიშნავს, რომ ტიტანთა ავ-კარგზე მსჯელობა არ იყო მართებული ჩვეულებრივი ადამიანური საზომით, მათი განსჯა უფლისთვის უნდა მიგვენდო...

— რომელი უფლისთვის, თქვენი მეუღლისთვის ხომ არა, რომლის ქანდაკებებიც გაიასა და ტაოს ტაძრებში აღუმართავთ და ღმერთზე მეტ პატივს მიაგებენ? თურმე სწორედ მას სწირავენ მსხვერპლად ხარის საუკეთესო ნაჭრებს. ღვთაებრივ რას ხომ არ ვკითხოთ, როგორ მოვიქცეთ? — იკითხა დამცინავად არქელაოსმა.

მაშინ ყამარს სახეზე უცნაურმა ჩრდილმა გადაუარა, თითქოს შავი ანგელოზი ფრთით შეეხოო. მერე კი მკაცრი მამაკაცური ხმით მიმართა დამსწრეებს:

— თქვენ აქ მსხვერპლშეწირვაზე კი არ მოსულხართ, არამედ მაგლისა და სხვა ქურუმებთან გასარიგებლად, რათა საზოგადოებაში უკეთესი ადგილი მოიპოვოთ, რომელიც სიმდიდრითა და პატივით აგავსებთ. გავიგე, მამაჩემი დაუწინაურებიათ, მხედართმთავრად დაუნიშნავთ. ნეტა რა დამსახურებისთვის? იმის გამო ხომ არა, რომ ღვთაებრივმა რამ დაზოგოს და ბრძოლის ველზე არ დაგამარცხოთ? ხოლო მას შემდეგ, რაც ქურუმ მაგლის მეფე-ქურუმად აკურთხებთ, არქელაოსი მისი მარჯვენა ხელიც გახდება. აი, რისთვის იბრძვის. საკუთარი ქალიშვილი პატივსა და თანამდებობაში გაცვალა. ესაა გარიგების არსი. მე ვაჭრები არ მძულს, თუმცა სულით ვაჭრები მეზიზღება. თქვენ კი, ვინც აქ შეკრებილხართ, სულით ვაჭრები ხართ, ამიტომ გადაწყვიტეთ, ჩემი მბრძანებელი არ მოგეწვიათ, რომელსაც ტაოსა და შუა ქვეყანაში ღმერთის დარ პატივს მიაგებენ.

არქელაოსს აღელვებისგან ტუჩები გაუთეთრდა.

— შენ ჩემთვის ცოცხალი აღარ ხარ. ამიტომ დღეის შემდეგ შენზე, როგორც მკვდარზე, ისე ვილოცებ. შენი მბრძანებელი კი არათუ მოპატიჟების, მსხვერპლშეწირვის შემდეგ დარჩენილი ნამუსრევის ღირსიც არაა.

— მე ახლა ისეთ რამეს ჩავიდენ, — თქვა მაშინ ყამარმა, — რომ მართლაც ღვთაებრივი რას გადასაწყვეტი იქნება, თქვენი გახრწნილი მოდგმა იარსებებს თუ არა. ეს მსხვერპლშეწირვაც არასოდეს შედგება.

ამ სიტყვებზე მამას ზურგი აქცია და კოცონისკენ დაიძრა. თავიდან ვერავინ მიხვდა, რას აპირებდა, მაგრამ როცა არქელაოსმა განწირულად დაიყვირა, შეაჩერეთო, უკვე გვიანღა იყო, დედოფალი სამსხვერპლო კრავისთვის დანთებულ ცეცხლში თავით გადაეშვა.

მითოლოგიური პერსონაჟები

პრომეთე — უსახელო პერსონაჟი, რომლის არც დაბადება უნახავს ვინმეს და არც სიკვდილი, რის გამოც გავრცელდა ხმები მისი ზებუნებრიობის შესახებ. ამ მითიური პერსონაჟის ნამდვილი სახელი არავინ იცის. პრომეთე ეპითეტია და წინმხედს ნიშნავს. ის ქართული მითოსის ამირანის ასლია, თუმცა რაღაც ნიშნებით ჩამოჰგავს ინდურ შივასაც და ეგვიპტურ რასაც.

ყამარი — ქალი, რომელიც ამირანმა გაიტაცა. მოთხრობაში მას შივას პირველი ცოლის, სატის თვისებები აქვს მიწერილი. მისტიკური თვალსაზრისით, ის დიადი დედაა (დედაბუნება ანუ შაქტი). სატი-შაქტის სამსხვერპლო კოცონში ჩახტომა და დაწვა გლობალური კატასტროფის, ბიბლიურ წარღვნის ტოლფასია.

ყამარის მამა — არქელაოსი. „მაჰაბჰარატაში“ მისი პროტოტიპია სატის მამა, მეფე დაკშა, რომლის სიჯიუტემაც სატის თვითმკვლელობისკენ უბიძგა.

ქეთი გზირიშვილი

აღმოჩენა

წვიმიანი ამინდი თითქოს ჩვენთვის შეიქმნა —
ქალი და ძაღლისთვის,
            რომლებსაც ერთმანეთის მეტი არავინ ჰყავთ —
იმის გასაგებად, რომ
                    წვიმაში მთელი სამყარო ჩვენია,
მთელ სამყაროში მარტონი ვართ და
                    სოციუმის მანტიის მოცილებით
ეს ნათლად ჩნდება.
წვიმაში,
როცა ადამიანებს ეზარებათ გარეთ გამოსვლა,
და თუ გამოდიან, მხოლოდ საჭიროების გამო —
მობუზულები და შეღონებულები,
როცა პარკში ყველა სკამი თავისუფალია
(სადაც ვერ დაჯდები, მაგრამ ხომ თავისუფალია),
უბნის ყველა ძაღლი, რომლისაც შენს ლეკვს ეშინია,
                    სადღაცაა შეყუჟული,
კატები ეზოებიდან ქრებიან,
მტრედები ტოტებზე ეკვრიან ერთმანეთს,
ხოლო მწვანე ავტობუსები მხოლოდ დეკორაციაა,
რომლებსაც არავინ ელოდება და
                    საიდანაც არავინ ჩამოდის;
საფრთხე არსაიდანაა, არც საცთური, —
შეგიძლიათ, აირჩიოთ ნებისმიერი მიმართულება —
ნელსურნელების კომპასს მიენდოთ.
როცა გაზაფხულიც ისე მარტოა ამ ქუჩაში,
როგორც შენ — წითურ ლეკვთან ერთად:
ხან ტყემლის სახეს ეფარება, ხან ზამბახისას,
კორპუსის წინ რომ დაურგავს ვიღაცას,
შაშვად კრთება ბუჩქებში და
                    მიახლოებულს ჭახჭახით გეხმიანება,
წვიმის წვეთები კი ისე უბრწყინავს თვალებზე,
როგორც შენ ცრემლი — უეცარი სიხარულისგან,
მარტოობის მიღებამ რომ მოგგვარა.

დაზუსტება

დღეთა რბოლას თვალი
                    შეიძლება ადევნო მარკეტში,
მაცივრის წინ მდგარმა,
კვერცხის კონტეინერზე დატანილ
                    თარიღზე დაკვირვებით —
როცა ჯერ თებერვალია,
                    გამოყენების ვადა კი 15 მარტამდეა,
ჯერ თებერვალია და
                    21 მარტსაც გიჩვენებს ტვიფრი.
ან პოეტის წამოწყებით, რომელიც
                    წარსულისკენ გახედებს
და ფიქრობ, რომ უკვე 87-ე დღეა,
რაც თითო ლექსის ატვირთვა დაიწყო
                    სოციალურ ქსელში.
წარმოგიდგენია, ქეთი, მას მერე 87 დღე გავიდა!
ან შენს ლეკვთან თანაცხოვრების
                    დროზე დაფიქრებით —
განა თვე შესრულდა,
            რაც გულზე მიკრული ჩამოიყვანე ქალაქში?
მაგრამ მისი სამედიცინო კალენდრის მიხედვით,
მალე ისევ უწევს პარაზიტებზე დამუშავება,
სასწორი კი
            ერთი კილოგრამით დამძიმებულს გიჩვენებს.
ან საკუთარი ასაკის გამოთვლით
                    ზამთრის მიწურულს:
მიმდინარე წელს აკლებ დაბადებისას და იხსენებ,
მერამდენე გაზაფხულს ნახავ,
თუ გაგიმართლა.

ლამაზი

ჩემს კიდურებზე გაჩენილი ჭრილობები,
როგორც ბრძოლის დასტური,
როგორც ბრძოლის დამღა,
რომლებსაც არც ვმკურნალობ,
არც დანანებით დავცქერი;
თავისუფლებას ვანიჭებ —
თვითონ წყვეტენ განლევის შესაძლებლობებს,
უვლიან თავებს.
არ მიჭირს მათი გამოჩენა შიშველ მდგომარეობაში,
არ მაცბუნებს მათი დაფჩენილი
                    ლურჯ-მეწამული პირები,
გაფართოებული თვალები,
სასოწარკვეთილი ხმა.
თითქოს ტკივილსაც ვერ ვგრძნობ
და თუ დავხედე, მაინც ლამაზ კიდურებს ვხედავ,
რადგან ლამაზია გადარჩენისთვის მებრძოლი.
ლამაზია, ვინც სიცოცხლისთვის ლოცულობს,
ორმოს პირს ეჭიდება და ტანის აწევას ცდილობს.

მანქანები

ჰიპერმარკეტის ბაღის სექციაში
                    საჭრელ იარაღებს ვარჩევ —
გრძელტარა მაკრატელს,
ხელის ხერხს:
პირებს ვუსინჯავ, ღილაკს ვაწვები,
ფრთხილად ვშლი, თითი არ წავიცალო.
ესენი იმ ხელსაწყოებს არ ჰგვანან,
                    რომლებიც მამასგან დამრჩა,
რომლებსაც ჩემი ხელებიც და ხეებიც კარგად იცნობენ.
ესენი მანქანებია — ვფიქრობ,
მცდება: „მანქანები“.
უცებ ჩემი ბაღის გაბარდული ხეები მახსენდებიან,
მათი ღვარჭნილი ტოტები,
სუროს ხვიარებში ჩამალულნი,
                    რომლებსაც გადაჭრას ვუპირებ
და ხელებს ძირს ვუშვებ.
დავცქერი მათ და ვგრძნობ უცხო ძალას,
რომლითაც მაკრატლის ტარებს დავაწვები.
ვცბები.
შემდეგ თავს ვიმხნევებ, —
მე ხომ მსხლების გადარჩენა მინდა?
უნდა შევძლო.

19

ჩემი ინტერნეტბანკის გადარიცხვებში
                    12 წელია, ფიქსირდება დედას ნომერი,
რომელიც ერთად ავიღეთ,
                    ბოლოში 19 — მისი დაბადების რიცხვი —
რატომაც შეარჩია სიხარულით.
და ეს პატარა ტელეფონი, შავი,
                    ხელისგულზე რომ ეტევა,
ყოველგვარი განსაკუთრებული ფუნქციის გარეშე,
მაგრამ უდიდესი შესაძლებლობით —
                    გამეგო მისი ხმა —
ახლა ცისფერ ყუთში დევს და
                    ყულაბის როლს ასრულებს.
თვიდან თვემდე დაგროვილ თანხას,
რაკი სხვა მხრივ ვერ ვხარჯავ,
ერთიანად ვიბრუნებ და ვიღებ შეტყობინებას,
რომ ... . 19-დან შეივსო ჩემი ანგარიში.
ხან კი უბრალოდ ვრეკავ.
ვრეკავ და ვუსმენ უპასუხო ძახილს,
ხოლო ჩემს ტელეფონში,
შესრულებული ზარების ველში ჩნდება Deda.

სანგრის

მეშინია ლექსების, რომლებსაც ახლა წერენ,
ყალბი ნოტების და უსმენო ადამიანების,
რომლებმაც იციან, როგორ მოქცევაა სწორი,
სასოწარკვეთის, რომელიც თავშესაფრებიდან მოაქვს
სატელიტის ტალღებს
და წამის,
როდესაც ყველა გავიღვიძებთ
გაზაფხულის უჩვეულოდ ცხელ დღეში —
ცაში მერცხლების დასანახად.

დანიშნულება

რასაც ადამიანები ერთმანეთისგან ითხოვენ —
ლაპარაკისთვის ბოდიშის მოხდაა.
„ჩემი ენა ჩემი მტერია“ — ამბობენ ჩემს ენაზე.
„ენას კბილი დააჭირე“ — იმ კბილებში გამოიცრება,
რომელთა საშუალებით ენაზეც იკბენ —
როცა ლაპარაკისთვის ბოდიშის მოხდას მოგთხოვენ.
ენებმა, რომლებმაც გააღწიეს სიკვდილის ხაზიდან
და თამამად იწებებენ ახალ სიტყვებს,
ან ჯერაც ამ ხაზთან დგანან და
მესაზღვრეს მათ საჭიროებას უხსნიან
ზურგსუკან მყოფი ორი მუჭა ხალხის იმედად,
არ იციან, რომ ისინი, რეალურად,
მხოლოდ ერთი რამისთვის არიან აუცილებელნი:
ადამიანებმა ერთმანეთს ბოდიში მოახდევინონ.
ამენ.

ფიროსმანის ძაღლი

რამდენი ძაღლი შემიყვარდა,
მაგრამ ის, ერთი თეთრი,
ჯაჭვით დაბმული,
თავდახრილი რომ აკვირდება
ცეკვა-თამაშს,
დიდი თვალებით აკვირდება,
წინა თათებს კი შიგნით იტრიალებს, —
არის ჩემი ანარეკლი.

უიარაღო

გარეთ გასვლა მოვლენაა —
მზის დაბნელებას ნიშნავს.
მისი ცქერა
            მხოლოდ შეიარაღებული თვალით შეიძლება.
მე, უიარაღოს,
არასდროს მდომებია მზის ჭვრეტა,
მისი ჩრდილიც საკმარისია, —
ხეებქვეშ, კომორებში.

პირობა

გადავწყვიტე არ შევიმჩნიო, რომ მიყვარხარ.
აი, ხომ მოხვედი, მაგრამ არ შევიმჩნიო, რომ მოხვედი,
ისევე, როგორც სიზმრად ვაკეთებ ამას —
რამდენჯერ მკოცნე,
                    თუმცა არ ვიმჩნევდი და ვიღვიძებდი.
იდგა ყველა სეზონი,
თითო ხეს ყველა სეზონი ესხა
და ცაზე ყველა მნათობი ენთო.
ვერასდროს ვგრძნობდი ჩემს ფეხებს და ტანს ჩემსას
და გულის ხმა იყო მხოლოდ, რაც ღამეში ისმოდა.
და მოდიოდნენ ცხოველები,
                    ზოგი ჭრელი, ზოგი უბეწვო.
და ვეხებოდი ცხოველებს,
                    ზოგს საშიშს, ზოგს თვინიერს.
ანათებდა სიზმრის ფანჯრები ბნელ გვირაბებში
და იდექი — ჩემთან მოსული ნათელი მხარე.
ხომ არ გიმჩნევდი,
ხომ ვახერხებდი მეფიქრა, რომ მძინავს
და გაღვიძებისას ხომ ვისინჯავდი,
ძუძუები თუ კვლავ მიყვაოდნენ.
დამშვიდობების მერე
            მხოლოდ სიზმრები გვაქვს სანუგეშებლად
და ვეჩვევით ქვეყანას,
                    რომლისთვისაც ბარგს ვამზადებთ:
ცარიელ ხელებს და
                    სავსე ჩვენს თავებს ასაორთქლებლად.
და ამ ჩემს ორთქლსაც ვერავინ შეამჩნევს,
ისევე როგორც ჩემს სიყვარულს,
სავსეს და კაცის თვალისთვის აღუქმელს,
რომელსაც ყველა კლდეში გავლა შეეძლო,
გზად ამომართულ ყველა შენს ტორსში.
მე ამას ვიზამ, მე ამას შევძლებ, იყო სიზმარი.
მეკითხებოდე, როგორი იყო ჩემი სიზმარი.
იყო კი? მახსოვს?
როგორი იყო მაშინ, როდესაც შენ თვლიდი სიზმრად
და ვერ ამჩნევდი.

სულიერი სტიუარდესა

მე პოეტესა ვარ,
მე ზოგჯერ კვნესა ვარ სულის,
მე „სტიუარდესა“ ვარ,
სულ სადღაც დავფრინავ მაღლა;
მიწა და ზეცა ვარ,
მთვარეც და მზეცა ვარ,
რაცა ვარ, ესა ვარ... ხან კი
აფროდიტეცა ვარ,
არტემიდეცა ვარ,
მთლად დიდი ქალიც და
გოგო-ნამცეცა ვარ,
ოკეანეცა ვარ,
მამამზე ჩემთან არს
როცა.

* * *

არაფერია ნამდვილ, მარილიან,
წრფელ ცრემლზე უკეთესი,
რადგან თავად მარილი ვართ სოფლისა.
მზად ვარ, მთლად ცრემლად ვიქცე,
იმდენად ტევადია ეს პაწია, ნოტიო ტბა
ჩემი თვალების.

ლურჯი ტბა

ეს იყო ლურჯი ტბა სულიერების.
ამ ტბაში ჩადიოდნენ და, ტანსაცმელთან ერთად,
იხდიდნენ ყოველგვარ ცოდვას და ვნებას,
რომ მხოლოდ სიყვარულში ებანავათ.
მიჰყვებოდნენ ლოცვას და კეთილ ნებას და
ამოდიოდნენ განწმენდილნი ემბაზიდან,
და იცვამდნენ ტანსაცმელს, მაგრამ არა ვნებებს,
დაგიდევდნენ არაფერს, იყვნენ სრულიად ნეტარნი.

* * *

მოთმინება მოვიცვი მოსასხამად,
რადგანაც ნაღდი მოსასხამი არ მქონდა;
კიდევ კარგი,
თორემ სიმდიდრეში ჩამეკარგებოდა
სული —
მოთმინებასავით ძვირფასი.

* * *

არ ყოფილა სილამაზე და სიკეთე ერთი.
ასე რომ, თუ ორივე გაქვთ, გიხაროდენ!
უმეტესად, ან ერთი აქვთ, ან მეორე.
პირველი მეორეს გარეშე,
შხამიან სოკოს ჰგავს,
განა მაწყენარი სოკო ყველაზე
გამომწვევად ლამაზი არ არის?
მეორე კი, თვითკმარია, უბრალოდ,
გულს ახარებს და თვალს — არა.
მეორე გერჩივნოთ!
ხოლო თუ ორივეს ერთად იპოვით,
არსად გაუშვათ,
როგორც ბუნების ნამდვილი საჩუქარი.

* * *

იქნებ, მხოლოდ გაზეთების
იმ გამყიდველისთვის ღირდეს წერა,
შენი ნაწერები რომ დაიბეჭდება და, გახარებული,
მისგან ყველას იყიდი...
მაშინვე მიგიხვდება, რომ ავტორი ხარ,
რადგან ისე, არ ეყიდება...
შენ კი დაგენანება, რომ
ლიტერატურას აღარავინ ეცნობა,
მაგრამ მაინც, სხვისთვის თუ არა,
იქნებ მხოლოდ იმ გახარებული ქალბატონისთვის
ღირდეს წერა,
თვალებში შუქჩამდგარი რომ გეტყვის:
„ხშირად წერეო, შვილო!“

უფლის ანაბარა

უსიყვარულოდ, უსიხარულოდ,
ნეტავ, როდემდე, როდემდე?
უფალო, ერთი თხოვნა მაქვს მხოლოდ, —
რადგან მოგენდე,

გემუდარები, მაპოვნინე ჩემი მეწყვილე,
ვეღარ გავუძლებ ო, ამდენ ლოდინს,
რამდენჯერ ხდება, გული გასკდა, ძლიერ მეწყინა,
ღმერთო, როდემდე?

ნუ მომკლავ, გვედრი, უსიყვარულოდ,
რადგან მოგენდე.

ელეგია

ასრე განძარცვული სული
რატომ მომისაჯე, ღმერთო?
ეული ვარ ასული,
დამალულ ტკივილებს ვერ ვთმობ.
დღენი გარდასულან კენტად,
სად ხარ, ჩემო ერთადერთო?
რისთვის დავიბადე, ნეტავ?!
რატომ დავიბადე, ღმერთო?!

* * *

მოსემ ორმოცი წელი ატარა ებრაელები.
ნეტავ, ჩემი მარტოობის უდაბნო როდის დასრულდება?
ორმოცი წლის ვარ.

ოდა იისფერს

სანუკვარო იისფერო,
როგორ მინდა, მოგეფერო!
მინდა, შენი ატმოსფერო
რომ შევიგრძნო სრულიად.

საყვარელო ჩემო ფერო,
შენ ოცნებავ ნაირფერო!
გემონება ყველა სფერო,
განა დაკარგულია

ტრფობა თუნდაც ოცდაერთში,
არ იცვლება არცერთ თეთრში,
სიყვარული არის მტვერში,
მე დავბანე, ჩანჩქერმა,

გაგვიმართლა ერთადერთში —
ამ ოცნების ულევ ფერში
ვლივლივებთ და სამარეში
აღარ მიგვეჩქარება.

მლოცავი ნაძვი

სალოცავთან იდგა ერთი ნაძვი.
იდგა კაციც — ტანზე ცოტა ეცვა.
მძლავრი ქარი ყოველივეს გლეჯდა,
არ იცოდა ეკალი და ძეწნა.
სალოცავთან იდგა ერთი კაცი...
ჰოი, არა! ქარი აღარ შეწყდა!
იდგა კაცი მარტო, როგორც ნაძვი,
ტანზე მხოლოდ უფლის რწმენა ეცვა.

გათუმური ესკიზები

სიცხეს შეპარვია ხავერდი,
უკვე მერამდენედ წახვედი.

ზოგჯერ, გენატრება ფანტელი,
ბუხარი... ფიქრი, მერე რამდენი.

ცაა ისეთი ლამაზი,
ვერ შეედრება გავაზი.

ფარშევანგების მარაო...
ხან წვიმდა, ხანაც არაო.

ზღვის ნაირფერი პარეო,
აი, ზღაპრული მხარეო.

თქვენ დაუკარით დაირა,
დგას პალმა ნაირ-ნაირა.

იყო და არა ქალაქი,
ან იყო იგავ-არაკი.

გიყვარდე, როგორც პეტეფს

მე ქვიშის საათი ვარ:
ვივსები და ვიცლები უწყვეტად.
ვშიშობ, ამდენ გადაყირავებას ვეღარ გავუძლო.
მე მთვარე ვარ — ვმატულობ და ვკლებულობ,
და თუ მეტყვი, რომ არ გინდივარ სავსე,
რადგან თავად შემავსებ,
მაშინ, დაე, ვიყო ნაკლული!
განა, ინვალიდი უფრო ბედნიერი არ არის,
თუ გულისსწორი ჰყავს,
ვიდრე მარტოკინა ჯანსაღი ვინმე?
ერთს კი გთხოვ, უცნობო:
ჰეი, შენ მანდ, ვინც უნდა იყო,
თუკი ჩემ სიყვარულს გაბედავ,
არ გადამაყირავო ქვიშის საათივით,
თორემ, სანამ ჩემ თავს იზეიმებდე,
ჩემსავე ნამსხვრევების წვიმაში მოჰყვები
და მიუტევებელი ცოდვა,
დორიან გრეის პორტრეტივით,
ნაოჭის უზარმაზარ ღარად დაგაჯდება.
ამის ნაცვლად, გიყვარდე,
როგორც პეტეფს იმ დიად ლექსში.

განწყობა

შენი მონატრება მეიისფერება,
სწორედ ამიტომაც ვიგონებ ზოგჯერ,
დამათვრეს ვარდის და მე იის ფერებმა,
მომწერე და ისევ მოგწერ.

სპლინი

მარტოობამ დამღალა და ზამთარმა,
შევხვდებით და ისევ მოგენატრები.
მო, დავცალოთ სიყვარულის მათარა,
ავისრულოთ ნატვრები.

ელდრამი

ერთხელ ლიტერატურული პრემიის ნაწილით ყმაწვილქალობის ოცნება ავიხდინე და ელექტროდრამი ვიყიდე.

გამოვიწერეთ რომელიღაც საიტიდან.

თითქმის ყოველთვის ისე ხდება, რომ პრემია ვერც მოდის ჩემამდე, გზაშივე უხვევს სხვაგან, სხვა ხარჯებზე.

იმ ჯერზე იმდენი იყო, რომ ნაწილმა გზაში გაუხვია, ნაწილით თავს უფლება მივეცი — ელექტროდრამი ვიყიდე.

კარგია ელექტროდრამი, დარბაისელ მანდილოსანს უნდა ეგდოს სახლში ერთი ელექტროდრამი — ოთახში რეპეტიციებს ისე გამართავს ჯგუფი, რომ მეზობლებს არ შეაწუხებს, ჩაუწევს რადიოსავით. ჩაწერაზეც კარგია. მოკლედ, როცა არ გაქვს სარეპეტიციო და იზოლირებული სტუდია, მისწრებაა ელექტროდრამი.

ჰოდა, ჩამოგვივიდა ეს გამოწერილი ელდრამი, ჭკუაზე აღარ ვართ, წავიდა შალვა მოსატანად, ბიჭები აწყობა-დამონტაჟებაში ერკვევიან, მე სახლში ბოლთებს ვცემ. მაშინ შალვა სამ ადგილას მუშაობდა, სამივეგან პატარა ხელფასზე, ზოგი დღის, ზოგი ღამის სამსახური იყო, დარბოდა ძაღლივით. აქ ჩემი პრემიაც დაგვემთხვა და — დრამი, აბა, სხვა რა! გამოვფუთეთ ერთი ამბით, გავმართეთ...

მოკლედ, გავიღვიძებთ — ელდრამი გვიხარია, დავიძინებთ — ელდრამი გვესიზმრება.

მერე უცებ ისე მოხდა, რაღაც მსოფლიო კრიზისი მოჰყვა ამ ჩვენს დრამს შეფუთვაში — ჯერ ერთი სამსახური დაიხურა შალვასი, მერე — მეორე, ბანკები, პროცენტები, ბინის ქირა — აგორდა, როგორც იცის.

მივიხედეთ-მოვიხედეთ, არაფერი გვაბადია, სულ არაფერი... დრამი უნდა გავყიდოთ...

ისე დავდე „მაი მარკეტზე“ განცხადება ჩემი ხელით, რომ თავი გაურკვეველ სიზმარში მეგონა — თან იმედი მქონდა, რომ არ გაიყიდებოდა, თან ძალიან გვეჩქარებოდა, ბანკები გვიტევდნენ...

მოკლედ, ცოტა ხანში რეკავს ვინმე უჩა, დრამს ყიდითო?

ვყიდით თითქმის იმავე ფასად, რაც დაგვიჯდა, ახალთახალია. ოდნავ ვაკლებთ — გახსნილია მაინც. და ნაკლებად არც გავყიდით, არ გვიხსნის პრობლემას.

იმედიც არ კვდება, მგონია, რომ ამ უცნობმა უჩამ უბრალოდ დარეკა და არავინაც არ მოვა ჩვენი „ჭრელას“ წასაყვანად.

რას არ მოვა! მოვდივარო, ისევ დარეკა.

მოვიდნენ საღამოს და — ვა�ა, უჩა, შენა ხარო! — შალვა გადაეხვია. ვაა, შალვაო! ვაა, ლაშა, შენცო? „რა ხალხი, რა ხალხი!“ ისმის ორივ მხრიდან — შემოლაგდნენ უჩა ნანავა და ლაშა სურმავა — ჯგუფი „ალუბალის“ 50%.

აი, აქ წავიდა ჭეშმარიტი ვაჭრობაი როკ-ნ-როლური!

ჩამოჯდა ლაშა საქმიანად და, მაგისას ხომ ვერ გაიგებ, როდის ხუმრობს, როდის არა, მგონი, თვითონაც აღარ იცის.

ახლა თქვენნაირი ხალხი დრამს არ გაყიდის, რაშია საქმეო, იკითხა.

შალვამ უთხრა, სამი ბანკი მახვევია და ვეღარ ვიგერიებო — თან იცინიან, მე იმედი მემატება, რომ არ წაიყვანენ „ჭრელას“, არადა, ხვალ თუ ზეგ დასაფარია რაღაც პროცენტები, არის მესიჯების წკრიალ-წკრიალი კვაკარდებზე.

მოკლედო, ლაშამ თქვა, ჩვენ ახლა გვაქვს ამდენიო, ვიფიქრე, ვინც არ უნდა იყოს, დავაკლებინებო, მაგრამ თქვენ შემრჩითო...

შალვა ეხვეწება, დაგიკლებთო, „ალუბალი“ გაჯიქდა, არ დაგაკლებინებთო — ატყდა უკუვაჭრობა. მე ქვეცნობიერად თანახმა ვარ, თუნდაც ამ ნიადაგზე ვერ შეთანხმდნენ — ასე უცებ „ჭრელას“ წამყვანების გამოჩენას არ ველოდი, შეგუების დროც არ მომეცა. მაშინ ახლოს არ ვიცნობდი „ალუბალს“ — მაგარ ბიჭებს!.. მოკლედ, ამოიღეს ტელეფონი, დაურეკეს ვინმე ვაჟას, ამდენი და ამდენი გვაკლდება და სასწრაფოდ გვჭირდებაო, მოვალთ, დრამს მოვიტანთ და ფული უნდა დაგვიმატოო. მე იმ ფანტომური ვაჟას უარის იმედიღა მქონდა და ის დამამახსოვრდა, რომ არც უკითხავს, რატომ, რისთვის. გასაგებიაო, უცებ დაამთავრა ლაპარაკი. წაიყვანეს „ჭრელა“ და დაგვიბარეს, ჩვენთანაა, როცა დაგჭირდეთ, ჩათვალეთ, რომ თქვენიაო. ხმათა უმრავლესობით გაიმარჯვეს შალვასთან და გადაიხადეს ზუსტად იმდენი, რამდენიც ედო „მაი მარკეტზე“. შალვამ მითხრა, არ იდარდო, მერე უკეთესს ვიყიდითო. არ ვდარდობდი თითქოს, მაგრამ იმ დღეებში ისეთ სევდიან რამეებს ვწერდი, ჩემს ნაწერს არ ჰგავდა.

ცოტა ხანში რაღაც კონცერტისთვის გიტარისტი დაგვჭირდა — მაშინ ჩვენთან ყიფო უკრავდა, ძალიან მაგარი ბიჭი, მაგრამ „იქს-ფაქტორში“ თუ რომელიღაც შოუში იყო დაკავებული, ფაქტობრივად იქ ცხოვრობდა. მერე კი გაიმარჯვა, მაგრამ მისი შესაძლებლობების ნახევარი მაინც უჩვენებელი დარჩა იმ შოუს — მაგარი ბიჭია თორნიკე. მოკლედ, მოვიდა იდეა, ვაჟაა საჩვენო გიტარისტი, გემოვნებით, ოსტატობით, ადამიანობით. ჰოდა, ეს იყო სწორედ ის „ალუბლის“ ვაჟა ჩიტიშვილი, რომელმაც კითხვაც არ დასვა მაშინ, რომელიც ახლა ჩვენთანაც უკრავს, რომელთანაც რეპეტიციებს ვმართავთ ხოლმე სახელოსნოში, სადაც ის ჩვენი „ჭრელაც“ დგას.

მიხვალ, უზის თავის ჩარხებს ვაჟა, ჭედავს, ხატავს, ახარატებს. ოქროს ხელი აქვს, საოცრებებს აკეთებს, გადადებს ამ თავის ხელსაწყოებს, შემობრუნდება, აიღებს გიტარას.

ნინო გუგეშაშვილი

ასეთი კაცია, შეკითხვასაც არ დასვამს — ეტყვის მეგობარი, საჭიროა, ესე იგი, საჭიროა.

და ასეთი იყო ეს ბიზნესი მწერლურ-როკ-ნ-როლური — ყველა ავშენდით.

ჩაი ნანგრევებზე

ფოტოს წავაწყდი ინტერნეტში — ქალი ზის ნანგრევებზე და ჩაის სვამს ლონდონის დაბომბვის შემდეგ.

დაახლოებით ასე ვსვამდი ჩაის რაჭის დიდი მიწისძვრის დროს, 1991-ში, რიცხვი დამავიწყდა, მგონი, მაისი იყო, არ ვიმახსოვრებ თარიღებს — ისტორიას ემახსოვრება და ეგეც მეყოფა.

დილა რომ გათენდა და ჩაი მოგვწყურდა, შევიპარეთ ფეხისწვერებზე ნანგრევებში, სამზარეულოს მხარე არ იყო ბოლომდე ჩამონგრეული, გამოვაძვრინეთ პატარა გაზქურა ფრთხილად. ყოველ წამს ბიძგები იყო და ქვებს აღრაჭუნებდა. მოვძებნეთ ქვებში და ნამსხვრევებში შაქარი, გადარჩენილი ფინჯნები, ჩაი, გამოვიტანეთ ეზოში და ავიდუღეთ.

ოღონდ ამ ქალისგან განსხვავებით, მე სულელივით ვიცინოდი და გამვლელ-გამომვლელს ვეპატიჟებოდი ჩაიზე. დაზაფრულები დადიოდნენ ადამიანები, ჯერ ვერ მოსულიყვნენ გონს, ერთმანეთში გადადიოდ-გადმოდიოდნენ დანგრეულ სახლებს შორის და ჰყვებოდნენ, ვის სად მოუსწრო მიწისძვრამ, როგორ გადარჩნენ, რა დაენგრათ, რა დაემსხვრათ.

ერთი შეძლებული მეზობელი დაგვეწვია ჩაიზე. იმდენად ჩაისთვის არ შემოსულა, რამდენადაც თავისი დამტვრეული უძვირფასესი ჭურჭლის საჩვენებლად. დიდ თასზე მოეგროვებინა ნამსხვრევები და ყველას აჩვენებდა, ნახეთ, როგორი როკოკოები დამემტვრაო.

მე მაშინ „როკოკოები“ მარტო ფერწერასთან კავშირში მქონდა გაგონილი და ჩვენი მეზობლის თასში თუ ნამსხვრევებად ვნახავდი, რა მაფიქრებინებდა.

მოდი, ჩაი დალიე-მეთქი.

ნეტაი თქვენ, რა ჩაი დაგცხელათო, მაგრამ მაინც დალია.

ვისხედით ნანგრევებზე, ვსვამდით ჩაის. რა საქმე გვქონდა, რა? ჭურჭელი იყო დასარეცხი თუ პარკეტი მოსაპრიალებელი? სკოლები და სამსახურები გადარჩა და უნდა გავქცეულიყავით თუ დენის მავთულები არ დაწყდა და ტელევიზორებს უნდა მივსხდომოდით? თუ პიანინო არ მოყვა ნანგრევებში და უნდა დამეკრა?

ვსვამდით ჩაის გაწეწილები, გამოუძინებლები, ყველაფერდაკარგულები.

თქვენ რა გენაღვლებათო, უბრალო ფინჯნები დაგემტვრათ, მე, ნახეთ, როგორი როკოკოები დამემსხვრაო, სვამდა ჩვენი უბრალო ფინჯნიდან ჩაის და გვამადლიდა.

მართლა მაგარი ნამსხვრევები ეყარა იმ თასზე, ცხოვრებაში რომ არ დამინახავს, ისეთი.

მიწისძვრას რა ვუთხარი, თუ არა სანაძლეოზეც არ დალევდა ჩაის იმ ფინჯნებიდან, რაც ჩვენ დანგრეული სახლიდან გამოვაძვრინეთ — ზოგი ტარმოტეხილი იყო, ზოგი ტუჩმოტეხილი, ვუმიზნებდით ტუჩებს.

დალია და წავიდა, ნეტაი თქვენ, რა ჩაი დაგცხელათო, ისევ დაგვიბარა. წაიღო თასი, აჩვენებდა უბანს, როგორი „როკოკოები“ დაემსხვრა, როგორ სჯობდა იმის დამტვრეულები ჩვენს მთელებს. დიდხანს ვერ გადაყარა ის ნამსხვრევები.

გასაოცარია — ჩემს ორ გიტარას ნაკაწრიც არ აჩნდა, ელაგა გიტარები და ირგვლივ დიდი ქვები ჰქონდა შემომწკრივებული, მაგრამ ზემოდან დაცემული არცერთი არ იყო.

სუფთად, ლამაზად ეწყო გიტარები ამ ნანგრევებში.

ჩემი „როკოკოები“ ეგ იყო.

მარტო მიწისძვრა და ნანგრევების აღდგენა ერთი ცხოვრებაა...

ზოგჯერ მომეჩვენება, რომ ძალიან ბევრი ვიცხოვრე.

ზოგჯერ კიდევ პირიქით — სულ არაფერი მიცხოვრია.

პიანინო და ვოვკა სუჩკოვი

არაფერს ვითხოვდი, არც ტკბილეული მიყვარდა, არც კარუსელები, არც სხვის სათამაშოებზე მრჩებოდა თვალი — ამ მხრივ მშობლები ნამდვილად არ გამიწვალებია. პირიქით გავაწვალე — სულ იმას მეხვეწებოდა დედა, თქვი, რა გინდაო.

ერთადერთი რამ, რაც დაჟინებით მოვითხოვე, ისიც სტუდენტობისას, 16 წლისამ — პიანინო მიყიდეთ-მეთქი.

გაოცდნენ ჩვენები: ჯერ სულ არაფერი მოვითხოვე და მერე უცებ — პიანინო.

რად გინდაო, დედამ, დაკვრა არ იციო.

ვიცი-მეთქი. დარწმუნებული ვიყავი, რომ ვიცოდი.

შიგნით, შენში სწავლა გამოგიცდიათ?..

თავიდან დედა არ იყო თანახმა — გვაყიდვინებ და არაფერში გამოიყენებ, იდგება უქმად, როგორც სხვა ოჯახებში დგასო.

უძლიერესად დავიჟინე, მჭირდება-მეთქი.

მამაჩემმა დედას უთხრა, ლია, ვუყიდოთ, თუ ვერ დაუკრავს, კარტოფილს მაინც ჩავყრით შიგ, ყუთია ბოლო-ბოლოო.

დედამ თქვა, თუ ყიდვა იყო, ადრე უნდა გვეყიდა, ახლა რაღა დროს პიანინოს სწავლაა, დაბერდა ბოვშიო.

კიო, მამაჩემმა, მარტო იმისთვისაც ეკუთვნოდა, რომ მთელი ცხოვრება ქალს პიანინოსთან რითმავენ, მაშინვე უნდა გვეყიდა, როგორც კი ამის სახელი პიანინოს პირველად გაურითმესო.

მართლაც, ვინც დამინახავდა ბავშვობაში, ვითომ მოფერების ნიშნად, მაშინვე — „ნინო, ნინო, პიანინო“ — გამრითმავდა უაზროდ. შეთქმულები იყვნენ თუ რა იყო?!

მოკლედ, მიყიდეს.

ხომ უკვირთ ხოლმე, დღეში რვა საათი ან ხუთი საათი ვარჯიშობს ვიღაც, ან თორმეტი საათი — ვაიმე, შრომისმოყვარეობაო!

მე ეგ შრომისმოყვარეობა არ გამომიცდია, არ ვიცი.

მე გამომიცდია, როცა არც ხუთი გყოფნის, არც რვა, არც თორმეტი და არც არამდენი, სანამ ღამის ორ-სამ საათზე მეზობელი ვოვკა სუჩკოვი არ მოგიკაკუნებს, დავიძინოთ ახლაო, და ასე იძულებული არ დახურავ პიანინოს ხუფს და დილამდე ბოლთას სცემ და ჩაის სვამ და ხან ფანქრებს უთლი, ხან ჯღაბნი, ელოდები, როდის გაიღვიძებს ვოვკა სუჩკოვი და პერიოდულად ხუფს მაინც ახდი და მესამედი ძალით, ოდნავ-ოდნავ აწკარუნებ კლავიშებს და იხსენებ იმას, რაც ვოვკა სუჩკოვის დაძინებამდე აღმოაჩინე — აი, ეს გამომიცდია.

ერთ ღამეს აღარ დამიკაკუნა ვოვკა სუჩკოვმა, მეც ვუკრავ და თან უკვე ვფიქრობ, რატომ არ მიკაკუნებს. თან ვუკრავ.

რა არ ვიფიქრე: ცუდად ხომ არ გახდა? ხომ არაფერი დაემართა? ჩემი დაკვრის ბრალი ხომ არაფერია?

ასაკიანი კაცი იყო, დალევა უყვარდა.

ბოლოს გადავწყვიტე, რომ რაღაც ვერაა კარგად მისი საქმე და მის დაუკაკუნებლად შევწყვიტე დაკვრა.

დილამდე ისევ ფხიზლად ვიყავი, ცალკე ვოვკას დარდით და ცალკე პიანინოს ნატვრით.

დილით მათი ჩიხუახუა „მიკი“ ჩემთან რომ შემოვარდა, მივხვდი, გაიღვიძესმეთქი და ეზოში გავედი.

დამჯდარა ვოვკა სკამზე, ეწევა.

აი, წუხელ აღარ დაგიკაკუნე, აბა, თავისით როდის დაიძინებს ეს გოგო, ვნახო ერთი, ნორმალურია თუ გიჟიო, და ოთხ საათზე დაიძინეო და მე ვთქვი, ჰოო, გიჟიაო, მეუბნება ვოვკა, თან კვამლს თვალებს უჭუტავს.

მე გამიხარდა — იმდენად ცოცხალი იყო, რომ თან ეწეოდა, თან ხუმრობდა.

ძალიან გაწუხებთ-მეთქი?

ზოგჯერ, როცა ნერვები ცუდად მაქვს, მაშინ კი, მაგრამ არდადეგებზე რომ იყავი წასული, მაშინ გამოვყრუვდიო.

ბოლოს შეკვეთაც მომცა, ძილის წინ ეს დაუკარი ხოლმეო, „ტ-ნ-ნ“, სიგარეტგაჩხერილი ორი თითით ჰაერში „ტ-ნ-ნ“ მოხაზა და პირით Yesterday წაუღიღინა, ორ საათს ნუ გადააცილებო.

რაღას ვჩიოდი, რახან ჯანმრთელად იყო და თან ორ საათამდე დაკვრის ლეგალური უფლებაც მომცა, „ტ-ნ-ნ-ს“ კი არა, „თავო ჩემოს“ შეკვეთასაც კარგად მივიღებდი.

მერე ჩემს პიანინოს კიდევ ბევრი ამბავი და თავგადასავალი გადახდა და ერთი ისეთი დამღაც მიიღო, რომ შეხედავ — ჩემია, არავის ნივთში არ აგერევა.

ტაისონას ბანდა

ჩვენს შავ გოჭს მამაჩემმა ტაისონა დაარქვა. ჯანიანი გოჭი იყო და მთლიანად შავი — აბა, რას დაარქმევდა?

ბლომად გოჭები გვყავდა იმ ზაფხულს (აგვისტოს თითქმის ყოველთვის მაჟიეთში ვატარებდი). რომ წამოიზარდნენ და შორ მარშრუტებში მოგზაურობა დაიწყეს, მაშინ, მგონი, ცამეტნი იყვნენ.

ჰოდა, გავიდნენ ერთხელ ეზოდან, წავიდნენ ზემოთ, გზას გაჰყვნენ, დაიკარგნენ მთელი დღით და საღამოზე ქვემოდან მოადგნენ ჩვენი ბაღის მესერს, ჩართეს სირენები — ჭყვიტინებენ, ვერ შემოდიან.

დედამ თქვა, ეს აშკარად ჩვენი გოჭების ხმა არის, მაგრამ ქვემოთ როგორ მოხვდნენო?!

ქვემოთ სოფლის ყანებია, გადაღობილია ყველაფერი, იქ ოთხფეხის შესვლა სასტიკად აკრძალულია შემოდგომამდე. წავიდა დედა, ვერანაირად ვერ შემოიყვანა, ჩვენი ბაღები დიდია და ისეთ ადგილას მოსდგომიან მესერს, გარეთ ღელე და მაყვლის ბარდებია, პაწაწინა გოჭებს ვერ გააგებინებ, გზაზე გადით და წესიერად წამოდითო. გახლართულან ამ ეკალნარში და ჭყივიან.

დედამ მესერს, ლითონის ბადეს, ძირი აუწია პატარაზე და შემოუშვა ჩვენს ბაღში. მერე ბაღიდან სიმინდის მარცვლის ჩხრიალით და ათასნაირი ცრუ მანევრის გამოყენებით გამოიყვანა და თავიანთ ეზოში შერეკა.

მეორე დღესაც იგივე მოხდა და კიდევ ორი-სამი დღე.

მომდევნო დღეს დედა გაჰყვა ამ ტაისონას ბანდას, უნდა ვნახო, საიდან შედიანო. ჯერ ბევრს ვერაფერს აშავებდნენ, ძალიან პატარები იყვნენ, მაგრამ გულმოდგინედ და გამიზნულად თუ თხრიდნენ ერთი ნახევარი საათი, სიმინდის წაქცევა უკვე შეეძლოთ.

ახლა ფოლკნერივით რუკას ვერ დავხაზავ, მაგრამ წარმოიდგინეთ: წავიდნენ ზემოთ, ავიდნენ სოფლის მთავარ გზაზე, გაუყვნენ ხიდეშლებისკენ და იქვე ჩასახვევია ისევ ქვემოთ, გზა ჩადის ჭელიაანთების უბანში, ჩავიდნენ ჭელიაანთ მიშას კართ-

ან, იქ გადასახტომია, ჰოდა, გადახტნენ — დაახლოებით ერთი მეტრის, ან ცოტა მეტი სიმაღლის ბეტონის კედლიდან გადაეშვნენ სოფლის ყანებში. მერე, საღამოზე ხომ ვეღარ ამოხტებიან უკან — მოადგებიან ჩვენი ბაღის მესერს ქვემოდან და ჭყივიან. დედასაც სხვა რა დარჩენია, აუწევს ღობის ძირს და შემოუშვებს.

დედა შეშფოთებული მოვიდა, მიშასაც ვუთხარი და ბორიაც რომ მოვა, იმასაც ვეტყვი, იქნებ რამე გააკრან იმ ბეტონის კედელთანო. ძალიან შეწუხებული იყო დედა, ასე თუ იბერტყიალეს გოჭებმა, დაიხოცებიან, ერთი განახა, როგორ ცვივიან და როგორი ჭყივილით ეძნეყვებიანო.

ამ დარდებში ვართ და მოადგა ჩვენი ეზოს მესერს თხილნარის მხრიდან ნინიკაანთ ვანო გაბრაზებული. ბილიკი ვნახეო, დედაჩემს ეუბნება, და აწეული სეტკის ძირიო, შენ გოჭებს უშვებ სპეციალურად ჩვენს ყანებშიო, აბრიალებს თვალებს ვანო, ქაჩავს მოკალმულ წარბებს, გაცეცხლებულია, თხილის ტოტებიდან გამოგვყურებს. საყვარელი კაცი იყო ვანო, მაღალი, თხელი, ლამაზსახიანი, მხარ-ბეჭიანი, ალბათ ერთი 45 ზომა ფეხით, საუკეთესო მეურნე და სოფლის მართლა ერთ-ერთი საყრდენი.

ბევრი უმტკიცა დედამ, აუხსნა — არაფრის გაგონება არ უნდა ვანოს. ბოლოს დედამ უთხრა, წამო, ვანო, ჩავიდეთ, დაკვირდი ნაფეხურებს და დაინახავ, რომ ის ბილიკი გარედან შიგნით შემოდის და „სეტკაც“ გარედან შიგნით შემოხრილიაო — ეს ხომ უტყუარი ნიშნებია, აქ სადავო ხომ აღარაფერია!

არაო, ვანომ, მე იქ ჩემს ფეხს არ დავამჩნევ, ექსპერტი უნდა მოვიყვანო და ის გაერკვევაო. შეტრიალდა და წავიდა უკმაყოფილო, აუყვა ღელეს ნინიკაანთებისკენ (ოდესმე რუკის დახაზვა არ ამცდება).

მომიბრუნდა დედა გაოცებული და მეკითხება:

— ქე დაამჩნიოს ფეხი რა, ისეთი რა ექსპერტი უნდა მოიყვანოს, რო ვანოს ფეხი და გოჭის ფეხი ვერ გაარჩიოს ერთმანეთისგან?..

დაახლოებით ერთ დროს გახდნენ ავად დედა და ვანო.

ერთდროულად წავიდნენ ახალგაზრდები, ლამაზები.

გაახელდა თვალს დედა, უკვე ხმაც აღარ ჰქონდა, და ძალიან მისუსტებული ხმით იკითხავდა:

— ვანო როგორ არის?

ის მესერებიც სულ შემოშლილია ახლა მაჟიეთში, როგორც გაუხარდება ოთხფეხობას, ისე დადის.

პრინციპში, ოთხფეხობაც ძალიან გამეჩხერდა.

სოფომ დამირეკა და მომიყვა, როგორ დაათოვა დახუნძლულ ვაშლის ბაღებს...

ერთი მოგვის საჩუქარი

მოვიდა ქალაქიდან, დადგა გამათბობელთან შალვა.

ჯინსის ჯიბიდან რაღაც ბრჭყვიალა რგოლი ამოიღო და ათვალიერებს.

რგოლი შორიდან ძალიან ჰგავს თვლიან ვერცხლის ბეჭედს.

— ეგ რა არის? — ეშმაკური ღიმილით და მაქსიმალური შარმის სხივით ვუახლოვდები.

— ხამუტი, — წყნარად ამბობს და ისევ ათვალიერებს.

— რაა?! ხამუტი?! მე მეგონა ბეჭედი მაჩუქე.

— ბეჭედი?! — უფრო დააკვირდა, — ეგეც შეიძლება, შენ თითის ზომა მითხარი და ატვიორტკა მომიტანე.

გულზე მომეშვა — სადაა ბეჭედში ჩასაყრელი ფული! გამათბობლის მილიდან გაზი ჟონავს, „ხამუტს“ ვნატრობ რა ხანია.

უფუნქციო ქორები

დავდივარ სოფელში, დაცლილი სახლების ფოტოებს ვიღებ. ეს შალიკიაანთ შალიკოს სახლია. ძალიან მარჯვე კაცი იყო, ალალი. დალევა — აბა, როგორ? — უყვარდა.

ერთხელ დედაჩემს იდეა მოუვიდა, წისქვილი აღვადგინოთო და მიადგა შალიკოს.

რაღაცნაირი დაყოფის მიხედვით, არ ვიცი, როგორის, იქ კომლები ჯგუფ-ჯგუფად იყოფიან და ერთ ჯგუფს, რომელშიც შედის ოთხი-ხუთი კომლი, აქვს ერთი საერთო წისქვილი. ჰოდა, თურმე ჩვენც გვქონია ოდესღაც წისქვილი, სანამ ბაბუაჩემი ქალაქს წავიდოდა, და დედამ — აღვადგინოთო, სულ სხვას რატომ უნდა ვთხოვოო? ეგ საქმე შალიკომ იცისო, გაიგო და მიადგა. მოკლედ, შეიკრა ჯგუფი, რომელსაც თურმე გვქონდა საერთო წისქვილი ადრე და იმ წისქვილიდან დარჩენილია დოლაბი.

შალიკომ თქვა:

— მთავარია დოლაბი!

დაიმახსოვრეთ! ვისაც ჯერ კიდევ მთავარი გგონიათ ჯინსები და გაგება, ტყუილში ცხოვრობთ — დოლაბია მთავარი!

დოლაბი თუ არის, შეუძლებელი არაფერიაო, შალიკომ.

ჰოდა, ჯგუფის ლოკომოტივი — დედაჩემი ლიანა, ნამყვანი სპეციალისტი — შალიკო — თქვენ არ იცით, ეს რა ძალაა!

გადმოივლის შალიკო ჩვენკენ, გამოვა შალიკიაანთებიდან, გადმოლახავს ქარახსას და რისინას — ორ პატარა მდინარეს, ჩამოვა ბერუკაანთებში, მოადგება ჩვენს მესერს და დაიძახებს:

— ლიანა! — „ბორიას“ არ იძახის, თანამზრახველს ეძახის.

გახედავს დედაჩემი, შალიკო ჩამოკიდებს რაღაც კაუჭს ჩვენს მესერზე და იტყვის:

— ე რკინუკა აქანა იყოს, დაგვჭირდება! — მერე შეაქებს რკინუკას, აგვიხსნის, რომ მაგ რკინუკას გარეშე წისქვილი არ გაკეთდება, შემოდი, შე კაცოო, დედა ეტყვის, დალოცე წისქვილი ერთი-ორი ჭიქითო. არაო, შალიკო პასუხობს, აქანა გამომიტანე, ქვაუკაზეო და ჩამოჯდება ქვაზე.

რკინის და ქვის მოფერებით ფორმებს — „რკინუკა“ „ქვაუკა“ — როგორ უკადრისად იხდენენ რკინა და ქვა!

გაუტანს დედა პოლბოთლიკას (ძირძველი რაჭული სიტყვაა), ყველი-პური-მწვანილი-მჟავეს და ჭუკჭუკებენ, მომავალ წისქვილს ლოცავენ და გეგმავენ.

ასე დაიწყო შალიკომ წისქვილის დეტალების შეგროვება ნელ-ნელა, ძალიან ნელ-ნელა, ბორიას არაყი და ბორიაკი კიდევ როგორი განთქმული იყო, იცით? აი, როგორც ბენზინიან ავზებთან ასანთის გაკვრა არ შეიძლება, ისე — ბორიას შტოფებთან.

— ლიანა! ა რკინუკას აგერ დავკიდემ და მოუარე, უამისოთ წისქვილი კი არ გაკეთდება!

— შემოდი, შე კაცო.

— არა, აგერ გამომიტანე.

დედაჩემი დაუდგება, თავის ჭკუაში, თანამესუფრეობას უწევს, მარტო არ ტოვებს, თან ოღონდაც შალიკომ წისქვილი გააკეთოს და...

კარგა ხანს იარა ასე შალიკომ, თითო პატარა „რკინუკა“ ზიდა, ბოლოს დედაჩემს უთხრა, შენ წადი, შენს საქმეს მიხედე, ამას მე თვითონ დავლევ ნელ-ნელაო.

სხვა წევრებიც იყვნენ ჯგუფში, ყველა მონაწილეობდა. მამაჩემი შავ მუშად ჰყავდათ, ასევე სხვა ოჯახების კაცებიც, როცა რკინუკეების შეგროვებითი სამუშაოების შემდეგ ბოლოს და ბოლოს პრაქტიკული სამუშაოები დაიწყო.

მაგრამ ყველაზე მთავრები ამ ამბავში დედა და შალიკო იყვნენ. კიდევ შალიკიაანთ ნინას მუქარა დამამახსოვრდა — რაღაცით უკმაყოფილო დარჩა ერთხანს შალიკიაანთ ნინა, ძალიან გამხდარი, მაგრამ აქტიური მოხუცი ქალი, მამაჩემის მამიდაშვილი, და მთელ ჯგუფს დაგვემუქრა, გავალ ჯგუფიდან და ჩემს წილ დოლაბს ჩამოვამტვრევო! ვაიმე, აღელდა დედა, არადა, მთავარია დოლაბი! შალიკომ თქვა, ეგ ჩამოტეხავს დოლაბსო?! მიუშვით, ჩამოტეხოსო და ისე ჩაიცინა, რომ დავმშვიდდით.

ჩვენი წისქვილის ამბებს უკვე მთელი სოფელი გულშემატკივრობდა. „შენდება? აშენდა?“ — გვეკითხებოდნენ.

რომელ ხუთწლედში იქნება, რას ამბობს გენსეკიო? — ბორიამ.

„გენსეკი“ შალიკო იყო, რა თქმა უნდა.

აბესალაშვილი ვახტანგი უკვე ღიად გვაშაყირებდა, წისქვილია თუ ენგურგესიო? ამდენხანს ენგურგესი არ უშენებიათო.

მე არ მახსოვს ენგურჰესის მშენებლობა, მაგრამ ის კი მახსოვს, ერთხელაც მამაჩემი ამოვიდა ქარახსადან და გაჯგიმულმა მოგვახსენა:

— დღეს ვოლგა-დონის არხი გავჭერით! — ეს ნიშნავდა, რომ წყალი გადაუშვეს უკვე.

ვოლგა იყო ქარახსა და დონი — რისინა, თუ პირიქით, ეგ არ ვიცი, სადაც ერთდებიან, იქ დგანან წისქვილები.

და კიდევ მახსოვს, დედამ თქვა ბოლოს, ბევრი კი იარა შალიკომ, მარა მართლა კარგი წისქვილი გააკეთაო.

როგორი კარგიო? — სოფომ ჰკითხა და იცით, რა უპასუხა?

— სხვების წისქვილები ხო მუშაობენ ასე: „ღღ...ღ...ღღ..ღ...“, ჩვენი მუშაობს ასე: „დიჰმ-ტამ, დაჰმ-ტამ, დიჰმ-ტამ, დაჰმ-ტამ“ — თან ხელებით დაირის პარტია შეასრულა ჰაერში. დოლის არა — დაირის!

თითქმის ერთნაირად მიწევს ყველა ამ ამბის დამთავრება — ახლა შალიკოს სახლი ცარიელია, ჩვენიც. როცა ცარიელი სახლების ფოტოები გადავიღე, აპრილში, აბესალაშვილი ვახტანგი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

სამაგიეროდ ეს საფრთხობელა ფხიზლობს შალიკოს ეზოში, სიჩუმეს აფრთხობს — უფუნქციოდ დარჩენილ ან პროფილშეცვლილ ქორებს მაგასთან შეხება აღარ აქვთ.

პირველი ჰონორარი

ჩემი სულ პირველი ჰონორარი (მოთხრობისთვის „ვინ გაიყვანს ბომჟს“) გამოწერით იყო თოთხმეტი ლარი და რაღაც თეთრები. იქ საშემოსავლო დამექვითა, იქ უცოლშვილობის და უქუდობის, ჰოდა, ხელზე ავიღე კაი თორმეტი ლარი და რაღაც თეთრები. როცა დამირეკეს, მობრძანდით, ჰონორარი მიიღეთო, მივდიოდი და გზაში ვგეგმავდი: „ვიყიდი ბინას, მანქანას, ავეჯს და რაც დამრჩება, იმით სამოგზაუროდ წავალ“, ხოლო აქეთობისას ასანთი ვიყიდე და ერთი კოლოფი ჩაი. მეგობარი გადამეკიდა, ნუ დახარჯავ, პირველი ჰონორარით რამე სახსოვარი იყიდეო. მე ვუთხარი, აგერ ასანთი ვიყიდე და ეს იყოს სახსოვარი-მეთქი, წავაწერე კოლოფზე „ნაყიდია პირველი ჰონორარით“. ვინ გამიჩერა! პაპიროზიწევია მეზობელი გოგო მყავდა, რომელიც უკვე მოწეული სიგარეტების ნამწვებისგან ახალ ღერებს კი ახვევდა, მაგრამ უკვე დამწვარი ასანთის ღერებისგან ახალ ასანთს ვერ აკეთებდა და სპიჩკა გექნებაო, მომადგა. კი, კაი სპიჩკა მაქვს-მეთქი, მივეცი საიუბილეო ასანთი. ჩემი „სპიჩკის“ იმედად ეწეოდა სიგარეტს. ბოლოს გადააგდებდა ალბათ, ლიფსიტა გაუშვა ერთხელ უნიტაზში და ჩემს „სპიჩკას“ შეინახავდა?

ისე, „ვინ გაიყვანს ბომჟს“ პატარა მოთხრობაა, მეტის ღირსი არც იყო.

ბახომ ასე იცოდა:

მოვიდოდა ხოჯორადან, ან საკაურადან, ერთი სიტყვით — საკალმახოდან.

დადგებოდა ხელჩაშვებული, მოგვავლებდა თვალს.

— რა ქენი? ვერაფერი დაიჭირე?

— არ იყო კალმახი? — დააყრიდნენ კითხვებს.

— რავა გაბლიხდი, ამოიღე ხმა!

გვიყურებდა, აწევდა ჩუმად ხელს — ყველა იმ ხელს დავაკვირდებოდით, ჩაიყოფდა მუხლამდე შემოსველებული შარვლის ჯიბეში და ქსუტუნ-ქსუტუნით რაღაცის ამოთრევას იწყებდა ჯიბიდან, ბოლოს ამოათრევდა მთის დიდ კალმახს, შავზურგიანს, ლურჯწინწკლებიანს, დააპერტყებდა მაგიდაზე.

— უი, დაუჭერია!

— რამხელა კალმახია! ერთია, მარა სამს უდრის!

მივესეოდით კალმახს, ბახო თვალს მოგვავლებდა, იდგა ჩუმად.

გამოიცვალეო, გაცივდებიო, საჭმელი ჭამეო — ამოძრავდებოდნენ ქალები.

ნელა და მშვიდად ასწევდა ბახო ისევ ხელს — ისევ დავჰიპნოზდებოდით და მის ხელს გამოვებმებოდით თვალებით.

ამოათრევდა მეორე კალმახს ჯიბიდან, ქსუტუნებდა ჩუმად.

— უი, ორი დაუჭერია! ორია, მარა ხუთს უდრის!..

— უი, სამი დაუჭერია!

— უი, ოთხი დაუჭერია!..

სადღაც ხუთი-ექვსი კალმახის მერე ჯიბეზე ხელს მიირტყამდა გარედან იმის ნიშნად, რომ ჯიბე დაიცალა.

გამხდარი იყო, ჩამოწოწილი — ჯიბე სავსე იყო თუ ცარიელი, არ იყო დიდი სხვაობა. ქალები ტაფას, ერბოს და ფქვილს მოამზადებდნენ, რაღაც შორისდებულებს იძახდნენ. ბახო იდგა ჩუმად, თვალს ადევნებდა მოძრაობას, ბავშვები და კაცები ვიცინოდით.

უცებ ბახო ნელა ასწევდა მეორე ხელს და ახლა მეორე ჯიბეში ჩაიყოფდა...

აკივლდებოდა გრასტო, ბიცოლაჩემი:

— ამოალაგე, ნუ ამოგვხადე სული!

ყოფილა — ათი-თორმეტი კალმახი ამოუყვანია ჯიბიდან.

ზოგჯერ გაფართხალდებოდნენ კალმახები — ქალებს შეაკივლებდნენ.

ბაბუა ჩუმად წავიდოდა მარანში ღვინოზე.

ბებია ბოსტნიდან მწვანილს და ჩვილ თვიბოლოკას ამოიტანდა, ისეთ სურნელოვანს — აი, ბოსტანში რომ მოწყვეტენ და შენ რომ სურნელს სახლში გაიგებ.

ფასმოჭმულა

ვიყავით და არა ვიყავით რა, ვიყავით წიგნების მოყვარული ბავშვები.

გამოგვქონდა წიგნები ბიბლიოთეკიდან, ფაქიზად გაგვიფორმებდა გამოტანის და მიტანის თარიღებს ნასტა ბიბლიოთეკარი, ჩვენც პუნქტუალურად მიგვქონდა წიგნი უკან და თუ ერთი დღე მაინც გადაგვიცდებოდა, უკვე ვღელავდით.

წიგნებს სულს ვუბერავდით — არ დაისვაროს, არ გაიხეს, ავად არ გახდეს, სიცხემ არ აუწიოს.

ერთხელაც გამოიტანა სოფომ ლექსების წიგნი „წელიწადის ოთხი დრო“, დაჯდა მზიან დღეს ეზოში და კითხულობს. ხოლო, რა ტკბილია მწვანე სოფელში მზიან დღეს ეზოში წიგნის კითხვა, ამას მხოლოდ ის მიხვდება, ვისაც მწვანე სოფელში ეზოში წიგნი წაუკითხავს.

უცებ სოფოს დედამ დაუძახა სახლიდან, სოფო სულ ცოტა ხნით შევიდა სახლში და გადაშლილი წიგნი ეზოში დატოვა.

როცა სოფო სახლიდან გამოვიდა და თავისი წიგნისკენ წავიდა, გაიხედა და რას ხედავს!

ეზოში საბალახოდ გამოშვებულ პატარა ხბოს გაუდევს ყბაში ეს შენი „წელიწადის ოთხი დრო“ და ღეჭავს გულიანად.

სოფომ საშინელი ტირილი გააბა, შევიყარეთ ოჯახი, ხბოს პირიდან გამოვტაცეთ წელიწადის ოთხივე დრო და წიგნი დავათვალიერეთ.

დედას სიცილი აუტყდა. სოფო ამაზე კიდევ უფრო გაბრაზდა, რა გაცინებსო, შენ რომ არ დაგეძახა, ხომ აღარ შემიჭამდა ხბო წიგნსო! ახლა რა ვუთხრა ნასტასო?

— ნუ გეშინია, მე ვეტყვი ნასტას ხბოს ამბავს, — ამბობდა დედა და სულ უფრო ბჟირდებოდა სიცილისგან, — თუ ეს წიგნი აღარ ივარგებს, გადავუხდი ან ახალს ვიყიდი. ფასი ნახე, აბა, რა ღირს?

ფასები უკანა ყდაზე ეწერა ხოლმე წიგნებს. სოფომ წიგნი გადმოაბრუნა და:

— ფასიც მოუჭამიაააა! — გააბა თავიდან. დედა კიდევ უფრო ჩაბჟირდა.

წარმოიდგინეთ: ერთადერთი ნუგეშის სხივი, რომელიც ამ მძიმე ჟამს წამით გამოუბრწყინდა სოფოს — ფასი! — ისიც კი მოჭმული იყო.

მოკლედ, ყველაფერი დამთავრდა იმით, რომ მხოლოდ ყდები აღმოჩნდა დაზიანებული საერთო ჯამში, ლექსებისთვის და წელიწადის სეზონებისთვის ხბოს პირი არ დაუკარებია. შემოვაკარით წიგნს რაც კი ყველაზე სქელი და გამძლე ქაღალდი აღმოგვაჩნდა ოჯახში, ეს იყო შპალერი, და ჩავაბარეთ ბიბლიოთეკას. ამით უბედური შემთხვევის ქრონიკა დახურულად გამოცხადდა.

ამის შემდეგ ჩვენს ხბოს შერჩა სახელი „ფასმოჭმულა“, თუმცა კი, ყველა ლოგიკით ეს სახელი წიგნს უნდა შერჩენოდა და არა თვით ფასის მომჭმელ ხბოს, მაგრამ ჯერ ერთი ჩვენ ხბო დაგვრჩა სახლში და არა — წიგნი. ჰოდა, შევარქვით იმ ისტორიული მოვლენის უკვდავსაყოფად.

და ხბოც ისეთი იყო, რაღაცნაირი, სახასიათო, უხდებოდა სახელი, ითხოვდა ამ სახელს. შეხედავდი — სუფთა ფასმოჭმულა იყო.



ამაო იყო!

ამაო იყო საუბარი, ვგრძნობ, თქვენთან ჩემი,
ჟამი გაგრძელდა ძველებური, გულგრილი დენით,
ვერ გადიარა ქარავანმა შვეული თხემი,
ვერ მიაღწიეს მოკაშკაშე სხივებმა ზენიტს.

თუმცაღა სული სავსე იყო ხალასი რწმენით,
გამოჩნდა ბევრიც, რწმენის მიზეზს რაც უარყოფდა,
მთვარე მთვარობდა, დღე დღეობდა, არყი არყობდა,
თქვენ განზე დარჩით, არაფერში დამემოწმენით!

აპობდა ტალღებს, მაგრამ ვერვის ხვდებოდა გემი,
ცივად უმზერდნენ სოფლის გზებზე
ჩამოვლილ ურმებს...
ამაო იყო საუბარი, ვგრძნობ, თქვენთან ჩემი —
მას გამართლება არაფერი არ ჰქონდა თურმე!

განათება

ნეტავ რომელ მიღმეთს
ცამ სული შეახვეწა?
უსასრულო სიღრმე...
უსასრულო დახვეწა...

თუმც გულდაგულ ვიხმე,
ძლივსღა დავენახვე წამს...
უსასრულო სიღრმე...
უსასრულო დახვეწა...

შორეული სიყრმე
დრომ საით გადახვეწა?
უსასრულო სიღრმე...
უსასრულო დახვეწა...

ვით შეეძლოთ სიზმრებს,
ასეთ ძალით აღვეძარ?
უსასრულო სიღრმე...
უსასრულო დახვეწა...

შემოხედვა შორეული მომავლიდან

საუკუნეთა მომავალი თვალსაწიერი
გასაოცარი ძალისხმევით დღეს იბადება,
არის შორეულ ეპოქებთან ხიდის გადება
და უსასრულო შთაგონების ქროლვა ძლიერი.

არნახულია ახალ ტაძრის უცხო იერი,
ზეცას რომ ჰფარავს,
სხვა ხომალდის ლურჯი ფრთებია,
და გამაოგნებ სიძლიერით შემოვლებია
გარესამყაროს სულის შიდა ინტერიერი.

გაივლის ხანი. დასცვივდება დრო-ჟამს ფერები
(სიშორის შიში სულის შიგნით მუდამ მძლავრია!),
და თვით ჩემთვისაც შეიქმნება დაუჯერები,
რომ წლების მიღმა ამ სივრცეში მე მიმგზავრია.

დაიხურა წიგნი

ვხედავ სულის შიგნით
სევდის ღრუბელს ათასშრიანს;
დაიხურა წიგნი —
აღარასდროს გადაშლიან.

ველარ ვამჩნევ შორ ტივს,
შთანთქეს უცხო განედებმა,
გახმა გრძნობის ყლორტიც —
აღარასდროს განედლდება.

დაიწრიტა წვიმა,
სხივნო, ტბაში იძირებით!
მიიძინა სიმმა
სამუდამო მიძინებით.

ბინდით ნაფენ არილს
ყოვლისმხედი ცა იხურავს...
ულურჯესი კარი
სამუდამოდ დაიხურა...

აჩრდილების სასახლენი

ვინც ენთნენ, ირგვლივ აჩრდილებად დაგროვდებიან,
ლანდებით სავსე სასახლეთა ხდები მფლობელი,
სულო, მითხარი, რომელი გზა დაგლოდებია,
რომელი ცეცხლი დაგრჩენია ჩაუქრობელი?

გემს, დიდხანს მცურავს, ავიწყდება მიზანი ცურვის,
ბაღს, ზამთარგავლილს,
ვერ მოჰკითხავ ყვავილს ფერუცვლელს,
ვერც ერთი გული ვერ შეიგრძნობს
გარდასულ სურვილს,
ვერც ერთი არსი მარადულთან ჭიდილს ვერ უძლებს.

რა გადაიქცეს შორეთისკენ დარეკილ ზარად?
რა იქცეს მუდმივ სიხარულად, მუდმივ დარდებად?
ზოგჯერ ვიღაცა მეგზურობას გპირდება მარადს,
მერე კი სადღაც სამუდამოდ უჩინარდება.

რატომ აღარ ჩანს ის,
ვინც თითქოს ჩვენი მეკვლეა?
ერთიც ვერ ნახო, რაც თითქოსდა იყო მრავალი,
არანაირად ჩვენს აწმყოზე არ ირეკლება
უსაზღვროდ შორი —
არც წარსული, არც მომავალი.

არსად კრთის თოკი, ყოვლის ერთად გადამნასკვავი,
არ გვიცავს არვინ, თუმც კი გვთხოვენ გადასახადებს,
ბორიალობენ პლანეტები, ხოლო ვარსკვლავნი
მათ ეულ ყოფას მხოლოდ წამით გადასახავენ...

ჩაესვენება მზიური სივრცე

რაგვარად დათმოს ტყვექმნილმა მზერამ
ამ სანახების უცხო მშვენება?
ო, ჩემთან ერთად სამყაროს დიდი
მზიური სივრცეც ჩაესვენება.

გრიგალ-ქარებმა მარადი ქროლვით
ტყეთა ჯუნგლები გადაიწვინეს,
ო, ჩემთან ერთად ყოფიერების
ცისფერი წვიმა გადაიწვიმებს!

ჩემი წასვლისას ხილვათა მწკრივნი,
ყოფის ველებს რომ დიდხანს უარეს,
მოეფინება არარსებობის
ვეებერთელა რეზერვუარებს.

დაჰკარგავს ძალას ურიცხვი გრძნობა,
ჩაქრება ერთად უშქარი სხივი,
ამ უსაზომო მშვენიერებას
შეეწყვილება მხარენი ცივი.

ვინ ამოიცნოს დასაწყისები გზათა,
აქამდე ჩემგან მოვლილთა?
ვინ გამოიხმოს რაიმე მსგავსი მისი,
რაც ერთხელ ჩემით მოვლინდა?

წერენ მისნები უცნაურ სიტყვებს,
ბოლავს სივრცე და დიან ხანანი,
არის საოცარ სიზმართა ბოლო
გულდასაწყვეტი და დასანანი.

მაგრამ ვერარა გააწყონ მასთან, რაც
პირველშექმნის წამებს ენება,
და ჩემთან ერთად სამყაროს დიდი
მზიური სივრცეც ჩაესვენება!

მე ამ ველზე
დიდი ხნის წინ მოველ

ვერაფერი ვერ უშველის წაშლილ
სანახების მგრძნობელობას თურმე,
ისევ ისე აყვავდება ვაშლი,
მაგრამ მისას ველარ იგრძნობ სურნელს.

თითქოს გულში დაჭრილია არე,
მიიძინა, არ აგროვებს ლაშქარს,
ისევ ისე გაბრწყინდება მთვარე,
მაგრამ მისას ვერ შეიგრძნობ კაშკაშს.

რას, რას უზამ სახეშეცვლილ წამებს?
ახალი დრო ახალ მგზავრებს ითხოვს,
ისევ მყუდროდ ჩამოდგება ღამე,
მაგრამ მასში ველარ იგრძნობ სითბოს.

სხვა ძალა აქვს სივრცეს გადანალახს,
მუდამ ნიშნავს ის დაშრეტას ჟინთა,
კორდზე ისევ გათიბავენ ბალახს,
მაგრამ თრთოლვით არ მიირბენ ზვინთან.

როგორც ეტრატს, ისე უმზერ ყოველს,
კი არ ცოცხლობ, ამ სიცოცხლეს ჰყვები...
მე ამ ველზე დიდი ხნის წინ მოველ —
ახლა მასზე მკვიდრდებიან სხვები...

პოეტს

უხსოვარი ხნის არი
ეს ზუზუნი ქარის,
ქვეყნად ყველა ისარი
შენსკენ მოიჩქარის.

მოაქვს ფიქრი მდაღველი
წელთა ასეულებს,
ქვეყნად ყველა ნაღველი
შენს გულს ასნეულებს.

თუმცა დაგაქვს ანცობით
ფიქრთა შენთა ქება,
ქვეყნად ყველა ღვარცოფი
შენს მკერდს ეხეთქება.

შენ არ გიჭირს არცროდეს,
ბნელს ეკვეთო ღიად,
შენ სულ პირველს გამცრობენ,
როს ხელჰყოფენ დიადს.

მიყვარს ფერი იელთა,
იაც, მაგნოლიაც,
რაც ვერ განხორციელდა,
შენი საგლოვია.

ჟამს არრა შეუცვლია,
ძალუძს მარად სცოდოს,
სულ ყველას შეუძლია,
გული დაგიკოდოს!

მხოლოდ არსების, ერთადერთის...

სადღაც ჰანგივით უმაღლესი რითმები ჟღერენ,
სადღაც, ცის მიღმა, უწმინდესი ფერები ბრწყინავს,
ხოლო ფიქრები, შესეულნი მსოფლიო სერებს,
გამუდმებულად უნეტარესს ეძებენ ბინას.

მე, რა თქმა უნდა, ეს ხედებიც მატკბობს ხანდახან,
ეს ტყე, ეს გზები, ნაფეხური თუ ნაჩლიქარი,
მაგრამ სად ჟამი უსაზღვრობამ მოაქანდაკა,
ჩემი ნამდვილი საბრძანისი მაინც იქ არი.

მხოლოდ არსების, ერთადერთის, უსაზღვროდ კენტის
ლურჯი სივრცენი გვევლინება უკვდავ გრძნობებად,
ო, ქვეყნიურნო სანახებო. იბრწყინეთ თქვენთვის —
მე თქვენთან მალე, მალე მელის დამშვიდობება!

სამუდამო შუქით

ჩემი ფიქრები სამუდამო გზებზე ანთია,
ჩემი ფერები სამუდამო შუქით ელავენ,
უცქერს სასახლეს, აურაცხელ ბრილიანტიანს,
ლოტოსი ლურჯი, ტბის ჩქერებში მოყელყელავე.

ვიღაცას ირგვლივ განძეული დაუფანტია,
და მის ძებნაში მაღალ ბალახს მიჯრით ცელავენ,
ჩემი ფიქრები სამუდამო გზებზე ანთია,
ჩემი გრძნობები სამუდამო შუქით ელავენ...

დატკბი, უმზირე

შეგრძნება რამდენ ცვლილებას ითმენს,
მას ხატით მხოლოდ მზებურუსი ჰგავს,
წამით მოეშვი ჯვარედინ რითმებს —
რითმა თავისიც ჰყოფნის მუსიკას.

თითქოსდა მზერა ველზე გაგეშვას,
ხარბად ისრუტავს ყვავილს მილიარდს,
მოეშვი ფიქრთა მუდმივ დაგეშვას —
ისინი ისეც დაგეშილია.

ო, შემოქმედი მოჰგავს მოისარს —
ის ხდება ყველა დავლის ზიარი,
მოეშვი ხოტბას სამყაროისას —
იგი ხოტბაზე მაღალი არი!

წვრილ ვარსკვლავებით ხშირმსხმოიარე
ცას წერტილებად მოვეჩვენებით,
მშვენიერებით ნუ ტვირთავ მხარეს —
ისეც სავსეა იგი მშვენებით.

სურდათ დატკბობა მხილველთა ჯარის
ყოფიერების ამგებ-მაქსოვრებს,
ეს უსაზღვრობის ნაწილი არი,
დატკბი, უმზირე, დაიმახსოვრე!

სული და მატერია

ჩამოიქროლა ჩაუქ ცხენით მხედარმა გზაზე,
მსუბუქი ტალღა მოჰყვებოდა უკან ზეფირად,
ჩამოიქროლა ჩაუქ ცხენით მხედარმა გზაზე
და მის სახილვლად უმალ ყველა გამოეფინა.

ასეთივეა იდუმალით გარემოცული
ყოფიერებაც, ფანტელებად ზე რომ გვებნევა:
საკმარისია საიდანღაც აღიძრას სული
და სახლად მისად მატერიაც მოიძებნება

უცნაური სული

მეტზე მეტი და ნაკლებზე ნაკლები,
    მივუყვები სამყაროულ სერებს,
მოშრიალე ვერხვები და კაკლები
    მიგზავნიან სევდას შეუჩერებს.

შორზე შორი, ახლობელი ახლოზე,
    ვებრძვი ბოროტს, ხელს არ ვახლებ სათმენს,
მატკბობს სივრცე ჩემი სამოსახლოსებრ,
    მიყვარს ყველა, რაც კი სუფევს სადმე.

არავისგან არასოდეს ნახული
    ჩემთვის ცხადი და აშკარა არი:
სხვა სამყაროს დილის თვალთა ფახული,
    ხსოვნის ტბებზე ფოთოლთ წყება მჭკნარი.

ნაყანობი სევდას კინძავს გვიანდელს,
    ფერდობებიც აგროვებენ ნაღველს,
ყველას რაღაც საფიქრალი მიანდეს,
    მეც საკუთარ მწვერვალებზე აღველ.

დავალ, შორი ხედით თვალანაკლები,
    ფიქრით სავსე, გრძნობით დაყურსული,
მეტზე მეტი და ნაკლებზე ნაკლები,
    უცნაურად აგებული სული.



ოთხი თავი
ფრაგმენტები მომავალი პოემიდან

* * *
ბავშვობის დღეებს მივყვები,
სად გაფრენილან იხვები?
ძაღლიც მინდა და კარლსონიც,
მაგრამ ვინ დამრჩა გამგონი,
მურაბაც ცოტაოდენი,
იხვებს მოელის ჰოლდენი.

* * *
მაგიდაზე კარტი დამრჩა გადაშლილი,
მესიზმრება მეგობარი გარდაცვლილი,
მეუბნება: „გაიღვიძე, ჩემთან მოდი,
მომენატრე, გულზე მადგას მძიმე ლოდი.“
მერე მინდა, ისევ მინდა გაღვიძება,
სიზმრისა და სინამდვილის დავიწყება.

* * *
დრო დინჯია,
დროში თურმე ბევრი ხინჯია,
ქვებია გზაზე,
ვარსკვლავები კიდია ცაზე.
მივდივარ და ვათვალიერებ
ცაში სისავსეს
და მიწაზე სიცარიელეს.

* * *
დროა საქმიანი უსაქმობის,
დროა საგნების უსაგნობის,
ხმაურიანი გარინდების
და სინათლეში დაბინდების,
უამინდებო ამინდების,
მაინც ამინდების,
მაინც არ მწყინდები,
მაინც არ გწყინდები.

* * *
ასე იყო და ასეა,
სიკვდილი ვიწრო გზაზეა,
გველოდება და მღერის,
როცა ფერს კარგავს ფერი.
გაშრა ბავშვობის საცვალი
და მეც სიკვდილის გერი ვარ,
სიცოცხლეც დედინაცვალი.

* * *
მუქი სიფერადე,
მატარებლის ფანჯრიდან დანახული,
გზა ნაპოვნი
და გზა დაკარგული,
წამი დაჭერილი,
წამი დაკარგული,
გაპარული.

* * *
ქიმერები,
ისევ ქიმერები,
მერე სიბერეა,
მოგონება ბავშვობაა სიბერეში,
მოგონებებს მოაქვს მელოდია,
ძველი სიმღერები,
როცა სინამდვილე მელოტია.

* * *
როგორც ჰამსუნის „მაიცა“,
დრო დახეიბრდა, წაიქცა,
მერე წამოდგა გაიქცა,
როცა სამყარო დაიქცა,
თანაგრძნობაზე აიცრა.

* * *
ლექსები ნაწყვეტ-ნაწყვეტი
ცხოვრებასა ჰგავს გაწყვეტილს,
იჩქარე, როცა მოხვედი,
დაგეზარა და
წახვედი.

* * *
ვინ ვიყავი?
ჩემი ცხოვრების,
ცხოვრების წინაც?
კაცი ვიყავი?
ანდა ძაღლი?
მქონდა კი ბინა?!

* * *
როცა ველოდი
და როცა გავიტრუნე,
თურმე მოდიოდა
სულ სხვა
საუკუნე.

* * *
პატარა ბიჭები
ომში რომ წავიდნენ,
პატარა ბიჭები ერთად,
ერთად დაიღუპნენ,
ერთად არ დაბრუნდნენ
და შეატყობინეს ეს — ერთის დედას,
შენი დაიჭრაო,
ის კი დაიღუპა,
ტყვიების მოსულა სეტყვა,
ის თუ დაიღუპა,
ჩემიც მოკვდებოდა, —
უთხრა დაჭრილის დედამ.

* * *
ქილაში ჩავსვი
კალიები
ზაფხულის დამდეგს,
ერთმანეთს ჭამდნენ,
ერთმანეთს ჭამდნენ
გამეტებით,
გემრიელად,
სიყვარულით,
ადამიანებივით.

* * *
გაცვენილი თმა შევისწორე,
დროს რომ ებრძოდა აცდენილს,
მერე ნაწერი შევასწორე,
ჰგავდა გაკვეთილს გაცდენილს.
მერე ქვები შევაგროვე,
ვერ აღმოვჩნდი ზუსტი მსროლელი,
ყველაფერს ველოდი არაფრისგან,
ყველაფრისგან არაფერს მოველი.

* * *
ვეღარ ვურეკავ მეგობრებს ღამით,
ცუდი ამბავი ეგონებათ,
ღამის ზარს მოაქვს წარსულის შხამი
და მოაქვს მძიმე მოგონებაც,
ვეღარ ვურეკავ
მეგობრებს დღისით,
სულ ბევრი საქმე
და დრო კი მიდის,
თავისთვის მიდის,
ჩვენი დრო მიდის.

სამაგიდო რეპეტიცია

საწერ მაგიდასთან მომზადებული ჩემი „როლებით“ მაყურებლის წინაშე დიდ სცენაზე არასოდეს გავალ — შემსრულებელიც მე ვარ და მომსმენ-შემფასებელიც.

„რომანი“ ჩემი ცხოვრებისა არ არის მთლიანი, უნაკლო ტილო.

არ ვიცი, ვისთვის როგორ, მაგრამ ჩემთვის იგი პატარ-პატარა, შემოქარგული ნაკუწებისგან, ნაირფერობით, სხვადასხვაობით გამორჩეული დეტალებისგან შედგება — უფრო გასაგებად რომ თქვა, ყვავილებით დამშვენებული, კორდიდან ამოფრიალებული პეპელას სამდღიანი არსებობა უფრო მეძვირფასება, ვიდრე კაკლის კენწეროს ხმელ ტოტს ჩაბღაუჭებული, ხანგრძლივი სიცოცხლით გულგაწყალებული ყვავის გაჭიანურებული ბედის სამდურავი.

„სამდურავი“ ფოთოლთან ერთად ცვივა და ასევდიანებს ადამიანთათვის ისედაც მოწყენილ, შემოდგომის ანტურაჟს.

„სამაგიდო რეპეტიციები“, რომელიც ჩემთვის დღემდე გრძელდება, მასწავლებელთა სახლის ბიბლიოთეკაში დაიწყო.

სხვადასხვა სკოლელი „დამწყები მოკალმე“ სამკითხველო ოთახის ოვალურ მაგიდასთან ვისხედით და თვალებში შევყურებდით „სპექტაკლის რეჟისორს“, თავად ახალგაზრდა, ადგილობრივ ნაბეჭდ ალმანახში რამდენიმე ლექსგამოქვეყნებულ ჭაბუკ პოეტს.

ახალგაზრდა რომ იყო, უფრო დღეს ვაცნობიერებ, თორემ მაშინ ისე გვექცეოდა, როგორც ასაკით დამძიმებული, ყველაფრის თუ არა, ბევრის მნახველი, მცოდნე ოსტატი თავის შეგირდებს.

წინ დაწყობილ ხელნაწერებს თვალს მოწყვეტდა, პოეტისათვის შეუფერებელ, უფრო კირითხუროს ღონიერ თითებს ერთმანეთში ჩახლართავდა, დაატკაცუნებდა, მოწყალებით გაგვიღიმებდა და, აბა, ვისგან დავიწყოთ, უფრო სწორად, ვინ დაიწყებსო.

ჯერ ერთმანეთს გადავხედავდით, მერე უბიდან ამოღებულ, ნაკეცდაყოლებულ თორმეტფურცლიან რვეულებს ხელისგულით გავასწორებდით და ზოგი თამამი, ზოგიც ათრთოლებული ხმით, უჯრიან თუ ცალხაზიან ფურცლებთან განდობილ ჩვენი გულის საიდუმლოს წრის სხდომაზე გავამხელდით.

ოჰ, როგორ მოგვწონდა ჩვენი თავიც და ისიც, რასაც ვკითხულობდით, თუმცა, ჩვენი ნაცოდვილარის მოსმენა მაინცდამაინც დიდ სიამოვნებას რომ არ ანიჭებდა, ამაზე პირზე ხელის ნებმიფარებული ახალგაზრდა პოეტის მოწყენილი თვალებიც მეტყველებდნენ.

რაღა დარჩა იმ „როლებიდან“, იმ ტექსტებიდან, ან ჩვენგან რა გამოდნა, ვინც ჯერ კიდევ შემოვრჩით, ბიბლიოთეკის სამნათურიანი ჭაღით კი არა, ჩვენი სინორჩით და გულუბრყვილო იმედებით გაჩახჩახებულ სამკითხველო დარბაზს!..

პრიალა, შეჩვეული მაგიდა არ გამოდგა იოლად მოსახნავი გაყამირებული მინდორი, სახელ-დიდების დიადემამ ვერ დაამშვენა უმრავლესობის მოლოდინი, ჩაიშალა ნიჭიერების საკისარი, გატყდა სახნისი, პირველი და უკანასკნელი ხელნაწერები, „როლები“ დამწყებთათვის, სამუდამოდ ჩაყურყუმელავდნენ მაგიდის აბლაბუდიან უჯრებში.

რატომ მივუსხედით ასე იოლად საჯილდაო, ოვალურ მაგიდას? ნუთუ იმიტომ — „რომ ამ გზაზე ზღაპარია მგოსანთ სითამამე“ — ხუმრობით წამოძახილი გვეგონა, სამყაროს ერთ-ერთი დიდი, ტანჯული პოეტისა?

რატომ ვერწმუნეთ ახალგაზრდა „დამრიგებლის“ მოწყალებით გადმოგდებულ „კარგია-კარგიას?“

რატომ დაგვიმალეს, რომ თუკი „სცენაზე“ გაგვიმართლებდა, სამაგიეროდ გაბოროტებული „კულისები“ იყრიდნენ ჯავრს წარმატებისათვის — ტყვია, სახრჩობელა, სისხლი, ცრემლი... აი, მოსალოდნელი საპასუხო „ოვაციის“ ნაირფერობათა ფეიერვერკი...

ასეა, ძმაო, შედარებით „რბილმა“ გასული საუკუნის ბოლო მეოთხედმა დაგვინდო, თორემ ვინ იცის, ვის როგორი ხვედრი მოინელებდა.

ამ „ხვედრის ღირსი“ ყველა ვერ გახდება!

გარსია ლორკას ჯალათები, პოეტის მკვლელობის მერე, გამომთვრალები, მის ლექსებს მღეროდნენო.

ჰო, გარსია ლორკა გავიხსენე!

ნეტავი რას აკეთებდნენ ტიციანის ჯალათები, მისი დახვრეტის შემდეგ?

ხომ არ ფიქრობდნენ, რომ პოეტის წინასწარ ჩვენებას — „მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე“ — სამუდამო მტკიცებულებად მიიღებდა მკითხველი შთამომავლობა და ნამდვილი დამნაშავეები უფლისთვისაც კი უჩინარნი დარჩებოდნენ?

ვწერდი. თავი ავწიე.

სარკეში დავინახე, როგორ გამოვედი „როლიდან“, დაღლილი თვალები მოვიფშვნიტე და „ორეულს“ ვუსაყვედურე, ბიბლიოთეკის ოვალურ მაგიდას ტყუილად უჯექი, ერთი ტყვიის ან თოკის ნაგლეჯის ღირსი როგორ ვერ გახდი-მეთქი!..

რაც ფასეულია, რაც ერმა გულის ფიცარზე შვილთაშვილთათვის გადასაცემად დაიწერა, ბევრიც ეცადონ, ვერც იმას წაშლიან და ვერც მათ შემქმნელთა სახელებს — მათი უკვდავება, თავად დრო-ჟამმა, როგორც მჭედელმა ცეცხლში გავარვარებული რკინა, ეგრე გამოკვერა.

ასეა თუ ისე, მაინც ხვედრით „კმაყოფილი“ დგახარ თავის დასაკრავად ბედისწერის მცირე სცენაზე და მიყურადებულს

მხოლოდ შენ ჩაგესმის, მადლობის ნიშნად, იანვრის გარინდული ხეებიდან ჩამორეკილი ფიფქების ტაშისცემა.

მტრედები

გორის ციხის კიბით დაბლა ვეშვები.

ქვემოდან ბიჭი მოდის, ქვაფენილიან აღმართში ქოშინით მუყაოს ყუთი მოაქვს.

შევხედე, ჩემი შვილების თანაკლასელია.

დიდი ხანი არ მენახა, მივესალმე, გადავეხვიე.

ყუთში რაღაცები შეფრთხიალდნენ.

მტრედებიაო, მითხრა, ციხეზე უნდა ავიყვანო და გავუშვაო.

ქვემოთ გაგეშვა, რატომ წვალობ-მეთქი.

სიმაღლიდან ცაში რომ ასრიალდებიან, ჰაერში ტრიალს და სხვადასხვა ილეთებს სწავლობენო.

მერე, სად წავლენ, ვარჯიშს და „სწავლა-განათლების“ გაკვეთილს რომ მოითავებენ-მეთქი.

შინ, ჩემთან, ეზოში, სამტრედეში დაბრუნდებიანო...

დაბლა რაღა ჩამიყვანდა, შევბრუნდი და უკან ავედევნე.

ავედით. ყუთი აღმოსავლეთის გოდოლზე ჩამოდო, თავსახურის ცალი ფრთა, გამხდარი, ჯერ კიდევ ბავშვური ხელებით ახადა, თითქოს ყველი ამოჰყავდა, ფრთხილად ხელისგულებში მოიქცია და რიგრიგობით ექვსი ულამაზესი თეთრი მტრედი ცაში აუშვა.

მაღლა აჭრილებმა იქაურობას შემოუფრინეს, ამომავალი მზის სხივებზე ააელვარეს კრიალა ბუმბული, იტრიალეს, ილაღეს და მერე, ნელ-ნელა, ქვევით დაიწყეს დაშვება.

რამდენი მტრედი ჰყავდა, დავინტერესდი.

ოცდაათიო.

ამდენი ფრინველის გამოკვება არ არის ადვილი.

ჰო, მადას არ უჩივიანო, გაიცინა, ისე, თავმდაბლები არიან, არაფერს იწუნებენ, სიმინდი, ხორბალი, შვრია, დამბალი პური... რა ვქნა, რადგან მყავს, უნდა მივხედო კიდევაცო, თუ დასჭირდათ, ვუმკურნალო, სადგომები დავუსუფთაო... ცოტა დრო და ენერგია კი არ სჭირდებათო...

მერე არ გიძნელდება, მტრედებს შენც ვაუჩერებს ხომ არ აძლევ-მეთქი.

ამაზე არაფერი მიპასუხა, მხრები აიჩეჩა, ალბათ, გაიფიქრა, ვაუჩერით გამაძღარი ჩიტი ან ადამიანი სად ნახეთო.

რადგან მყავს, უნდა კიდევაც მოვუაროო.

ამ ყმაწვილის პასუხისმგებლობის გრძნობა, ნეტავი იმათაც ჰქონდეთ, ვისაც საპატრონოდ ვყავართ...

ბიჭი გაბრწყინებული თვალებით მიაცილებდა ქვემოთ-ქვემოთ დაპატარავებული მტრედების მოძრავ წერტილებს და, ასე მეგონა, ციხის გოდოლზე შემომდგარი, თვითონაც გამხდარ მკლავებს დაიქნევდა და „ღვთის ფრინველებს“ მეშვიდე მტრედად დაედევნებოდა.

სადალაქო

დაიბანა, ხაოიანი გაცრეცილი პირსახოცით თავი ალუმინის ტაშტზე წაღუნულმა გაიმშრალა.

მერე სამართებელი ბოძზე დაკრულ ლურსმანზე ბალთით ჩამობმულ ბრტყელ ტყავის ქამარზე აუსვ-დაუსვა... კიდევ აუსვ-დაუსვა... ააქაფა საპონი, ამოაწო ფუნჯი და სახე ბამბასავით აიფუმფულა.

პირი რომ გაიპარსა, იაფფასიანი ოდეკოლონიც წაიცხო. მკერდზე დიდჯიბეები-ანი, მონაცრისფრო ხალათი ჩაიცვა და თავის საამაყო ვერცხლის ქამრით წელი დაიმშვენა. სარკეში თმაგადავარცხნილს, ეტყობა, თავისთავი მოეწონა, მიუბრუნდა საჩეჩელთან ფეხმორთხმულ ბებიაჩემს, აბა, ასე გაკოხტავებული ქალაქში გავიშვებიო?

ვითომ რატომ არაო, სათვალის ზემოდან გამოხედა ბებიაჩემმა.

ქალაქელი ქალების არ გეშინია, რო აღარ გამომიშვანო.

თვალი იმათ დასდგომიათ, ნუ გამოგიშვებენო.

— აი, სულ ეგეთი იყავი, ახალგაზრდობაშიც, ოღონდაც მარტო ჭანჭური და ნაქარი ვაშლი გეჩირა, სხვა არაფერი გაინტერესებდა! — ასე იოლად რომ გაიმეტა „ქალაქელი ქალებისათვის“, სერიოზულად გაუბრაზდა პაპაჩემი.

ნეტა შენაო, გაუტრიზავა ცხვირის კეხზე სათვალე დაკოსებულმა თანამეცხედრემ — დროზე ამოდი, ნაფუძარში ლობიოა გასათოხნი, მოედო ბალახიო.

პაპაჩემმა მე და ბიძაჩემი წინ გაგვირეკა, ფეხს აუჩქარეთ, ავტობუსმა არ გაგვასწროსო.

ჩამოვედით ქალაქში, მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით გვატარა და ციხისუბანში, ქვაფენილიან ჩიხში, ქვის კიბით ნახევრად სარდაფ-სადალაქოში ჩაგვიყვანა.

გამარჯობა, იასონო!

გაგიმარჯოს, გიორგიო!

აი, ბიჭი მოგიყვანე, ამასწინათ რომ გეღაპარაკე. ცხოვრებაში გამოსაყენებელი კაცმა რაღაც ხელობა უნდა იცოდესო...

რომელი, ესაო? — თითი მომაშვირა დალაქმა.

ეგ როგორაო, დიდსა და პატარას ვეღარ არჩევ, ეგ ჩემი შვილიშვილიაო.

რა ვიცი, ლამის ერთი სიმაღლისანი არიანო და...

გადმოუღო ბიძაჩემს თახჩიდან თეთრი ხალათი, აბა, მოირგეო.

ამანაც მოირგო და ხალათის ბოლომ ლამის კოჭებიც დაუფარა...

ბიძაჩემი ღამე ჩვენთან რჩებოდა, დღე სადალაქოში შეგირდობდა.

ჩემი სკოლა იქვე იყო და ხშირად შევუვლიდი ხოლმე.

დალაქობა როდის უნდა ესწავლა, არ ვიცი, რამდენჯერაც მივედი, სულ ცოცხი ეჭირა და ოსტატის მიერ გაპარსულ-გაკრეჭილი კლიენტის ძირს ჩამოფერთხილ თმა-ბეწვს აქანდაზზე აგროვებდა.

ერთად რომ იდგნენ, სიცილს ვერ შეიკავებდი, დალაქი მაღალი, კუზებამოყრილი, ეს პატარა, დაბალი, ჩაფართხუნებული ხალათის ჯიბეებს ხელებს ძლივს რომ უწვდენდა და, როგორც კენწეროს, მასწავლებელს ეგრე, უკან კისერგადაღუნული აჰყურებდა.

გულს ვერ უდებს, თორემ კარგი ხელი აქვსო.

თან გაკიცხა, თან შეაქო პაპაჩემთან.

ოსტატმა დალაქობაში ნიჭიერება როდის შეატყო, ვერ გავიგე, აკი ვთქვი, ხელში სულ ცოცხი და აქანდაზი ეჭირა-მეთქი.

მერე და მერე, როგორც იქნა, კისრების „შესასწორებლად“ მიუშვა, თან დოინჯშემოყრილი აკონტროლებდა, უფრო იმის მერე, ვიღაცას, მაკრატლის წვერით ლამის ბიბილო რომ გაუნახევრა.

თითქოს დაბალ-მაღალი იმიტომ იყვნენ, თუ შეგირდს რამე შეეშლებოდა, მასწავლებელს კეფაში ხელი კარგად წამოერტყა.

მოკლედ, სერიოზულ, სტაჟიან კლიენტთან როდი მიუშვებდა, შემთხვევით შემოხეტებულ, ჩამოსულ სოფლელს ან ვინმე ბიჭ-ბუჭს თუ დაუსვამდა.

ქალაქში თავგაკორტნილს რომ დავინახავდი, ყველა ბიძაჩემის „ნაოსტატარი“ მეგონა.

წელიწადიც ვერ გაძლო, სადალაქოდან წამოსული ახლა საშოფრო კურსებზე მიაბარა პაპაჩემმა და დალაქთან პრაქტიკა მიღებული ცოდნა-გამოცდილებას შინაურებში, დედმამიშვილებში და დისშვილ-ძმისშვილებშიღა იყენებდა.

სკამზე რომ დაგვსვამდა და საქმეს შეუდგებოდა, ხომ წარმოსადგენია, რა ცრემლისღვრასა და წიოკშიც ვეყოლებოდით, მაგრამ ვინ შეგვიბრალებდა — ოღონდაც საპარიკმახეროს ფული დაეზოგათ და სატანჯველად გვიმეტებდნენ მშობლები, განსაკუთრებით დედაჩვენები.

მერე შეირთო ერთი თავისავით ცეროდენა ყოჩაღი რუსი პედაგოგი ქალი.

იყიდა მანქანა, ხან ვაჭრობდა, ხანაც „ტაქსაობდა“.

შეეძინა ქალიშვილები.

ერთი დიდ მოსკოვში გათხოვდა.

ქვეყანა რომ აირია, აქაურ გაჭირვებას, სიცივეს და უსინათლობას გაექცნენ — შვილმა და სიძემ სამივე მოსკოვში წაიყვანეს.

რამდენიმე თვე გაძლო.

თითქოს არაფერი აკლდა, საჭმელ-სასმელი, სითბო და მოფერება, მაგრამ უცხო გარემომ თანდათან დათრგუნა, დააბეჩავა, კიდევ უფრო დაეპატარავა, დააჩიავა, თავისი ენატრებოდა — ფიქრებით და სიზმრებით აქეთ იყო, სხეულით — ჩრდილოეთის დედაქალაქში.

გაღიმებულს იშვიათად ხედავდნენ, როცა იცინოდა, თურმე მაშინაც კი ამოუცნობი ნაღველი ედგა თვალებში.

ვერ გაიგეს ვერც შინაურებმა, ვერც ექიმებმა ამ ნაღველის „შინაარსი“ და წარმომავლობა, ანდა როგორ გაიგებდნენ თავის სამშობლოში გაბიბინებული რუსები უკურნებელი ავადმყოფობის მიზეზს, რასაც იძულებით გადახვეწილების ენაზე ნოსტალგია ჰქვია.

სულის ტკივილს როდემდე გაუძლებდა!

ერთ დღესაც მიიბარა უფალმა!

უცხო მიწამ ჩაიხუტა.

ამას წინათ, შემთხვევით, იმ ჩიხში, იმ ნახევარსარდაფთან მოვხვდი — ძველ, საღებავაქერცლილ კარზე საგულდაგულოდ დაელურსმათ ჯვარედინი „რეიკა“.

ჩასასვლელი ნაგავსა და ფოთოლს ამოევსო.

როგორც მითხრეს, ვიღაცას, სადალაქო კაი ხნის წინ გაეუქმებინა, დაემარხა და ჯვარი დაესვა.

მელია

ნახნავებით დალიანდაგებული ველი ზამთრისპირის ქარმა გასუდრა.

კავკასიონიდან წამოსული სიცივით გალურჯებული მდინარე მინდორს გვერდით მისწოლია და გამთოშავი ორთქლით ჭირხლავს.

ღრმა, ჩათბუნებულ სოროებში გაყუჩებულ თაგვებს შიმშილი თუ ამოაყოფინებს ცხვირს, მიიხედ-მოიხედებიან წირპლიანი თვალებით და მცირე ფაჩუნზეც ისევ უკან ჩაძვრებიან მათი მტერი მხოლოდ შიმშილი, ყინვა და ქარაშოტი არ არის — დასუნსულებენ მელიები, გულისგამაწვრილებლად წიოკობენ კვერნები.

ქარი რომ ჩადგება, მინდვრის დაგუბებულ დუმილში სმენას ნემსივით ჩხვლეტს მათი მოთქმა-წუწუნი.

არ იციან თაგვებმა, რომ უარესი და დაუნდობელი მტერი, მათზე მონადირე ოთხფეხებსაც ჰყავთ — ადამიანი.

აი, ის, ლელიანის სიახლოვეს, პირგანიერ სოროებიან დაბლობში ხაფანგი რომ ჩადგა და, თვალის ასახვევად, გაგლეჯილი ხმელი ბალახი წააფარა.

ჩამუხლულმა კაცმა სიგარეტს მოუკიდა, აწითლებული ცხვირის წვერი მაჯით მოიქექა და სტვენა-სტვენით სოფლისკენ წავიდა.

მეორე დღეს ადრიანად გამოჩნდა, ოღონდ მარტო არა, პატარა, წკეპლიანი ბიჭიც ახლდა.

ისიც ცხვირაწითლებული მოჰყვებოდა და ცდილობდა, არ ჩამორჩენოდა. მოვიდნენ დანიშნულ ადგილას, კაცმა მიიხედ-მოიხედა და სიგარეტიანი ხელით ნახევარწრე შემოხაზა, ხაფანგი აქ სადღაც ჩავდგიო.

ბევრი ძებნა არ დასჭირვებიათ, ბიჭმა მიაგნო და, ჩქარა მოდი, რა განახოო.

ალბათ, დაიჭირაო, სირბილით წავიდა კაცი.

მელიას ნაცვლად ნაბუღრავები, ნაფხოჭნი მიწა, ნაწვალები, სისხლიანი ხაფანგი და შიგ ჩაჭედილი თათი დახვდა.

თაგვებზე და ქათმებზე მონადირე, იგავ-არაკების სწორუპოვარი გმირი, ეშმაკი და მოხერხებული, ეტყობა ალღომ და ყნოსვამ დააღალატა, ღორის მოხარშული ტყავის სურნელმა გააბრიყვა და გატკაცუნებულ ხაფანგს გაესკვანჩინა.

რიჟრაჟამდე იწვალა, მაგრამ თავი ვერ დაიხსნა, ვერც ჯაჯგურით, ვერც ბასრი კბილებით, ვერც წკმუტუნით შეაცოდა თავი გულქვა რკინას.

სოროებში განაბულ თაგვებს არ აძინებდათ მელას მოთქმა, მაგრამ რა შეეძლოთ, ანდა კიდევაც შესძლებოდათ, დაუძინებელ მტერს ვინ მიეხმარებოდა.

გაბმულმა მელამ იცოდა, გათენდებოდა და ხაფანგის დამგები მოვიდოდა, ანდერძს აუგებდა.

არ უნდოდა სიკვდილი, ახლა უფრო გაუტკბა სიცოცხლე — როგორც კი მინდვრის ბოლოში ვიღაცები დალანდა, ლაქაშებისკენ გეშაღებული რომ მოიჩქაროდნენ, უახლოვდებოდნენ, რაღა უნდა ექნა, დაყნოსა ხაფანგში ჩაჭედილი თათი, ენა აუსვა, თითქოს მოუბოდიშა, წკმუტუნით მოეფერა და მერე კოჭზემოთ ყბებში მოქცეული, ხერხისპირივით კბილებით გადაღრღნა, ტყვეობიდან თავი დაიხსნა.

გასავათებული, ტკივილით სულგამწარებული, მაგრამ მაინც ბედნიერი, რომ გადარჩა, ნაჭაობარის ლელქაშს შეერია და იქიდან უთვალთვალებდა ადამიანებს, ხაფანგთან ჩაცუცქულები, მისი სხეულის ნაწილს, ტანჯვით დათმობილ თათს ხელში როგორ ატრიალებდნენ და თან გაოცებულები თავს აქნევდნენ, ნახეთ, ეს რა უქნია, თავი რომ გაეთავისუფლებინა, რა ჩაუდენიაო...

მელიას ეს სევდიანი ამბავი, რამდენიმე დღის წინათ, ნიქოზში გამახსენდა:

მეუფეს სახლის აივნიდან ცხინვალის ცხვირწინმომდგარ გარეუბნებს გადავყურებდი — ეგრეთ წოდებულ შანხაის რაიონს, უფრო ზემოთ შეყოლებულ, „ყოფილ“ ქართულ უბნებს, ღალატის ხაფანგი რომ დაგვიგეს, დაეპატრონნენ, მიიტაცეს.

მიიტაცეს თუ, უფრო მეტის დაკარგვის შიშით, ჩვენ თვითონ მოვიკვეთეთ, გადავღრღენით და მელასავით დავრჩით, სისხლჩამომდინარე, ფეხაკანჩურებული.

ჩრდილოელმა ყასაბმა გაიმეორა რაც არაერთხელ გადაგვხდენია, როცა ჩვენ სამშობლოს აჭრიდნენ სხეულის ნაწილებს, ანდა თვითონ ვთმობდით დადამბლავებულ კიდურებს, ჩვენი სახსენებელი რომ არ გაექროთ — ავად თუ კარგად ქვეყანა და თავი გადაგვერჩინა...

იქ კი, მინდორში, გულდაწყვეტილმა ადამიანებმა, ნადირი რომ დაუსხლტათ, მაგრამ თან მელიას სიმამაცით გაკვირვებულებმა, ხაფანგში გადაღრღნილი თათი სოფლის შესასვლელში შემოგებებულ, აყეფებულ ძაღლებს მოსაგერიებლად გადაუგდეს. ისინიც, ნაწყალობევის დასაპატრონებლად, ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაერივნენ, თათი მტვერში ააბურთავეს და გზას დამდგარი კაცი და ბიჭი აღარც გახსენებიათ.

დუმფარა

კაცი წყურვილს ძლივს რომ მოიკლავდა, იმხელა, კიდეებზე ხავსმოდებულ საგუბარზე ხელივით გადაფარებული ისე თრთოდა, თითქოს, სიჩუმეში, ალიკლიკებულ წყაროს ეფერებოდა, თან მტვრისგან, ტოტებში ჩამოჭიატებული სხივების მცხუნვარებისგან იფარავდა, ამიტომ წყალი სულ გრილი, კრიალა და გემრიელი იყო.

წამოუწვებოდი, გადასწევდი გვერდზე მოცახცახე ფოთოლს და წყაროს დაეწაფებოდი.

„დუმფარა-დუმფარა, დუმფარა-დუმფარა“ — ენის გასატეხივით ვიმეორებდი, მერე სიტყვას ასოებს ვაკლებდი და ახალი სიტყვები გამომყავდა — დუმფარა... უმფარა... მფარა... ფარა... არა... რა... ა!

ერთი ფოთლის სახელიდან ოთხი სიტყვა და შორისდებული, ცოტაა?

ახლაც, თითქოს სადგურიდან დაძრულმა მატარებელმა აუჩქარა, თანდათან უფრო ხმამაღლა და გამოკვეთილად ჩამესმის — „დუმ-ფარა, დუმ-ფარა, დუმ-ფარა, დუმ-ფარა“... მერე და მერე, მოსახვევებს რომ გასცდა, უფრო ხმამაღლა და ომახიანად გარეკა — ჩაიქროლა მატარებელმა, „დუმ... დამ... დამ... დუმ, დამ... დუმ... დუმ... დამ!..“

ისეთია, თავბრუდამხვევად რიტმული, შეიძლება საცეკვაოდ ცერულიც კი გაუსვა!..

ჩაშრა ის წყარო, ჩაჭკნა ის ფოთოლიც.

ორივე ერთმანეთს აცოცხლებდა, ახალისებდა და, როგორც კი გუბურა ამოშრა, დუმფარამაც დალია სული.

წავიდა და თავისი სახელიც თან წაიღო თუ თავქვეზე დაქანებულ წყალს გააყოლა...

კიდევ რამდენმა სიტყვამ, სახელმა „შეაფარა“ თავი დავიწყებას, რად უნდა ამდენი თავისმტვრევა — ზოგადად „ფოთოლი“ და მორჩა და გათავდა — ვიღას სჭირდება მრავალფეროვნება, ნაირნაირობა, ფერები, ქართულმა ენამ საუკუნეების მანძილზე იუველირის მონდომებით რომ ძერწა, აჩუქურთმა, ყველას და ყველაფერს თავთავისი შესაფერისი სახელი მიუსადაგა.

როგორც სახელმწიფო საზღვარს, ენასაც დაცვა და მოფრთხილება უნდა.

ჩვენ, ჯერჯერობით, ვერც ერთს ვერ ვახერხებთ.

აიკლეს, მიწასთან გაასწორეს ჩვენი სამეტყველო კულტურა — უნდათ, მეფური დიდებულებით გაწყობილი ტრაპეზის მაგიდიდან, უსახური, პლასტმასის, პოლიეთილენის ჭურჭლით გაწყობილ სუფრასთან გადაგვსხან და საბოლოდ „გამოგვალანჩონ“.

დავიწყებული სიტყვებიც ენის საყრდენ კედლებს გამოცლილი კუთხის ქვებია.

ერთი სიმღერა მახსოვს, ბავშვობიდან ყურში ჩარჩენილი:

„თებრო, თებრო, ლალისებრო“ — მეორდებოდა, რეფრენად გასდევდა სტრიქონებს „სებრო“, რაც უფრო სამშვენისი იყო ტექსტისა.

თებროს ვიღა უმღერის, მაგრამ აი, სებრო კი უკვდავი გამოდგა, ისევ ამოყო, შეგვახსენა თავი.

იქ თუ ერთი „ლალისებრო“, მიჯნურის გულის სიმებს შეაფრთხიალებდა, ახლა ამდენი „სებრო-სებრო“, ისეთია, როგორც ნატურალურის ანტაგონისტი, განსხვავებული, ხელოვნური, თავისი საეჭვო წარმომავლობით, მხოლოდ შეფუთვით, ფერით, გემოთი ნამდვილს მიმსგავსებული.

გამოიტენა მარკეტების თაროები, „ხაჭოსებრი“, „მაწვნისებრი“, „არაჟანისებრი“, „რძისებრი“ და ვინ მოთვლის, რასაც არ აწერია, ხომ ვიცით, ისიც „სებრი-სებრია!“

ოლა პურს რომ ჩააკრავდა, გახურებული თონე ყუადაბრაწული შოთის სურნელს რომ ამოიფშვენდა, ლამის მთელ სოფელს მოჰფენდა, ახლა „ბუხანკა“ ცხვირთან მიგაქვს, ყნოსავ და ვერ გაიგებ, რა შემოგასაღეს, პური თუ აგური.

ესეც „სებრია“ — პურისებრი!

მთავარია, რაღაც არ დაიწყოს, თორემ მერე ვიღა არის თანდათან მოდიდებული წყალვარდნილის შემჩერებელი — პირველ შემთხვევაში თუ შენი პირის გემოს (სხეულის ორგანოებს რა დღე ადგათ, ეს დღევანდელ, საეჭვოდ მომრავლებულ საავადმყოფოებს და აფთიაქებს ვკითხოთ!) „თავმოყვარეობა“ ხაჭოს ილუზიით, ასე თუ ისე დაკმაყოფილებულია, ახლა ამ „სებრი-სებრების“ ახალი მიმართულებები ნახეთ — მომრავლდნენ კაცისებრები, ქალისებრები, აქედან გამომდინარე, უნდა ველოდოთ ხელოვნურად მოვლენილ ბავშვისებრებსაც, დღევანდელობამ, რასაკვირველია, ამოფურჩქნა „ქართველისებრები“, აქ ცოცხლებს რომ აკლიან, იქ — მკვდრებს, „სინდისისებრი, ნამუსისებრიც“ კი რომ არ გაეჩნიათ! უკანა რიგებში ჩააჩოჩეს „ნატურალური“ ადამიანები, მათი ასპარეზი „სებრებმა“ გადაფარეს, მოედნენ, ამოავსეს სახელისუფლებო ღრმულები, ნაპრალები და, იმათ ბედს განაგებენ, ვისი ფრჩხილის ფასიც არ არიან.

„სებრი-სებრების“ მრავალფეროვნებამ არანაკლებად კულტურა, მწერლობა „დაამშვენა“.

არაჟანს თუ ეპატიება „სებრობა“, გონებაგაცვედნებული „კაცისებრი“ პოეზიის პეგასს გასახედნად რომ ეჩალიჩება, ამას რა ვუყოთ, ვაპატიოთ მკითხველის ტვინების გარყვნა?..

ეჰ, დუმფარა, შენ რა გითხარი, რას მერჩოდი, რატომ ამტეხე!

იქნებ არ დამჭკნარხარ, მწვანედ დაძარღვული სადღაც ჯერ კიდევ იფარავ მიწის კრიალა ამონაჟურს.

იქნებ!

არ ვიცი!

იქნებ!.. დუმ-ფარა, დუმ-ფარა, დუმ-ფარა, ფარა-დუმ!..

დედაჩემი

სიცხით გაბრუებულს, სიზმარში, ღია აივანზე შემოყრილი თოვლის ხრაშუნის ხმა ჩამესმის. ხრაშუნი დერეფნის ბოლოში, მოწნულისკენ მიდის.

მოწნულში სანახევროდ მიწაში ჩამჯდარი, პირგანიერი, სიპი ქვის თავსახურმოხდილი, ორვედროიანი ქვევრიდან თავბრუდამხვევი, ერთმანეთში არეული ნიახურის, ნივრის, კამის, მოლივლივე წიწაკის და შემრეშილი, დამწნილებული პომიდვრის სურნელი ამოდის.

ქალი ოდნავ პკემოგდებულ, ქვევრის ყელში ჩაფენილ მწვანილეულის ნაზავს გვერდით გადასწევს, ემალის ჯამში მწნილის წვენში გალაღლაღებულ პომიდორს ჩაალაგებს, მერე ზემოდან ცხარე წიწაკებს გადააწყობს და თვალისა და ყნოსვის საამებლად ნიახურითაც დაამშვენებს.

სიპი ქვა ისევ ქვევრის თავს დაეფარება, დაიჭრიალებს ჟანგიან ანჯამებზე გულგაწვრილებული მოწნულის კარი და ხრაშუნი ახლა აქეთ, ჩემკენ წამოვა.

გამოწვდილ ხელებს ჯამი ჩამოვართვი.

შევხედე და, დედაჩემია!..

— აიღე, სიცხიანს მოგიხდება, — მეუბნება.

თვალს ვახელ, არც დედა, არც ჯამი, არც დერეფანი, თოვლი ხომ... ჯერ რა დროსია, ანდა როცა დრო მოუვა, მაშინ კი მობრძანდება?

მეორე ოთახში შვილი ფორტეპიანოზე უკრავს, ძალიან ძველ, მარტივ, უპრეტენზიო, მაგრამ მელოდიურ „სონატინას“.

ვუსმინე, ვუსმინე და თანდათან, ნარბენივით, გული ლამის ამომივარდა.

მკერდში ისეთი ნაღველი ჩამიგუბდა, ტირილი მომინდა, გულიანი, ხანგრძლივი, უპეებიდან მომსკდარი ცრემლის მარცვლები ერთმანეთს რომ ეჯიბრებიან, უსწრებენ და აცახცახებულ ნიკაპთან ინასკვებიან.

ბავშვობაში დასაძინებლად ლოგინში რომ შევწვებოდი, ჩავთბებოდი, ძილ-ბურანის ნეტარებით გასუსული, ბალიშზე ლოყაზე ხელისგულმიდებული მივჩერებოდი მძიმე, თუჯის ალაპლაპებულ უთოს ძირზე თითს რომ დაჰკრავდა, ცხელია თუ არაო და ეზოდან შემოტანილ, სიცივით გაფხუკულ ყინვის სურნელშემოყოლილ სარეცხს მაგიდაზე დაახვავებდა.

სარეცხს დანამვაც აღარ უნდოდა, დაჭიმავდა, ხელისგულით გატკიცავდა მაგიდის საუთოებელ საფენზე და ვხედავდი, როგორ დაცურავდა უთო ყინულმჭრელივით თეთრად აქაფქაფებულ თეთრეულში, ხან გზას მიკვალავდა „რიფებს“ შორის, მისწი-მოსწევდა „ყინულის“ ნატეხებს, ხანაც თავზე დაემხობოდა მიტკალის „ტალღები“ და ჩაყლაპავდა ატივტივებული ნაფოტივით.

ზეწრები, პირსახოცები, საბნისა და ბალიშის პირები, დაკეცილები ლაგდებოდნენ ერთმანეთზე, ზოგჯერ გაუთოებულს ხელს გადაუსვამდა, ეფერებოდა, მოსწონდა ნახელავი... თან ჰყვებოდა, ჰყვებოდა, რაღაცას თავისი და თავის შინაურების ცხოვრებიდან, უკვე მომხდარ ეპიზოდებს, ზოგს მხიარულს, ზოგსაც ნაღვლიანს...

ამ ერთ-ერთ, დანარჩენების მსგავს, ჩემი ბავშვობის დროინდელ, დედაჩემზე მოგონებებს სწორედ ეს „სონატინა“ ეხმიანება, სინქრონში, შეხმატკბილებულად ჩამესმის.

ჩამესმის და მიკვირს, ცხოვრების ორომტრიალსა და ჩარბუზანაში ჩაკარგული კენჭივით, მაშინდელი, მივიწყებული საღამო, თვალის წამიერი დახამხამება, ვინ ამოისროლა, ამომიგდო უკან...

გაელვარდა და გაქრა.

უფრო სწორად, თანდათან ამაღლდა, როგორც ცისკენ გაქცეული თაფლის სანთლის ნაპერწკალი.

ფორტეპიანომაც ბოლო ბგერები ჩამოაწანწკარა.

სიჩუმემ გამომაფხიზლა.

გამახსენდა, წელს უჩემოდ ჩამოილია ჩვენი ბაღის კუთხეში ატუზული ალუბალი — ზემოთ-ზემოთ, კენწეროსკენ, აქა-იქაღა შემორჩა წითლად ჩამუქებული, თითქმის შემჭკნარი ნაყოფი.

ალუბალი — ფოთლებში განაბული ციცინათელები. ამათაც ან ჩიტები გაკენკავენ, ან ჩამოიმარცვლებიან.

— ალუბალია ჩამოსაკრეფი! — თქვა ერთ დილას ოთახის დალაგებაში გართულმა დედაჩემმა.

როგორც იცოდა ხოლმე თქმა, ისე, კონკრეტულად არავის, მაგრამ ყველას რომ გვეხებოდა, საქმეა და უნდა გაკეთდესო. რომელი ვიყოჩაღებდით, გავვარდებოდით ვედროთი და კიბით დახუნძლული ალუბლისაკენ, ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა — ოჯახურ საჭიროებაზე თითოეული ერთნაირად ვიყავით პასუხისმგებელი.

ერთხელ ნათქვამი უნდა გაიგონო, ხვეწნა-მუდარით გაკეთებულს რაღა მადლი აქვსო.

მაშინაც ასე გვითხრა და თან გასწორებული ლოგინის გადასაფარებელს ხელისგული როგორ გადააყოლა, ჩაასწორა, გაათანაბრა საწოლის ორივე მხარეს, მარტო ამის ყურება ღირდა.

ერთხელ, ახლობელმა სარძლოს „გასასინჯად“ გაიყოლა, წამოდი, შენი თვალი მაინც სხვაა, ბიჭს ცოლი მოჰყავს, ლობიოს ქოთანს ხომ არ ყიდულობსო.

ცოლი და ქოთანი რატომ დააწყვილა იმ ქალბატონმა, ვერ გეტყვით, ციცხვი რომ ეთქვა კიდევ ჰო, ციცხვი ამოზელს, ძირზე რომ არ დაიკრას, მოურევს, კერძს ცეცხლზე არ დაწვავს და, მწვანილითა და საკმაზით შეგემებულს ბოლოს თეფშებზე დაანაწილებს. ისე გააჩნია, ზოგი „ციცხვი“ ისეთი გამოდგება, ეგრე მიურ-მოურევს, ეგრე წაჰკიდებს, დააჭმევინებს შინაურს და გარეულს ერთმანეთს...

მოკლედ, დაბრუნდნენ, ქალის „მაშინჯრები“ და, როგორ მოგეწონა, რას იტყვიო, დედაჩემს ეკითხება სასიძოს დედა.

კარგიაო, თანაც თვითონ შენ შვილს თუ გულით უნდაო...

არაო, არ გიცნობ, წარბები ისე შეჰყარე, იქ რო ვიყავითო...

ჩემ წარბებს რას უყურებდიო...

არა, მაინც, მაინცაო...

რა ვიცი, ქალო, როცა გადააფარა, მაგიდას ცალ მხარეს სუფრა ოსის ჩოხასავით ჩამოსთრევდაო...

მაგას ისწავლის, შენ სხვა რამე თქვიო!

რა ვქნა, ეგ აქამდეც უნდა იცოდეს, ოჯახში მოგყავთ თუ სასწავლებლად გიმნაზიაშიო, გაეცინა და, არ ეწყინოსო, სადედამთილოს კალთაზე ხელი ჩამოჰკრა...

ეგეთი იყო, იმის თვალს არც ერთი წვრილმანი გამოეპარებოდა, მომავალში მსხვილმანად რომ შეიძლება გადაქცეულიყო...

ახლა ბალიშს როგორ ააფუმფულებდა? ფრთხილად, მოფერებით, თითქოს შიგ ჩაბუდებული, იმ ღამეს ნანახი, ჩვენი ლამაზი, ბავშვური სიზმრები არ უნდა დააფრთხოსო, საწოლის თავთან ეგრე გაბღენძილს და აფუებულს ჩამოდებდა.

მგონია, თავი ახლაც იმ ბალიშზე მიდევს და ცრემლით დაბურთულ თვალებზე ხელისგულებს ვიფარებ.

რას ვუფრთხილდები, მეც, ახლა, მარგალიტები არ გადმომცვივდეს!

→

ხმები

ᲘᲫᲜᲔᲑ სხვა მოთხრობაში ან ჩანაწერში უკვე მითქვამს, მაგრამ გავიმეოროთ, ამით რა დაშავდება?

მითუმეტეს, ეს შორეული ხმები, ახლა ბავშვობის სამრეკლოდან რომ ჩამესმის, ჩემი მუდმივი თანამდევია:

— ოლა, ოლინკა, გარდანქეშანო, ერთი დამენახვე და ჩემი გზით წავალ! — ეზოსთან ჩამოვლისას დაასჭექავდა ხოლმე შეზარხოშებული ტალანტაანთ კოლია და შიგნით არ შემოვიდოდა, ღონიერი მკლავებით კუტიკარს გარედან შეაჯანჯღარებდა.

ჭიპამდე ჩახსნილი პერანგიდან ამოვარდნილი გუგუნი, დაღმართზე ცეცხლმოდებული ბორბალივით დაგორდებოდა, დამფრთხალი, საჭორაოდ თავშეყრილი მეზობელი დედაკაცები, თვალს მოეფარებოდნენ, კოლიას სახლეულიც ისე მიიმალ-მოიმალებოდა, რომ როცა აივანზე მამა-პაპეულ ჭილოფგადაფარებულ ტახტზე გულდაღმა დამხობილი, გასაფრენად გამზადებული არწივივით მკლავებგაშლილი დევკაცი საღათას ჩაბარდებოდა, მაშინაც კი ძლივს პოულობდნენ ერთმანეთს.

მოგვიანებით კოლიას დედა სალაყბოზე ხელახლა გამოკრეფილ, თავშეყრილ მეზობლებთან ბოდიშობდა ხოლმე, არ გეწყინოთ, ხო იცით, სიფხიზლეში როგორი დამთმობი და კეთილიაო.

კოლიას დაძახილზე გამოვიდოდა ბებიაჩემი.

მოეხვეოდა.

მარტო ამასთან ბოდიშობდა.

დეიდაჩემო, დანარჩენების ასე და ისე, ოღონდ შენ არ გამიბრაზდე, რა ვქნა, დღესაც დავლიე და უნდა მაპატიოო.

რა მოხდა, რაც შენ ჯაფაში ხარ, დალიე, მაგრამ ზომაზეო...

არაო, აბა, ზომა-წონისა რა გითხრა, მაგრად კი დავთვერიო.

არც მაგით დაშავდება რამე, თუ არავის შეაწუხებ, ისე გამოფხიზლდებიო.

ჰო, ეგრე ვიზამ... შენ სხვა ხაარ და შენ დაგიჯერებ... რო არ მენახე არ შემეძლო... დარდებს ვაჭყუმპალავებ, თორემ ვისაც გულით დალევა უყვარდეს!.. შენ თუ ვინმე გაწყენინებს, ბიჭთან ექნება საქმეო, მკერდს ჩაიმჯიღავდა და, აბა, ქვებუდანებო, მოდის ტალანტას ნაშიერიო, მაღლა შეყრილ მკლავებს ეგრე, გუგუნით ჩავლილი, სახლამდე ძირს არ დაუშვებდა.

მამა, ტალანტა, ახოვანი, ხმელ-ხმელი კაცი, კოლმეურნეობის უწყინარი მოანგარიშე იყო, დედა კიდევ უფრო ჩულივით მშვიდი, უხმაურო, შეუწუხებელი და ეს აბეზარი კოლია ვის გამოემგვანაო — უკვირდათ სოფელში.

ოლინკა, ოლინკაო, რო გეფერება, დანარჩენებს რას გვერჩის, რატომ ამოგვიჩემა, მორიელი ხო არ შევუწვით, ქალოო, შესჩიოდნენ ისევ ბებიაჩემს.

რა ვიცი, თვითონა ჰკითხეთ და გეტყვით, დარწმუნებული ვარ, არ დაგიმალავთო.

სწყინდათ, აწუხებდათ კოლიას სიგიჟმაჟე, მაგრამ გამაფრთხილებელი ზარივით ჩამორეკილი მუქარის ხმა, ორპირივით რომ ჩაიქროლებდა, გაანიავებდა მოწყენილობით თავმობეზრებულ უბანს და სიცოცხლის ნიათს უბრუნებდა, ესეც ხომ საქმე იყო?

დრომ თავისი გარეკა.

აღარავინ აჯანჯღარებს ჩვენი ეზოს წაფერდებულ კუტი-კარს...

სად გაქრნენ ის ხმები, ის გადაძახილები, პურჩაკრული თონის პრიალი, მახობლის სურნელი, ნახირიდან დაბრუნებული საქონლის ბღავილი, ან ღობეზე შემოსკუპებული, მუგუზალივით აალებული მამლის ყივილი — რა უყვეს, მაშინდელ დილის მახარობლებს, რომელ კუნძზე დაადებინეს თავი? ანდა წიწილებდახვეული დედა კრუხის კრიახი და ადრიანად კვერცხდადებული, ვალმოხდილი დედლის კაკანი, რა ცამ ჩაყლაპა?

ის წყაროს წყალი რაღა იქნა, საწნახელივით მიმდგარ საგუბარში ჩამოწანწკარებული უღლიდან გამოხსნილ, გალექებულ ხარებს გულ-მუცელს რომ უგრილებდა, ულბობდა? ვინ იცის, აორთქლებული, მას შემდეგ წვიმად და ცვარ-ნამად რამდენჯერ მოვიდა, რამდენჯერ მოუკლა წყურვილი ბალახს, ხეებს, ადამიანებს...

რიგრიგობით ყველამ ჩაიარა, ჩაიარა და ამოვლაზე აღარ უფიქრიათ, რაღაც გაუგებარი და მძიმე მდუმარება დაეპატრონა დღევანდელ სოფლის უბანს.

დაეპატრონა და, აქა-იქა შემორჩენილ იმდროინდელებს, ვისაც მეხსიერება არ ღალატობთ, კოლიას გრდემლივით მკერდზე მუშტის ბრაგუნი, ოღრორჩოღრო გზაზე არდიგარდმო ფეხარეულის მიდი-მოდი ენატრებათ.

„გარდანქეშანოო!“ — როგორც მორის გადასაპობ სოლს ურო დაჰკრა, ეგრე გადასკდება ხოლმე იმ წლების სიჩუმე და სიმყუდროვე!

ასე ყოფილა!

აკი ვთქვი, ერთხელაც იყვნენ, ჩაიარ-გადაიარეს და მორჩა!

სათბურა

ვანო ჩხიკვაძე

ᲠᲝᲓᲘᲡ ეძინა, ვერ გეტყვით — ვწვებოდი, ფეხზე იდგა, ვიღვიძებდი — ფეხზე მხვდებოდა — სკოლაში წასვლამდე უნდა მიეხედა აკრიახებული ქათმებისათვის, საახალწლო, ღაბაბდადებული ღორისთვის, გზაზე გამოვლილი ნახირისათვის გაეყოლებინა მეწველი ფურდედო და დეკეული...

ᲤᲐᲠᲗᲝᲙᲐᲚᲗᲔᲑᲘᲐᲜ, ᲡᲐᲨᲘᲜᲐᲝ ᲮᲐᲚᲐᲗᲘᲡ შიგნით ადრიანად უკვე ეცვა საგარეო ტანსაცმელი — ხელ-პირს გადაიბანდა, ნაჩქარევად გადააყოლებდა თითებს და სავარცხელს საფეთქელთან ნაადრევად შეჭაღარავებულ თმას, უკან, კეფასთან შეკონავდა, დაახვევდა, „კოსოს“ სარჭებით გაამაგრებდა და გირებშებმულ გუგულიან კედლის საათს შეხედავდა — ღამის ცხრაც გამხდარა, ადექით, მიხედეთ აქაურობასო, დაიბარებდა ისე, ვითომ მაშინვე წამოვფრინდებოდით, ძირს არ დავუშვებდით იმის ნათქვამს და ბურს ავადენდით იქაურობას.

თვითონაც კარგად იცოდა, ასე რომ არ მოხდებოდა, მაგრამ თქმას წინ რა უდგას, აიხუტებდა გულთან წინა ღამეს ჩასწორებულ საკონტროლოს თორმეტფურცლიან რვეულებს და სკოლისკენ წაკუსკუსდებოდა.

კარის გაჯახუნება ძალუაჩემის ქოთქოთს წერტილს დაუსვამდა, სიჩუმე ისევ მიაძინებდა ოთახებს, დიდ-პატარას, ეზომიდამოს.

უღიმილო სახით თითქმის არ მინახავს. ცოტა მაშინ მოიწყენდა, ნაღველა თუ შეაწუხებდა, გაავსებდა სათბურას თბილი წყლით, მარჯვენა ფერდთან მიიდებდა, მიაფარებდა ხელისგულს და მოკალათდებოდა სავარძელში.

იქაც უქმად რა გააჩერებდა, გადაშლიდა წინადღით ჩანიშნულ წიგნს და კითხულობდა, კითხულობდა.

ზოგჯერ, ტკივილი რომ წამოაკვნესებდა, მე და ჩემ ბიძაშვილ გიას — თავის ნაბოლარას, საყვედურით გადმოგვხედავდა, ნაღველა, ბიძათქვენმა კოწომ უფრო მეტად ამატკივა, სკოლაში წასვლა აღარ მინდაო.

კოწო, დაბადების მოწმობით კონსტანტინე, თავისი უმცროსი მაზლი, პირველკლასელის მერხს რომ მიუსვეს, ახალმოყვანილი რძალი იყო, მას შემდეგ სწავლობდა ბიძაჩემი და როდის დაამთავრებდა ან თუ დაამთავრებდა საერთოდ, არავინ იცოდა.

— მსგავსი არაფერი მინახავს, დავსვამ, ვამეცადინებ, თითქოს იცის, მეორე დღეს გაკვეთილზე ავაყენებ და დგას სარგადაყლაპულივით, ისე შემომყურებს, თითქოს რასაც ვეკითხები, წინა საღამოს არ დავუღეჭე!

— დაანებე თავი, ყველა ნასწავლი ხომ არ გამოვა, აგე ნახირი და მაგის ჯანი! — დაუტევდა მეუღლე.

— ზოგი ჩემ დედამთილ-მამამთილს ჰკითხე!.. შენ მაინც მითხარი, რა მოვუხერხო, ბიძაშენსა, ბიჭო! — მიმიხუტებდა და, როგორც პედაგოგებს სჩვევიათ, შუბლზე მაკოცებდა, — რა ვუყოთ კოწოსა-მეთქი, აღარ იტყვი? რამდენჯერ უნდა დარჩეს, წვერ-ულვაში ჯაგარივით გაუხდა და ისევ პიონერია, ხალხო!.. ამას წინათ განათლების განყოფილებიდან შემოწმებაზე იყვნენ... კლასს როდესაც გადახედეს, მისაყვედურეს, ქალბატონო ეთერი, ხომ იცი, გაკვეთილზე მშობლების დასწრება რომ არ შეიძლებაო... დავიწვი სირცხვილით... მერე ტანად რამხელაა... წინ ხომ ვერ დავსვამ, ბოლოში მიზის, ბავშვებს რომ არ აეფაროს!.. მითხარი რა მოვუხერხო ამ ბედოვლათს, გავუშვათ მართლა ნახირში? იქ კი ივარგებს, ჰა?.. რამდენ სულსაც გაატანენ, უკან იმდენივეს მორეკავს?

ᲮᲐᲜ, ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲗᲔᲜᲔᲑᲣᲚᲖᲔ შემოგვესმებოდა საცერზე თითების ტკაცა-ტკუცი — ვარცლში, ჯერ ფქვილს გაცრიდა, მერე ზედ ჯამში გადმოფუებულ პურის ცომს მოაპირქვავებდა, შემთბარ წყალს დაასხამდა და წავიდაა... თავის პატარა ხელებით მოზელილი ცომის გორას დადგამდა. ბოლოს კიდევ მუშტებით გემოზე ჩაბუსკნიდა, ვარცლის ცალ მხარეს მიზვინავდა, მიაკოხტავებდა, ფქვილს მოაფრქვევდა, ხელისგულს დოლისპირივით დაუტყაპუნებდა და, არ გაცივდესო, ნაჭერს მიაფენდა.

აბა, ფიჩხი მოაგროვეთ და თონესთან დამიყარეთო, დაგვიბარებდა და წინა საღამოს ჩასწორებული საკონტროლოს რვეულებით სკოლაში წაბაკუნდებოდა.

ეგრე ჰქონდა გათვლილი, რა შეეშლებოდა, გაკვეთილებს რომ მოითავებდა, უკან მობაკუნებულს, ცომიც გაღვივებული დახვდებოდა.

მაშინვე თონეს ჩაუნთებდა და ცომს ამოაგუნდავებდა.

ფიჩხი და შეშა რომ ჩანაკვერცხლდებოდა, ცოცხით თონის კედელს მოაპრიალებდა, ორომზე დაბეკნილ, გაბრტყელებულ გუნდაზე თითები თითქოს ცეკვავდნენ... ყოჩაღი და ეგეთი? ერთი ციდა, ხილაბანდწაკრული, იმხელა თონის თავზე, ვერცხლისწყალივით ტრიალებდა. ჩაეკიდებოდა გაუსაძლის ალმურში და, ტკაცც! აიკრავდა გავარვარებული თიხა შოთ-ლავაშს.

მერე, სიმხურვალემ არ ალანძოსო, თუთქით გაანელებდა ნაკვერჩხალს და თონეს სიცხოველეში გამომხმარ, გამოტარანებულ ფიცრებს წააფარებდა.

პურს რომ ამოჰყრიდა, შესაგრილებლად ორომზე და თონის თავზე გაჰფენდა, თან ჩვენც მოგვხედავდა, იქვე სუფრას გაგვიშლიდა — ძალუაჩემის ამოყვანილ ნასვრეტებიან ყველს, წითელ ჭარხალში ჩამწნილებულ კომბოსტოს და დაბრაწულ პურის ყუას საჭმელად რა სჯობდა.

ახლა ლობიოს ქოთანსაც თუ ჩაადგამდა ღადარში და მწვანილეულით თავისებურად შეკმაზავდა ხომ მთლად უკეთესი, დაიხატებოდა ჩვენი სადილ-ვახშამი.

ყველაფერს გემრიელად შევექცეოდით, თვითონ კი, ჩემი ნაღველის გადამკიდეს, ყველისა და პურის მეტი არაფერი მეჭმევაო, იჯდა სახელურებგადაცრეცილ სავარძელში, ფერდთან, ტკივილისაგან შუბლშეჭმუხნულს ისევ თბილი სათბურა ედო და, მეც და შვილებსაც, მოსიყვარულე თვალებით შემოგვყურებდა...

გაზაფხული უყვარდა. ეზოს დაგვისას ღობეზე გადმოხრილ, ერთ ღამეში აყვავებულ ალუბლების ძირს დაცვენილ ყვავილის ფურცელს ცოცხს არ მიაკარებდა.

რამდენმა ალუბლის ყვავილობამ ჩაიარა.

დღეს ოცდაექვსი მარტია.

როგორც იქნა, კვერნაქის გადაღმიდან ბრდღვიალა მზე ამოკაშკაშდა.

ნელს გაზაფხულმა მოსვლა ძალიან დააგვიანა.

ერთხანს ვფიქრობდი, შეიძლება აღარც მოვიდეს-მეთქი.

მაინც მობრძანდა — საწერ მაგიდაზე წყლიან ჭიქაში ჩადებულ ორ პანაწინა ტყემლის ტოტზე კვირტი გასაშლელად დაიბურთა და სადაც არის ბატიბუტივით იფეთქებს.

პირჯვარს ვისახავ, ძალუაჩემს ისე ცხადად ვხედავ:

თავისი განუყრელი სათბურით, სავარძელში ჩაკარგული, მაგიდის წინ მიზის და თითქოს მე კი არა, ციცქნა ტოტებს უღიმის:

— ნაღველა მაგან ამატკივა, მაგანა, სწავლა რომ არ უნდა, რა მოვუხერხო ბიძაშენ კოწოსა, აღარ მეტყვი?

დედა

მახსოვს, ქალაქში რომ გაგვასეირნებდა, თვალს აყოლებდნენ.

მისი „ფრანცუზსკების“ ქუსლის ხმა მიყვარდა, კაკუნი და ოდნავ გაკვრა ასფალტზე, ვიწრო კაბა, შავი, მამაჩემის ნაყიდი.

როცა ქალაქში დაგვცხებოდა, წყლის „სოკოდან“ აივსებდა პეშვს და ისე გვასმევდა (ძალიან ზიზღიანი იყო, „სოკოს“ და საზდაწესებულებების კარების სახელურებს არ გვაკარებდა).

ჰოდა, როცა წყალს ვსვამდი მისი პეშვიდან, წყალზე მეტად მის ბეჭედზე ტუჩის დადება მიყვარდა — ოქროს რგოლი ეკეთა და კიდევ ერთი თვლიანი ბეჭედი. დავადებდი ტუჩს ამ ოქროს წყალში და გავიტრუნებოდი, ვითომ საქმეს ვაკეთებდი.

რაღაცნაირი გემო და სიგრილე იყო, აუწერელი, მყარი — თითქოს საკუთარ წიაღს დაუბრუნდი, თითქოს თავწყაროს სვამდი.

მერე სოფომ მითხრა, რომ თურმე იმასაც ეგ უყვარდა, ზოგჯერ წყალი სულ არ სწყუროდა, მაგ ტუჩის დადების ხათრით მოიწყურებდა ხოლმე.

დღეს დედას დაბადების დღეა. ჩვენი თვე დადგა — ნოემბრელები ვართ.

მამაჩემი ამ დღეებზე გიჟდებოდა — ნამცხვრები იყო სახლში.

ბორიას ტკბილეული უყვარდა? — კარლსონის რეკორდებს ხსნიდა!

ერთ დღეში სამლიტრიანი კაკლის მურაბა აქვს შეჭმული.

FENDER

მეტროს მატარებელში ბებო იჯდა ჩემ პირდაპირ. კუთხეში რომ სამი სკამია, იქ იჯდა, კართან, სულ შავებში ჩაცმული, გრძელკაბიანი, საყვარელი ბებო, ქვეყანას რომ სიყვარულით ათვალიერებს, ისეთი თვალებით.

შუბლი წაკრული ჰქონდა და გარედან კიდევ შავი თავსაფარი ეხურა.

ათვალიერებდა ხალხს და ვაგონს სიყვარულით, ნაღვლიანად.

მეც შემათვალიერა, მერე სხვები — ყველას ერთნაირი მზა სიყვარულით გვიყურებდა.

ერთ გაჩერებაზე ხალხი რომ გავიდა, შემოვიდა და დალაგდა, ბებოს თავზე ბიჭი დადგა, სულ ახალგაზრდა, ჯლიგინა ლამაზი ბიჭი, უპანკესი, თუ უროკერესი, მაღალი და გამხდარი, მთელი ატრიბუტიკით — ტყავის ბრასლეტები, ჯაჭვები, გადახეულ-გადმოხეული ჯინსი, მაისური, ტყავის ქურთუკი, გრძელი, ჩატალღული თმა — იქნევს ამ თმას ხასხასას, გადაიყრის, ენერგიად სკდება, არის ასე 18-20 წლის, ქვეყანა მისია. ცალი ხელი რკინის ძელისთვის ჩაუვლია ბებოს თავზე, მეორით გიტარა უჭირავს ბუდეში ჩადებული, გრიფზე უკიდია ხელი და ძირით ბოტასზე იყრდნობს.

გიტარის ბუდე მოკლეა თუ საგანგებოდ, გამოსაჩენად გახსნილია, არ ვიცი — ბუდიდან გიტარის გრიფს აქვს თავი ამოყოფილი და იმ თავზე აწერია, რომ დაგაჟრიალებს, ისეთი სიტყვა: „Fender“!

ახედა ამ ბებომ სიყვარულით, შეწრიალდა ცოტა — ჯგლეთაა, ბიჭი ტვირთით დგას, ცალი თავისუფალი ხელით თავს და გიტარას იმაგრებს.

მომეცი, ბებო, ამას დაგიჭერო, უთხრა — ისეთი სახე ჰქონდა, ადგილის დასათმობადაც მზად იყო, მაგრამ ადგილს ხომ არ შესთავაზებდა.

ბიჭმაც მისცა ეს თავისი მზე-ფენდერი.

არ მეგონა, თუ მისცემდა — არც ისე უჭირდა დგომა.

ამ მიცემით იცით, რამხელა ნდობა გამოუცხადა?

მე რომ ვერავის ვუცხადებ ჯერ ამ საკითხში, ვერ მივედი აქამდე.

ის კარგი ბიჭი იყო.

გამოართვა ბებომ, შეაწკუპა ფეხები, დაიბჯინა ამ ფეხებზე გიტარა ვერტიკალურად და ორივე ხელი ყელში მოკიდა გიტარის ბუდეს.

ბუდეც შავი იყო, ბებოს ტანსაცმელიც, ბუდიდან გიტარის გრიფს ჰქონდა თავი ამოყოფილი და ზედ ეწერა გამაჟრიალებელი სიტყვა „Fender“.

ვმგზავრობდით ასე — იდგა ბიჭი, მთლად თანამედროვეობის და მომავლის სუნთქვა, თმებს იქნევდა, ფეთქავდა.

იჯდა ბებო „ფენდერით“, მთლად წარსული, ატრიბუტიკისა და ამბიციებისაგან მთლად განძარცვული, მაგრამ „ფენდერით“ ეს იყო და არა — ის მფეთქავი ბიჭი.

და რაღაცნაირი უსახელო და მყარი ნათესაობა იყო ამათ შორის — შეხედავდი და მაშინვე მიხვდებოდი, რომ ეს „ფენდერი“, შავებიან ბებოს რომ უჭირავს და არაფერში სჭირდება, აი იმ ბიჭის ნაწილია, ფეხზე რომ დგას, თმას იქნევს და ისე მოუსვენრობს, თითქოს რაღაც ნაწილი აკლია.

და, მეორე მხრივ, იმასაც მიხვდებოდი (თუ გიტარის გამო გულის კანკალი გამოგიცდია), რომ ამ ბიჭმა იმ ბებოს ანდო „ფენდერი“!

და ბებო ამ ნდობას უფასებდა და სულ უფრო მეტი სიყვარულით და სიამაყით ათვალიერებდა ხან გიტარას, ხან — ხალხს.

თავი

მეზობელმა გოგომ საკუთარ დაზე შემომჩივლა.

მე საჭმლის ფული არა მააქო და ესა კიდევა, ჩავიდა აგერ მეტროსთანა და იმხელა თავი ამაიტანა, კარებში ძლივას შამაატიაო.

მეტროსთან ბაზრობაა და მე მივხვდი, რომ რაღაცის თავი იყიდა ამისმა დამ, მაგრამ ვერ გავიგე, რისი თავი.

რა თქვი-მეთქი, ვერ გავიგე. რა თავი?

აი, ამხელა თავიო, ხელები გაშალა, ოცდახუთი ლარი მიუცია თავშიაო, კარებში ძლივას შამაატიაო.

ეგ გავიგე-მეთქი, მაგრამ, რისი თავი? ღორის თავი, ძროხის თავი, თუ კომბოსტოს თავი? — ვეკითხები.

რა ღორისა?! თავის თავი! შეჭრა, დაბანა, დავარცხნა, აფუნგვა, მელირებაი, 25 ლარი მისცა თავშია, კარებში ძლივას შამაატია...

90-იანი წლები იდგა, მართლა ძვირი იყო — თავი 25 ლარად.

ახლა ამ ფასად ჩვეულებრივი პატარა თავი თუ მოგივა.

საქმიანი შეხვედრები

მამაჩემს დათვები ხვდებოდნენ ტყეში.

წაიღე თოფიო, ეუბნებოდნენ, უთოფოდ ტყეში როგორ დადიხარო?

არ უყვარდა თოფი. მიჰქონდა მხოლოდ თონის პურის ყუა და პატარა ნაჯახი სოკოს ასაცლელად. ჭყუბლა და ზერიკა სერიოზული სოკოებია, კაცური, შორიდან, ხშირად თოვლიანი მთებიდან მოსატანი, ნაჯახით ასათლელი.

ერთხელ მოუყვა კაცებს, ბელები როგორ შეხვდნენ. სად შეგხვდნენო? ამანაც უბრალოდ აუხსნა, რას იფიქრებდა?.. მეორე დღეს წავიდნენ კაცები და ბელი დაიჭირეს.

ამის მერე ძალიან ნანობდა, აღარავის უყვებოდა დათვებზე, ჩვენ გარდა.

ერთხელ მოვიდა ტყიდან და გვიყვება:

— მივდივარ, მიმიძღვის სამი დათვის სულ ახალი ნაკვალევი. ერთი ნაკვალევი არის დაახლოებით ამხელა — ხუთი თითი გაშალა, — და ორი ნაკვალევი არის ასე ამხელა — ამ გაშლილი ხელის ცერი მოღუნა, — ესე იგი, დათვია მოზრდილი ბელებით.

თბილისელი მეგობარი გვყავს სტუმრად, ხან ჩვენ შემოგვხედავს გაღიმებულ-შეშფოთებული, ხან მამაჩემს, გვაკვირდება სახეებზე. მამაჩემი კიდევ ყვება:

— მივედი, აგერ არ ტრიალებენ წიფლის ძირში სამივე! ჩამოვჯექი მოშორებით, ამოვიღე პურის ყუა, ვღეჭავ და ველოდები, როდის წავლენ. სოკოიანი წიფელაა.

ეს ჩვენი თბილისელი მეგობარი უკვე დაეჭვებული გვათვალიერებს, ესენი ნორმალურები თუ არიანო. ბორია მშვიდად აგრძელებს:

— ჯაკომო აყეფდა და მიუხტა. ჰოდა, ეს დედა დათვი შედგა უკანა ტორებზე, ზუსტად ადამიანივით, ამოიფარა ბელები უკან, გაშალა ხელები და ასე უკან სვლით და ღმუილით წარეკა ბელები და გადაიარა ბორცვი, ჩაიმალა. ბელებს ჯაკომო აინტერესებდათ, გამოყოფდნენ თავებს და ძაღლს აკვირდებოდნენ, და ეს დათვი წაუთაქებდა თავში, შეაყოფინებდა თავებს, ამოიფარებდა ზურგს უკან.

ჩვენმა დაქალმა მარტო მაშინ გაიცინა გულმოშვებულად, როცა მამაჩემმა თქვა:

— ცოტა ხანს ვუყურე და დავუძახე ჯაკომოს. მე ვთქვი, მართლა რო გაბრაზდეს ეს დათვი და გამოგვეკიდოს, ჯაკომო ქე გაიქცევა და მე სად წავიდე?

დედა სერიოზულად გაჯავრდა:

— ბორია, რაღა შენ გხვდებიან დათვები? ან რას მიყვებოდი ამ დათვების ნაკვალევს, ვერ გადაუხვიე?

ბორია ალალად გაოცდა:

— ლია, მე ვეძებ სოკოს, დათვები ეძებენ წიფს, და ორივე ასხია ნიფელას! ასე რომ, გვიწევს საქმიანი შეხვედრები, — მერე დაამატა, — ჯაკომო რო არ აყეფებულიყო, არაფერიც არ იქნებოდა. ისინი აიღებდნენ თავის წიფს, წავიდოდნენ, მერე მე ავიღებდი ჩემს სოკოს, წამოვიდოდი. მარა როგორ გინდა ჯაკომოს გააგებინო, დათვს რო დაინახავ, მშვიდად იჯექი და არ ინერვიულო?..

წიფელი ისხამს ამ სოკოს, თელაც. თან ყოველთვის და ყველგან არა. ამინდს გააჩნია, ადგილს და ბევრ რამეს. თავისი განრიგი აქვთ ამ ხეებს, ალღო, გონი, გამოთვლა უნდა. ბორია ჭკვიანი მესოკოვე იყო, ხელცარიელი არასოდეს დაბრუნებულა.

ყველა ნანადირევზე გემრიელია და ხორციანი იქაური, მთის ჭყუბლა და ზერიკა.

სოკო სოკოდ და ხორცისგან რაც კი კერძები მზადდება, ყველაფერი შეგიძლია გააკეთო ამ სოკოებისგან.

ოქტაირა

ჩემი პირველი ძმაკაცი იყო აზერბაიჯანელი ოქტაი. ერთ დროს დავიბადეთ, ერთ ეზოში ვცხოვრობდით და როდის დავმეგობრდით, არ გვახსოვდა, მეგობრებად დავიბადეთ.

პუტკუნა, ლამაზი ბავშვი იყო, უპუტკუნესი, ხროტინებდა სიპუტკუნისგან, და სელაპივით დარბოდა. დედამისი იჯრებსშორის ჭამას უკრძალავდა, არადა, ამას სულ ჭამა უნდოდა. მე კიდევ არც იჯრები შემეძლო, არც იჯრებსშორისები და ოქტაირა შემოიპარებოდა ჩვენთან, გვეხმარებოდა მე და სოფოს.

ამ დროს დედამისი მილკა დაუძახებდა, მანდ ხომ არაფერს ჭამო? არაო, მოიწმენდდა ეს ტუჩებს, გახედავდა დედას, შემობრუნდებოდა და გვეხმარებოდა ისევ გულიანად. მილკას ხმა არ მავიწყდება, ბროლის ფუჟერების ლიკლიკივით ხმა ჰქონდა — გრილი და ჰაერიანი.

კიდევ იყო გვერდით ეზოში ერთი ჩემი ტოლი ბიჭი, რამაშკა. მისი ძმა, საფარკა, სოფოს ტოლი იყო. ძმები — ჩვენი დროის ჰეკლბერი ფინები — სულ აჩაჩულები და ფეხშიშველები დარბოდნენ, გამურულები, კრავებივით ხუჭუჭები და დაუვარცხნელები, სულ რაღაც საქმეებს არჩევდნენ, გაიქცეოდნენ, გამოიქცეოდნენ, მოსაშიშო ბიჭები იყვნენ ვითომ, იმ სკოლამდელ და პირველკლასელ ასაკშიც.

ოქტაირას მისი ოჯახი ჩვენთან თამაშის რეკომენდაციას აძლევდა, საფარკასთან და რამაშკასთან — არა.

რამდენიმე წლის წინ ბაქოში რომ ჩავედით და ჩვენი ეზო ვნახეთ, ისე, უბრალოდ მივათვალიერ-მოვათვალიერეთ, კონკრეტულად არავის ვეძებდით, ნაცნობები იქ აღარ ცხოვრობენ, ოქტაირა საერთოდ აღარაა ამქვეყანაზე, ვისთან ხართო, ვიღაცამ გვკითხა. სანამ რამეს ვუპასუხებდით, ნეუჟელი ვი იხ ნე უზნალიო, მეორე სართულიდან დაეშვა რუსი წიოწია ნიურა, ეტა ჟე ბორკინი ძეწიო, სახელებიც ახსოვდა ჩვენი, ეს გამოხოხებული ბორკააო, ჩემზე თქვა, ეს ლიანკააო — სოფოზე. წიოწია ნიურა მეც მახსოვდა, ფაშფაშა საყვარელი ქალი იყო. სხვა ვერავინ გავიხსენე, შემოგვეხვივნენ, რაღაცები გამოგვკითხეს.

როგორც კი გამოვედით ეზოდან, ქუჩაში ორმა ბიჭმა ჩაგვიქროლა, სწრაფი ნაბიჯით და ქაქანით მიდიოდნენ.

ეს რამაშკააო, სოფომ იცნო. დავაკვირდი, მართლა ის იყო — ჩვენი ჰეკლბერი რამაშკა, გაზრდილი, თხელი, ირემივით შემართული და ლამაზი. ახლა უკვე დაბანილი და კინოვარსკვლავივით ბიჭი იყო. ისევ ისე შუა ქუჩაზე მოდიოდა გადაღეღილი და ისეთი წნევით და მიწოლით ლაპარაკობდა, აშკარად ისევ საქმეების გასარჩევად მიექანებოდა.

ენგურის ხიდი

გადავიარეთ დღეს ენგურის ხიდი და გადმოვიარეთ ისევ. მივბოდიალდით რუსეთამდე და დავბრუნდით უკან. უბრალოდ მივეხეტეთ — დავხედეთ და წამოვედით.

ასე რომ მივეხეტო ყოველდღე უაზროდ, დავენახო რუსებს, მავთულხლართებს, და წამოვიდე, არ დაკარგავს აზრს ეს ვითომ საზღვარი?

ან არ მობეზრდებათ და არ მეტყვიან, ჰე, მიდი, გადადი და იყავიო?

იქით დიდი აფხაზური დროშა და ჭუბურხინჯი...

ხიდზე მანქანის საბურავებიანი „ცხენტაჩკა“ — გადაჰყავს მგზავრები, გადმოჰყავს.

ენგურის ჭალები ძალიან ლამაზია — ბუჩქნარი, ხეები და სიმინდის ყანები შრიალებენ. ენგურიც ორადაა გაყოფილი — აქეთ მხარეს კრიალა წყალი მოდის, კენჭებამომჭვირვალი, იქით — მღვრიე. ხიდი ხიდია — საქონლის საგრილებელი.

ორი ძროხა იცოხნიდა ხიდზე და ორი ბოჩოლა ერთმანეთს კისრებს ულოკავდა კონფლიქტის ზონაში. ბოჩოლებმა ბევრი სამხედრო საიდუმლოება იციან, მაგრამ სამარე არიან. ჭალებზეც ჩანდა მობალახე ნახირი. ამათაც ეყოლებათ ნათესავები აფხაზეთში — მეზობელი სოფლებიდან ხომ ყიდულობენ ხოლმე ძროხებს.

კაცი მოდიოდა აფხაზეთის მხრიდან.

იმ გორას რა ჰქვია-მეთქი, დროშა რომ დგას?

გორას არ ვიციო და ეს ჭუბურხინჯიაო, მერე დიხაზურგაო, გაიქნია ხელი და გაიარა.

ძალიან შემიყვარდა ეს სახელი, დიხაზურგა...

როლანდ გიორგაძე

მარინე

— გივი, გეყურებაა?! — გასძახა ტელევიზორს მიციებულ მეუღლეს ასაკოვანმა ქალმა, — მაღაზიაში ჩავალ და მალე ამოვალ.

სანამ პარმაღს გადააბიჯებდა, სარკეში თავის ორეულს შეავლო თვალი, შეყოვნდა: „წლები, წლები, ჩემო მარინე... — ჩამოისვა სახეზე ხელი, — ზოგი ფულს აგროვებს, შენ კი — წლებს.“

სარკიდან წარსული სილამაზის ანარეკლი იმზირებოდა, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაეკარგა მომხიბვლელობა. პირისახე ნაზი და ელასტიკური, თვალები შუქიანი, მსუბუქი ღარები ჯერჯერობით მხოლოდ ცხვირის, თვალის და ყელის არედან იმზირებოდნენ ნაკადულის დამშრალი შენაკადებივით. „უცქირე, უცქირე, ჯერ კიდევ შეიძლება ცქერა. უცქირე, სანამ დაჭმუჭნილ ფურცელს არ დამსგავსებია. უჰ, დიდი ამბავი, მერე რა, ოდესღაც ხომ ვიყავი ახალგაზრდა, ლამაზი და მომხიბვლელი! — გაეპრანჭა ორეულს, — იქე თავი, იქე. რავა, ტყუილია თუ რა? ახალგაზრდულ ასაკში ყველა ლამაზი და მომხიბლავია. ისე, რომ იცოდე, სულაც არ მეშინია ღარების, გესმის შენ?! — შეეხმიანა სარკეს შიგნიდან, არსიდან, სულიდან, — აქ ისეთივე ახალგაზრდა და მომხიბვლელი ვარ, აქ ვერ მომწვდება შენი მსახვრალი ხელი, გაიგე? სულაც არ მეშინია შენი, სარკევ!“ — და ენა გამოუყო. ბავშვობიდან გამოყოლილ ჩვევაზე გაეღიმა, სარკეს ნიშნის მოგებით რომ გამოუყოფდა ხოლმე ენას. „აბა, რა გეგონა შენ?“

— წავედი, — კიდევ ერთხელ გასძახა მეუღლეს და კიბეზე დინჯად დაეშვა.

ქვედა სართულიდან მუსიკის ხმა შემოესმა, ვიღაც თავგამოდებით უკრავდა. შეყოვნდა. ყური მიუგდო. „აზარაშვილის ნოსტალგია. ვერაფერს იტყვი, კარგად უკრავს,“ — გაეღიმა. მუსიკამ ყმაწვილქალობა და სამუსიკო სკოლა გაახსენა...

— ცოტა თუ არ დავისვენე, მეტი აღარ შემიძლია, გამიშეშდა თითები, — ცამეტიოდე წლის კიკინებიანი გოგონა სკამიდან წამოიწია და როიალს მოშორდა. თმაზე ხელი მოისვა და კიკინები შეისწორა, — რა აკვიატება იცის დედაჩემმა, რაღა დროს ჩემი კიკინებია, ცამეტი წლის ვარ. სანოტო ჩანთით და კიკინებით ყველაზე ლამაზად გამოიყურებიო — მეტყვის ხოლმე. ის კი არ იცის, მოსაქაჩადაც რომ კარგი საშუალებაა, ხან ვინ მწვდება და ხან — ვინ. გამორჩეულად ვახტანგი — ბურძგლა. რა დღეშია! როგორც კი დროს იხელთებს, ეგრევე კიკინებში მწვდება. ვინ იცის, იქნებ მოსწონს კიდეც, — გაიფიქრა და გაეღიმა, — ისე, არც თვითონაა კარგ დღეში, გაბურძგნილი და უხეში თმის გამო ყველამ ბურძგლა შეარქვა. ჩემი გულისთვის ფიზკულტურის მასწავლებელმა სასტიკად გაიფრთხილა, — „შენ, ბიჭო, ჭურის სარცხელს რომ მიგიგავს თავი, ეგ გოგო აღარ შეაწუხო თუ არა, გაბურძგვლა მერე ნახე.“ ვითომ მეხუმრებიან. ეს რა ხუმრობაა!

გოგონა სასკოლო კონკურსისთვის ემზადებოდა. ფიქრობდა, თუ გავიმარჯვე, მერე საქალაქო კონკურსშიც მივიღებ მონაწილეობასო. „თუ გავიმარჯვე, თუ გავიმარჯვე...“ რეკავდა თავში ზარივით. ასკინკილით სარკესთან მიირბინა. სარკიდან თხელი და სიფრიფანა გოგო შემოსცქეროდა. წაბლისფერი თმა, წაბლისფერი თვალები, რომლებიც ბავშვურ უშუალობას ასხივებდნენ, ოდნავ კეხიანი ცხვირი და თხელი ტუჩები, რომლის ბოლოს მორცხვი ღიმილი გაკრთებოდა ხოლმე... მისი ტოლა გოგოები ნელ-ნელა უკვე ქალური ფორმებით ივსებოდნენ. თვითონ კი გაჩხინკული და ფიცარივით იყო, თუ არ ჩავთვლით უმნიშვნელო, პატარა შემაღლებას მკერდზე, რომელსაც მის გარდა ვერავინ ამჩნევდა. ისე კი, ბოლო დროს რაღაც უჩვეულოდ გრძნობდა თავს, თითქოს სხეულში ვიღაც ჩაუსახლდა, რომელიც მისი ნების გარეშე მოქმედებდა. თავბრუც ხშირად ეხვეოდა, ერთხელ სკოლაში გრძნობაც კი დაკარგა. ცივი წყლით მოასულიერეს. სკოლის ექიმმა, თვალებბრიალა, შნოიანმა ნათიამ ეშმაკურად გაუღიმა, თავზე ხელი გადაუსვა და უთხრა — ეგ არაფერი, ქორწილამდე დაგავიწყდებაო... დედისთვის არაფერი უთქვამს და გადაღლას დააბრალა. გავიმარჯვებ კონკურსში, დავისვენებ და ყველაფერი კარგად იქნებაო. ისევ კიკინებს მისწვდა, სახე დამანჭა და სარკეს ენა გამოუყო. მერე შებრუნდა, კლასობანას თამაშით, ხტუნვა-ხტუნვით აივანზე გავიდა, სადაც ბაბუა გაზეთს ჩაჰკირკიტებდა. თავი წამოსწია მხცოვანმა.

— გოგო, წლები რომ გემატება, ჭკუა აღარ უნდა მოგემატოს? რაღა დროს კლასობანაა? შენი ასაკისა ბებიაშენი უკვე გათხოვილი იყო და ოჯახს უვლიდა.

— მართლა? — გაიკვირვა თმაკიკინებიანმა, — კარგი რა, ბაბუ, ვისვენებ. თითები აღარ მივარგა, მთელი დღე როიალთან ვზივარ. ხვალ კონკურსზე უნდა გავიდე. თუ გავიმარჯვე, უფრო დიდ კონკურსში მივიღებ მონაწილეობას და აუცილებლად დაგპატიჟებ.

— მოდი აქ, ჩემთან, თხაბელა, მოდი. „თუ გავიმარჯვებ“ კი არ უნდა თქვა, აუცილებლად გავიმარჯვებ-თქო!

გოგონა მიუახლოვდა ბაბუას, რომელმაც ხელები მოხვია, გულში ჩაიკრა და თმაზე ეამბორა.

— აუცილებლად გაიმარჯვებ, ბაბუ, აუცილებლად! ახლა კი, აქ ხტომიალს გირჩევნია, ცოტა ხნით ეზოში ჩახვიდე და ბავშვებთან გაერთო? პატარა განიავდები, მერე კი ისევ მიუჯექი ინსტრუმენტს.

ბაბუა ურთულესი კრიმანჭულის უბადლო შემსრულებელი იყო მთელ რაიონში, კარგად იცოდა მუსიკისა და შრომის ფასი. ბევრს საოცნებოდ ჰქონდა მასთან ერთად სალხინო სუფრაზე მოხვედრა და ქეიფი. არაფერი ჯობდა მისი და მისი შვილების ხმაშეწყობილი ნამღერის მოსმენას.

სამუსიკო სკოლა ორ ნაბიჯში იყო, ქუჩის მეორე მხარეს. გულშემატკივრები არ გაუყოლებია, ბაბუასაც კი უარი უთხრა — ბაბუ, შენ რომ იქ იქნები, ვინერვიულებო. დედ-მამას ისედაც არ ეცალათ, სამსახურით იყვნენ დაკავებული. შეიმოსა იმ დროის შესაბამისად, ლამაზად და კოხტად, გაისწორა კიკინები და სანოტო ჩანთა მხარზე მოიგდო. ბაბუამ დაუძახა:

— დამენახე, გოგო, მაინტერესებს, როგორ გამოიყურები, — თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა შვილიშვილი. ჯერ გაეღიმა, მერე კი ხშირი, ჭაღარა წარბები მაღლა აზიდა და მკაცრი ხმით უთხრა, — რამდენჯერ გითხარი, ასეთი მოკლე კაბა არ ჩაიცვა-მეთქი! დიდი ხარ, ბაბუა, უკვე, დიდი. რას იტყვიან?! უჭირთ ალბათ, მისი ზომის კაბა ვერ შეუძენიათო. არა გვაქვს, ბაბუ, ჩვენ მაგის გაჭირვება, ერთი მტკავლით მეტი ზომის კაბა რომ ვერ შევიძინოთ. სირცხვილია, ბაბუ, სირცხვილი. ამ გრძნობას ძვირფასი განძივით უნდა მოუფრთხილდე. იცოდე, თუ კაცმა სირცხვილი დაკარგა, თავსაც დაკარგავს.

— მოდაშია, ბაბუ, მოდაში.

— კარგი, დღეს მიპატიებია, საზეიმო დღე გაქვს, მეტს არაფერს გეტყვი.

ბაბუა შვილიშვილს მოეხვია, მერე კარი გაუღო და გზა დაულოცა. გულში კი გაიფიქრა: ხვალიდან მაგ კაბის ლანდსაც ვეღარ იპოვი. ანდა რა უბედურებაა ასეთი მოკლე კაბები? რა მოდაა, როგორ შეიძლება უსირცხვილობა მოდა იყოს?! თუ ამ ტემპით გააგრძელეს კაბების დამოკლება, მალე ადამ-ევას ეპოქაში ამოვყოფთ თავს.

გოგონა კიბეებზე დაეშვა ღიღინით, თან ფიქრობდა, ყველას ასე აცვია და მე ბებია ეფროსინესავით ხომ არ შევიმოსებიო.

კონკურსმა მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. გოგონას აზრით, კარგადაც დაუკრა და პირველი ადგილიც დაიმსახურა. სიგელი მისცეს და თან გააფრთხილეს, საფუძვლიანად მოემზადე, საქალაქო კონკურსში მიიღებ მონაწილეობას და ჩვენი სკოლა არ შეარცხვინოო.

საქალაქო კონკურსი ერთი თვის შემდეგ უნდა ჩატარებულიყო. გულმოდგინედ მეცადინეობდა, საათობით. საქალაქო კონკურსში გამარჯვება გზას უხსნიდა დედაქალაქისკენ. არც თავს იზოგავდა და არც ოჯახის წევრებს. მეზობლებსაც კი დაუკარგა მოსვენება. კონკურსის დროც მოვიდა. ზაფხულის მზიანი და დარიანი დღე იყო. ფრინველთა ჭიკჭიკს და გალობას საზღვარი არ ჰქონდა. განსაკუთრებით მის აივანს შესეული მერცხლები ჟღურტულებდნენ. გაკვირვებული იყო, როცა დაკვრას დაიწყებდა, მერცხლები ჩუმდებოდნენ და როცა დაკვრას შეწყვეტდა, მაშინ აჭიკჭიკდებოდნენ. ბაბუამ უთხრა, გეჯიბრებიანო.

კონკურსზე ამჯერადაც არავინ გაუყოლებია. დათქმულ დროს მივიდა. შევიდა კულისებში და კონკურსანტების დაკვრას მიუგდო ყური. ძალზე ნერვიულობდა, მღელვარებისაგან ხელებიც კი უცახცახებდა. გამოაცხადეს ქალაქში ცნობილი სამუსიკო სკოლის წარმომადგენლის გვარი და სახელი. მისი ტოლი ბავშვი იყო. პირველ ნომრად კონკურსანტმა ვაჟა აზარაშვილის „ნოსტალგია“ შეასრულა. მეორე ნომრად — შტრაუსის ვალსი. თვითონაც ეს ნაწარმოებები უნდა დაეკრა. იჯდა გაყურსული. ყურში მონაწილეთა ჩურჩული ჩაესმა — ეს ბავშვი ქალაქში ძალზე ცნობილი პედაგოგის მოსწავლეაო. ყურადღებით უსმენდა. დაკვრის ოსტატობამ და საშემსრულებლო ხელოვნებამ გაკვირვება, გაოცება და აღტაცება გამოიწვია. მონუსხული ფიქრობდა — რა მაღალკვალიფიციურ დონეზე უკრავს! შესრულების რა ტექნიკაა! როგორ გრძნობს მუსიკას! რა თავდაჯერებულია! არ იგრძნობა შიში და შესულია მუსიკაში მთელი არსებით. ეტიუდს ისეთი სისწრაფით უკრავდა, თვალს ვერ შეასწრებდი თითების მოძრაობას. ლამის ცუდად გახდა, შიშისაგან გული მისდიოდა. მიხვდა, რომ ასე ვერ დაუკრავდა და მაღალ შეფასებასაც ვერ მიიღებდა. ამ აღმოჩენამ, მისდა გასაკვირად, შიშისაგან გაათავისუფლა, დამშვიდდა და დაწყნარდა. ახლა მოვალეობის მოხდის მიზნით თუ მიიღებდა მონაწილეობას. კონკურსისადმი ყოველგვარი ინტერესი დაკარგა, მხოლოდ იმას ფიქრობდა, თუ როგორ მოხვედრილიყო წარჩინებული კონკურსანტის პედაგოგთან.

კონკურსანტმა დაასრულა ნომრის შესრულება. ტაშმა დაანგრია დარბაზი. მიუხედავად მარცხისა, კონკურსიდან ძალზე კმაყოფილი და ბედნიერი წამოვიდა. მიაგნო იმას, რაც აკლდა. თუ როგორ უნდა გრძნობდე მუსიკას, როგორ უნდა იღებდე ბგერას და ეფერებოდე თითოეულ ნოტს.

სახლში მისულს ოჯახის წევრები შემოეგებნენ.

— ისეთი სახემცინარი ხარ, ალბათ გაიმარჯვე, — ყველას დაასწრო ბაბუამ.

სახემცინარი დუმდა.

— ეგოგო, გაგვაგებინე, რა მოხდა! ვახშმისთვის მოვემზადეთ და ერთი-ორი სტუმარიც გვეწვევა. როგორაა საქმე? — ჩაეკითხა მამა.

გოგონამ მოკლედ უპასუხა:

— ვერ გავედი კონკურსში.

ახლა გაოცებულმა დედამ ჰკითხა:

— აბა, რა გიხარია?

— ძნელი ასახსნელია, მაგრამ გეტყვით — მე, მართალია, კონკურსში ვერ გავიმარჯვე, მაგრამ ისეთი პედაგოგის შესახებ შევიტყვე, თუ მის სკოლაში გადამიყვანთ, მომდევნო კონკურსში აუცილებლად მივაღწევ წარმატებას. დედა, შენ უნდა დამეხმარო, აუცილებლად უნდა გადამიყვანო იმ სამუსიკო სკოლაში, უნდა მოველაპარაკოთ სკოლის დირექტორს.

ყველანი დუმდნენ.

— რა მოგივიდათ, რამ დაგაღონათ? დამიჯერეთ, მე იმ პედაგოგთან აუცილებლად მივაღწევ წარმატებას. მეტი რაღა გითხრათ? ახლა კი მე და დედამ მარტო უნდა ვისაუბროთ.

ყურებჩამოყრილი კაცები ცალკე ოთახში გავიდნენ. მარინეს დედა მუსიკაში დიდად ვერ ერკვეოდა, მაგრამ ნოტების ჩანთა გადაკიდებულს რომ დაინახავდა შვილს, სიხარულისაგან კანში ვეღარ ეტეოდა. რამდენჯერმე ცრემლიც კი მოსდგომია თვალზე.

— დედა, წარმოგიდგენია? მე ასეთი აღტაცებული და კმაყოფილი არცერთი კონკურსიდან არ წამოვსულვარ. გიკვირს, ხომ? ჩემი წინა გამოსვლები იმ ბავშვებთან შედარებით გართობა და თამაშობაა. მე მივაგენი იმას, რაც მაკლია. ამ აღმოჩენით ბედნიერი ვარ. დედა, მე ჩემსას აუცილებლად მივაღწევ, თუ იმ სამუსიკო სკოლაში გადამიყვან. ძალიან მინდა იქ სწავლა. გესმის, დედა?! ჩვენ აუცილებლად უნდა შევხვდეთ იმ სკოლის დირექტორს. მისი სახელი თურმე მთელ ქალაქში ქუხს. მისი ბავშ-

ვები კი არ უკრავენ, დაფრინავენ ინსტრუმენტზე, — ემოციებს ვერ ბოჭავდა მარინე.

გაოცებული შესცქეროდა დედა შვილს.

— მარცხით ასეთი გახარებული შენ გარდა არათუ შემხვედრია, არც გამიგონია. შვილო, შენ დაწყნარდი, დამშვიდდი, ჩვენ აუცილებლად შევხვდებით დირექტორს.

— დედა, ამბობენ, ძალიან მკაცრიაო.

— მერე რა? თუ სხვებს იღებს, ჩვენც მიგვიღებს.

— დედა, შეხვედრით კი შეგვხვდება, მაგრამ როგორმე უნდა დავარწმუნოთ, მიგვიღოს სკოლაში.

— კიდევ ერთხელ გეუბნები, დამშვიდდი, პატარავ. ხომ გაგიგონია, სიმშვიდე და მოთმინება წარმატების საწინდარიაო. ნუ გავუსწრებთ მოვლენებს წინ.

დედა შვილს მოეხვია, კიკინებზე მოქაჩა და შუბლზე აკოცა.

— ხვალვე წავიდეთ, შევხვდეთ. ვნახოთ, რა ქალია.

მეორე დღეს დედამ სამსახურიდან თავი გაითავისუფლა და შვილთან ერთად ხსენებულ სკოლაში გაემგზავრა. დირექტორის კაბინეტი მეორე სართულზე იყო. მოსაცდელში ყვავილივით ნორჩი გოგონა ყვავილებს დაჰფუსფუსებდა. ვარდისა და იასამნის თაიგულს საყვავილეში ანაწილებდა. გამაბრუებელი, საამო სურნელი იდგა. დედა-შვილი გოგონას მიესალმნენ და მოახსენეს მოსვლის მიზეზი.

— დაბრძანდით, — თავაზიანად მიუთითა ჩამწკრივებულ სკამებზე, — ახლავე მოვახსენებ, — და კარს მიღმა გაუჩინარდა.

მალევე გამოვიდა და გამამხნევებელი ღიმილით კაბინეტისაკენ მიუთითა. მათი შესვლისთანავე წამოდგა დირექტორი და გრძელ მაგიდასთან მიიწვია სტუმრები. დედა-შვილს დამაბრმავებლად ლამაზი ქალი შესცქეროდა. ძლივს გადადგა ფეხი მარინემ, მისმა სილამაზემ მონუსხა და დააბნია. წუთიერი გარინდება და უხერხული სიჩუმე დედამ დაარღვია. ყოველგვარი შესავლის და მიკიბვ-მოკიბვის გარეშე დაიწყო:

— მე მინდა, რომ ჩემმა შვილმა თქვენს სკოლაში ისწავლოს.

წამიერად შეცბა დირექტორი, ყურადღებით შეათვალიერა დედა-შვილი, მერე თავი ოდნავ გვერდზე შეაბრუნა, ლამაზი წარბები მაღლა აზიდა, ამაყად და აამასთან ერთგვარი თანაგრძნობით, უმშვენიერესი ხავერდოვანი, რბილი ხმით, თითქოს ყველა სიტყვას ეფერებაო, თქვა:

— მე, ქალბატონო, სხვა მუსიკალური სკოლიდან არ გადმომყავს ბავშვები. თვითონ ვზრდი და ჩემი ბავშვები საუკეთესოები არიან. მაპატიეთ პირდაპირობისთვის, მაგრამ თქვენ რომ გინდათ, ეს ჩემთვის ბევრს არაფერს ნიშნავს.

ცივი დუმილი ჩამოწვა, რაღა ეთქმოდათ, დედა-შვილი უსიტყვოდ წამოდგა ფეხზე და გასავლელისკენ გაემართა. ბავშვს ცრემლები წასკდა. კარებთან არ იყვნენ მისული, დედა რომ შედგა, შემობრუნდა და დირექტორს მიმართა:

— მე კი არ მინდა, ქალბატონო... ისე, რომ იცოდეთ, მუსიკალური სკოლა სახლის გვერდით მაქვს. როგორც მშობლისთვის, ჩემთვის ის უფრო მოსახერხებელია, მაგრამ ჩემმა შვილმა, კონკურსზე, სადაც თქვენი მოსწავლეები მონაწილეობდნენ, მათი დაკრულით აღტაცებულმა დანებით მითხრა: მე თუ ამ სკოლაში არ გადავედი, მაღალკვალიფიციურ მუსიკალურ განათლებას ვერ მივიღებ და საშუალოებში ჩავიკარგებიო. ქალბატონო, მუსიკის ბევრი არაფერი გამეგება, მე უფრო ბავშვის მომავალი მაწუხებს. ღამეები არ სძინავს... მაგრამ რა გაეწყობა, როცა თავს ზემოთ ძალა არ არის.

დედა კარისკენ შებრუნდა, ბავშვს ხელი ჩასჭიდა და გასასვლელისკენ გაემართა.

— ერთი წუთით, ერთი წუთით, ქალბატონო.

დედა-შვილი შემობრუნდა.

— დაბრძანდით!.. — მოსმენილმა ძალზე იმოქმედა დირექტორზე, თითქოს რაღაც გალღვა ამაყ ქალში, უჩვეულო მდგომარეობაში იყო, — მომიტევეთ, ცოტა ხანს დაყოვნდით, ბავშვს გავესაუბრები. თქვენი სახელი? — შემობრუნდა ბავშვისკენ და კდემით სავსე, საოცრად ლამაზი, მაყვალივით შავი თვალები შეანათა.

— მარინე, — მორიდებით უპასუხა ბავშვმა.

— მარინე, მომიყევი, მუსიკალური ნომრის შესრულებისას რა იგრძენი და რას მიხვდი. რატომ გინდა ჩემს სკოლაში გადმოსვლა?

მარინემ დაწვრილებით მოუთხრო თავისი განცდებისა და შთაბეჭდილების შესახებ, დასასრულს კი დაამატა და კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი:

— მასწავლებელო, კონკურსმა მე დამანახვა თქვენი სკოლის სიძლიერე. ბავშვი, რომელიც ნაწარმოებს უკრავდა, რაღაც გასაოცარი გრძნობით იღებდა ბგერას და გრძნობდა ნაწარმოებს. მეორე ბავშვი, რომელიც ეტიუდს ასრულებდა, უკრავდა საოცარი ტექნიკით. ამ ორი ბავშვის მერე საერთოდ აღარ მინდოდა გამოსვლა. მათი მოსმენის შემდეგ მივხვდი, რომ მათ ძალზე ჩამოვრჩებოდი და თუ თქვენს სკოლაში არ მიმიღებთ, ვერასოდეს გავხდები ისეთი შემსრულებელი, როგორიც თქვენი ბავშვებია, — ისევ ცრემლები მოაწვა აღელვებულ გოგოს და ცერა თითით მორცხვად მოიწმინდა.

— დამშვიდდი, დამშვიდდი და განაგრძე, — თბილად უთხრა პედაგოგმა და ბეჭზე ხელი მოუთათუნა.

— კონკურსის შემდეგ მივედი ბავშვებთან. ვკითხე, თუ სად იყო თქვენი მუსიკალური სკოლა და იქ გავიგე თქვენ შესახებ. მეც დავუკარი კონკურსზე და, მიუხედავად წარუმატებლობისა, ბედნიერი წამოვედი... დავამთავრე, მასწავლებელო... — მორიდებით წარმოთქვა თავჩაღუნულმა.

ღრუბელივით ჩამოწვა დუმილი. საიდანღაც შემოფრენილი ხატული პეპელა თავგამოდებით აწყდებოდა ფანჯრის მინას. დირექტორი წამოდგა, ფანჯარა გააღო. ტყვეობიდან განთავისუფლებული პეპელა ხალისიანად, ფარფატით შეერია სივრცეს. მასწავლებელმა თვალი გააყოლა, მერე შემობრუნდა, დუმილი დაარღვია და წყნარად წარმოთქვა:

— გასაოცარია! — ჩამოშლილი თმა შეისწორა და აგზნებული სახე ხელით გრაციოზულად მოინიავა, — გასაოცარია! — გაიმეორა კიდევ ერთხელ, — მარინე, შენმა ნათქვამმა გადამარწმუნა და ჩემი პრინციპების საწინააღმდეგოდ განმაწყო. გაკვირვებულიც ვარ და გახარებულიც. გაკვირვებული იმით, რთულ მუსიკალურ ნიუანსებს ეს პატარა ბავშვი როგორ ჩასწვდი. გახარებული იმით, რომ ასეთი ჟინი და მონდომება სწავლისა, ზოგადად, დიდ იშვიათობას წარმოადგენს. ახლა ასეთ წინადადებას შემოგთავაზებთ — მოგცემ ნაწარმოებებს და ექვსი თვის განმავლობაში იმეცადინებ ჩემთან. თუ შევატყობ, რომ მომყვები, იქნები ბეჯითი და მივიღებ ისეთ შედეგს, რომელიც მე მაკმაყოფილებს, მიგიღებ ჩემს მუსიკალურ სკოლაში. ისე, რომ იცოდეთ, მე ბავშვებს აღარ ვამეცადინებ. მარინე, გესმის, პატარავ? შენმა მონდომებამ, დაუოკებელმა სწრაფვამ სწავლისა ფარ-ხმალი დამაყრევინა. ხვალიდან ვიწყებთ მეცადინეობას. აბა, ხვალამდე! — წამოდგა დირექტორი და სტუმრები კარებამდე მიაცილა.

სიხარულით გაცისკროვნებული დედა-შვილი ფრთაშესხმული გამოვიდა კაბინეტიდან.

...და დაიწყო გზა გოლგოთისკენ. ყოველდღიური ვარჯიში იწყებოდა გამებით ოთხ ოქტავაში, აკორდებით, არპეჯოთი, ქრომატული გამებით. მარინე ხვეწდა ტექნიკას, ხელის სისწრაფეს. უზარმაზარი პასუხისმგებლობა მხრებზე აწვა და თავის აღების საშუალებას არ აძლევდა. არაადამიანურმა ძალისხმევამ, თავგანწირულმა მეცადინეობამ შედეგი გამოიღო, კმაყოფილმა მასწავლებელმა ბეჯითი მოსწავლე თავის სკოლაში მიიღო...

ეჰ, რამდენი დრო გავიდა! ეს ბავშვიც რა კარგად უკრავს...

როცა მეგობართა წრეში საუბარი მუსიკაზე ჩამოვარდებოდა, თავის მასწავლებელზე იტყოდა ხოლმე: ასეთი მოხდენილი ქალი არასდროს შემხვედრია — საშუალოზე მაღალი, შავი თმა და შავი თვალები, მერცხლის ფრთასავით მოქნეული წარბები, თეთრყირმიზა სახე, ზომიერი ტუჩები, ბალერინასავით ყელი, ხელის დახვეწილი მოძრაობა, პლასტიკური მიხვრა-მოხვრა, არისტოკრატული ჩამომავლობა... მთელი ქალაქი მასზე იყო შეყვარებული. რა სიტყვა-პასუხი! საუბრობდა დახვეწილი, კლასიკური ქართულით, არცერთი უცხოური და გაურკვეველი სიტყვა, კუთხურობის არანაირი ნიშანი; ქალი-მშვენება, უაღრესად პატიოსანი, გულმოწყალე, კეთილი, თავაზიანი და ამავე დროს პრინციპული. ჩემთვის ის ღმერთ-ქალივით იყო. ჩვენი ქალაქის კოლორიტი... ძალიან მინდოდა, მას დავმსგავსებოდი და ისეთივე ელეგანტური გავმხდარიყავი. ძალზე მიყვარდა. უსაზღვროა მისი ღვაწლი ჩემს პიროვნებად და მუსიკოსად ჩამოყალიბების საქმეში. ყველაფერში ვბაძავდი. რამდენი რამე ვისწავლე მისგან და დღესაც მის ნაკვალევს მივყვები, დიდი სიყვარულით და პასუხისმგებლობით ვაგრძელებ პედაგოგიურ საქმიანობას. ჩემი მანათობელი ვარსკვლავი იყო ცხოვრების გზაზე. როცა ცხოვრებაში რთული მომენტები დამიდგებოდა, გავიფიქრებდი ხოლმე — ნეტავ, ჩემი მასწავლებელი როგორ მოიქცეოდა-მეთქი. ამ ქალმა სხვა სამყარო დამანახა, იდუმალებით მოცული ჯადოსნური მუსიკალური სამყარო.

მთელი სიცხადით გაუკრთა თვალწინ თავისი ცხოვრების საეტაპო მოვლენა, რომელმაც მთლიანად განსაზღვრა მისი მომავალი.

დაკვრა შეწყდა. უკანასკნელი აკორდების ექო სადარბაზოს კედლებს მიეფინა. მარინე გამოერკვა, შეფუცხუნდა — დავტოვე კაცი მშიერიო, გაიფიქრა და აჩქარებული ნაბიჯებით ჩაუყვა კიბეს.



ლუკა ბასილაძე

თეთრი სიკვდილი

„მაგრამ მე მუდამ მემახსოვრება
შენი თოვლივით მკრთალი ხელები“.
გალაკტიონი

ძღვნად იმას, ვის სიფითრეშიც
იფურჩქნებოდა სულის მწვავე სევდა...

თოვლისფერი მოსაცმელი ეცვა. თხელ, ნაერთოვან ქსოვილს მოღიავებულად გამოეკვეთა მხრების გამხდარი, ძვლებამობურცული სილუეტი. მოღეღილი საყელო აჩენდა მოშიშვლებულ ყელს, რომლის მოვარდისფრო-მარმარილოსფერი კონტურები მქრქალად მოჩანდა სამოსის სითეთრის ფონზე. ხალათის მოგრძო, ფარფატა, თითქმის გამჭვირვალობამდე მისული ქამრის ერთი ბოლო ჩამომხრჩვალი ქალწულივით ჩამოკონწიალებულიყო, ხოლო მეორე ბოლო გამონასკვულიყო და მჭიდროდ ჩაჩურთულიყო გამონასკვისას ღიობად შემორჩენილ სიცარიელეში. ხალათი მხოლოდ მუხლებამდე სწვდებოდა. მოღიავებული ფეხები სიცივისაგან გალურჯებოდა; ქაღალდისებრ სიფითრეზე გამომკრთალიყო ლურჯი, თითქმის ცისფრამდე მისული, ლაქები. გამობურცული კოჭები კი იმდენად გასთეთრებოდა, რომ მთის დათოვლილ წვეროს მიუგავდა, მუდამჟამ თოვლითა და ყინულით რომ არის დაფარული. ფეხები თეთრსავე ქოშებისმაგვარ სახლის ჩუსტებში წაეყო და მუხლები გადაეკუთხებინა. ნათალი მკლავები ჰქონდა. ღია კანისფერი ჯერ აწითლდებოდა, ხოლო შემდეგ დამჯდარ წითელ ფერს იღებდა, ზემოდან კი წყლისფერი სილურჯე გადაჰფენოდა. საბოლოოდ ეს სილურჯეც ითქვირებოდა და სიფითრეში გადადიოდა. თითები ჰქონდა განსაკუთრებით ლამაზი...

ადრე ბევრად გამხდარი იყო. კარგად მახსოვს. ჩემი მეხსიერებიდან ჯერ არ წაშლილა მისი გამხდარი მტევნების მკვდრისფერი, კანგადაჭიმული სილუეტი, რომელშიაც აქა-იქ უადგილოდ, თუმც მაინც მშვენივრად, მოხდენილად წამომართულიყო რელიეფი ძვლისა. კანი, განწირული თხელი ქსოვილი, რომელიც სიცივისფრად შეფერილიყო, თითქოს სადაცაა გათოშილაო, ნატიფად, ერთობ ტკივილითა და სევდით ეკვროდა ძვლის მყიფე მოხაზულობას. აქა-იქ მეჩხრად მოჩანდა მოლურჯო-მოცისფრო, ზოგან მუქ მოიისფროდ მოსავათებული კლაკნილები, რომელიც სხვა არაფერი იყო, თუ არა ვენები, რომელთაც შეურყვნელად დაეოღროჩოღროვებინათ ქანდაკებისებრი კანი. თითებიც უცნაურად გამხდარი ჰქონდა. გამოჩხიკვული, ძვლის ფორმაზე მოყალიბებული, სიფითრისაგან მოჩუქურთმებული. თითქოსდა, კუნთები, ხორცისმიერი მასა სრულებით არ არსებობდა და სიფრიფანა კანი პირდაპირ ძვალთა გორაკებს ეკვროდა. ძვლისფერი ფრჩხილები თითების სიღიავეში ითქვირებოდა, იმღვრეოდა, უჩინარდებოდა. ლურჯი კლაკნილები თითოეული დაჭიმვისას საკმაოდ ამოიწევდა ხოლმე. ისე ბურცავდა თხელ კანს, თითქოს სადაცაა უნდა გახეთქოსო. ამობერილი ვენების ფონზე მტევნის სხვა ადგილები ქანდაკების ახლახან ამოჩირკულ, ჯერაც შეუშალაშინებელ ჩაღრმავებებს მოჰგავდა. არაფერი მინახავს ამაზე უფრო მშვენიერი...

განსაკუთრებით ყურადღებას მისი კანის სიფითრე იქცევდა. თითებზე, მთელ მტევანსა და მკლავებზე გადაფენილი კანი ქაღალდისფრად შეფერილიყო, რომელსაც თან გაბეცებული კანისფერი დაჰყვებოდა და მასში იმღვრეოდა თოვლის ნათელგამოჭერილი, კაშკაშა სიქათქათე. სიცივისას მტევნები ღიავდებოდა; იმდენად, რომ რთული იყო მისი ცხედრისაგან გამორჩევა. ამ სიმკვდრისფერზე ოღრო-ჩოღროდ წამოენთებოდა მელნისფერი სილურჯეები, რომელიც თავდაპირველად ღიად მოჩანდა, ხოლო დიდხანს დაყოვნებისას მეტ ინტენსივობას იძენდა და მუქდებოდა.

→

ლუკა ბასილაძე

თეთრი სიკვდილი

დასასრული

სითბოში შემოსვლისას მკვდრისფერს ნელ-ნელაობით ცვლიდა ჯერ დამჯდარი ცარცისფერი, შემდეგ გაბეცებული, სიმუქეშეპარული ქაღალდისფერი, სულ ბოლოს კი მოსანთლული თოვლისფერი. ლურჯი წერტილებიც, ინტენსივობაშეძენილი და მუქ ლურჯად წამონთებული, ნელ-ნელა იწურებოდა, იწრიტებოდა და ერთოდა კანის სიფითრეს. მათ ადგილას კანი, სხვადასხვა ფორმის კონტურებშემოვლებული, წამოწითლდებოდა, თუმც მალევე ეს სიწითლე სივარდისფრედ გადაიქცეოდა. მომნუსხველად მოჩანდა თეთრ კანზე წამოვარდისფერებული ეს წერტილები. ცოტა ხნის შემდგომ ვარდისფერიც დაწრეტას იწყებდა, ჯერ ნაწილ-ნაწილ, ნელ-ნელაობით ქრებოდა, ხოლო შემდგომ, თითქმის უკვე სულამოლეული და არსამოხაპული, წამიერად იმღვრეოდა სირძისფერში და თავადაც მოსანთლულ თოვლისფრად გარდაიქმნებოდა. დროის გასვლის შემდგომ ამ სიცივისფერს აქა-იქ თუ წამოუვლიდა ხოლმე კანისფერი, თუმც იშვიათად, შესაძლოა სითბოში.

ამომაღლებულ საზურგიან სკამზე იმდაგვარად მისვენებულიყო, რომ საზურგეს არ ეყრდნობოდა. მოყვანილი, დაკონტურებული მხრები მაღლა აესკვირა, ხოლო პატარა მკერდი წინ გამოეზნიქა. თეთრ ხალათზე შავი თმა სცემდა. ერთადერთხელ თუ მინახავს ამდაგვარ კონტრასტში ჩაქსოვილი ამხელა მშვენიერება! ძველად, ძალიან დიდი ხნის წინ... მაღალი მთის ერთ მიყრუებულ დასახლებაში, მდინარის უხვად დათოვლილ ნაპირზე დასვენებულიყო, თითქოს სძინავსო, ნორჩი გოგონას სხეული. ნატიფი, ფაქიზი... თმები, ნახშირისფერი თმები, ისე გაშლოდა თოვლიან საფარველზე, თითქოს ოლარი მოუსხამს თავზეო. ამბობდნენ, მარტოობამ მოინელაო. შესაძლოა, ასე არც იყო. არ მიცდია, ბოლომდის ჩავძიებოდი ამ ამბავს, თორემ იქნებ კიდევაც გამომერკვია რაიმე. იქნებ ასეც იყო. ადამიანი ყოველდღიურად განიცდის მარტოობას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ხალხით არის გარშემორტყმული, ასე რომ, რა გასაკვირი იქნებოდა მარტოსული გოგონას გარდაცვალება ერთ მიყრუებულ დასახლებაში. ადამიანი იტანჯება, ნელა-ნელა, ყოველდღიურად იწრიტება და უჩინარდება. ქრება, როგორც პირველი თოვლი. არაფერი შეედრება სიმარტოვის ტკივილს, განსაკუთრებით მაშინ, თუ მას ხალხში მყოფი განიცდი. საერთო აზრთა დაუკავშირებლობა, ამ აზრთა გაზიარების შესაძლებლობის არ ქონა დამღუპველია. ფიქრი საშინელებაა. იგი გღუპავს, გინელებს, განამებს... ყველაზე მტანჯველი კი ის არის, რომ თავს არ განებებს, სანამ ბოლომდის არ გამოგიფუღუროვებს სულის უშავბნელეს კუნჭულსაც კი. მარტოობა მტკივნეულია, მაგრამ ლამაზი და მიმზიდველია ეს ტკივილი. ცოტას თუ ძალუძს მარტოობაში სილამაზის, ერთგვარი პოეტური აღტყინების დანახვა. ბედნიერია ის, ვისაც ეს შეუძლია, ყველაზე ბედნიერი უბედური სხვა უბედურთა შორის.

თვალების მომრგვალებული ჭრილი ჰქონდა, ხოლო ამ ჭრილში ჩაბუდებული ორი ბროლის სფერო. თვალები სხვადასხვაფერად უელავდა: სინათლეზე — თაფლისფრად, ჩრდილში — მოყავისფროდ, ზოგჯერ — ჭაობისფრად, ხანდახან კი, თუმც ძალზე იშვიათად, ნაცრისფრად.

თვალები უცნაურად დაღაროდა. ერთის მხრივ, გუგის კონტურები სიყმაწვილის სიანცესა და მომხიბვლელობას ამოევსო, თუმც კი ამ მიმზიდველობას ერთიორად ამშვენიერებდა სულისეული, ღრმად განცდილი, ნაცრისფერი სევდა, რომელსაც ღრმა, წარუშლელი და აულაგმავი კვალი დაეტოვებინა გოგონას თვალებზე. თვალებში ჩაღვრილი მიმზიდველობა თუ სიანცე, რომელიც ასაკისეული პირმშოა, ჩამქრალიყო, ჩაფერფლილიყო. მოყავისფრო-მოწაბლისფრო თვალის გუგები, რომელშიაც არსებობდა ფერთა მრავალფეროვანი პალიტრის მონაცვლეობის შესაძლებლობა, ახლა ნაცრისფრად დანისლულიყო. აწ უკვე არსებულ სიამაყესთან ერთად, რომელიც უფრო მეტად ნაყოფი იყო ორჭოფული ასაკისა, მის გუნება-განწყობილებაში, რომელსაც ერთთავად გამოხატავდნენ მისი თვალები, შეჩურთულიყო სევდისა და დამცირების მტკივნეული სამსალა. თვალის კიდეებში არსებული ჩაწითლებები, სისხლისფერი რუები, კლაკნილად რომ დაუყვებოდა მთელ შორისპირეთს, ნიშანი იყო გოგონას თეთრად გათენებული ღამეებისა, ხოლო ამოწითლებულ-ამოსიებული ქუთუთოები კი ნამტირალევ თვალებს გათქვამდნენ.

მის თვალებში მრავალი გრძნობა ამღვრეულიყო და ისინი ხან ჰარმონიულად თანამოსახლეობდნენ, ხანაც გაშმაგებით, უსისხლოდ ებრძოდნენ ერთურთს. იმედგაცრუების მტკივნეულ განცდას ამოეხაპა უკანასკნელი ნაკვალევიც კი ბედნიერებისა და იგი მხოლოდღა სევდით, იმედგაცრუებითა და ტკივილით ამოევსო. მის თვალებს მომაჯადოებელი სილამაზე და უცნაური მიმზიდველობა შეეძინა.

წერისას ხელები უკანკალებდა. პირწამეხებული, გალაქული და მუქმოყავისფროდ შეფერილი ფუნჯით მონასმები ძლივძლივობით გამოჰყავდა. თითოეულ მონასმში, მოცახცახე ხელის გამო, დაღარულსა და დაკლაკნილში, კარგად იგრძნობოდა ის სულიერი ფორიაქი, რომელსაც გოგონა განიცდიდა. მისი შინაგანი მდგომარეობა და მისი მონასმებიც ერთნაირი იყო: აბურდული და გამოურკვეველი. ერთიორი იეროგლიფი მაინც ლამაზად, საამოდ გამოეყვანა. სულიერად დაცემული და განადგურებული იყო. სიწმინდეშელახული, გრძნობაარეული და გულამოგლეჯილი. ცდილობდა, სულიერი ტკივილი, აგრერიგად რომ ღრღნიდა და შიგნეულობას უჭიანებდა, არ გამოეხატა, ძირშივე ჩაეკლა, მაგრამ სიმწრით ჩამოცვენილ ცრემლებს ვერარას უხერხებდა. იქნებ ასეც სჯობდა? ყოველი ტკივილი, უსიამოვნო განცდა, შინაგანი უსიამოვნება გაეერთიანებინა, ერთურთში აეთქვირა და ცრემლების მეშვეობით გამოედევნა? იქნებ უკეთესიც იქნებოდა ყოველგვარი სატკივრისგან დაცლილიყო? ანდა სრულიად არ არსებულიყო? მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. ცრემლებს არ ძალუძდა მისი შინაგანი სატანჯველის დატევა. ისევ თავად უნდა გამკლავებოდა, შიგნითვე გამართულ, გაალმასებულ ბრძოლაში გაემარჯვა და დაეთრგუნა სიმწრის სამსალა. ეს კი ბევრად უფრო რთული და უიმედო ჩანდა.

ფუნჯი თიხის დასადებზე ჩამოდო და ერთხანს უმზერდა, როგორ იწურებოდა მელნის ყურძნისფერი წვეთები ყავისფერ ზედაპირზე. თვალი გაშტერებოდა. უმზერდა, მაგრამ ფიქრებით სრულიად სხვაგან იყო. ან იქნებ სრულებითაც არ ფიქრობდა? იქნებ უკანასკნელმა ფიქრმაც დატოვა და მუხანათად აქცია გვერდი? არა, რაღაცაზე მაინც ფიქრობდა. შეუძლებელია, არარაზე იფიქრო. ყოველთვის გეფიქრება რაღაცაზე, უბრალოდ, შესაძლოა, შენი ნააზრევი იმდენად არა სათვალავში ჩასაგდები, მიუღებელი, ღრმად ინტიმური ანდაც საშიში იყოს, რომ შენ არარად მიიჩნიო. ფიქრი ყოველთვის კარგია. სწორედ მასში ვლინდება ჩვენი შინაგანი „მე“ სრულყოფილად. მხოლოდ მას ძალუძს ჩვენში ღრმად დაფლულ, მალულად მიყუჟულ და სასტიკ „მე“-ს საბურველი მოხსნას და ბოლომდის გააშიშვლოს, ძვლებამდის, სულამდის, უკანასკნელ აზრამდეც კი. ფიქრი ხშირად საშიშია, მაგრამ საჭირო და გამოსადეგი.

მზერა ფურცელზე გადაიტანა. გათხაპნილი, ცახცახნაჭდევი კლაკნილები შეშინებულები, დაზაფრულები იმზირებოდნენ. ერთი მონასმი იმდაგვარი სისქითა და გახელებით გადასდებოდა მეორეს, რომ ლამის ქაღალდი ამოელპო. ქაღალდისფერი სიყვითლეშეპარული სიბეცე სიმუქითა და ტკივილით დაფარულიყო. რაოდენ ნათლად ასახულიყო მთელი სატანჯველი თითოეულ მონასმში! ტკივილი, ორჭოფობა, სევდა მჭიდროდ ჩაყუჭულიყო თითოეულ აცახცახებულ კლაკნილში. ყოველ მონასმს გამოეჭირა სატკივარი და ცდილობდა, დაეამებინა, თუმც კი ვერარას ხდებოდა.

ტკივილი ხანდახან დაუამებელია. შეუძლებელია ნამდვილი, პირველშობილი სატკივარი რაიმემ, როდისმე დააამოს და მითუმეტეს განკურნოს. მხოლოდ შეიძლება მცირე ხნით მიაძინოს, მოადუნოს, მისთვლიმოს, თუმც მხოლოდ იმიტომ, რომ ერთხელაც, ნაგროვები სიძლიერითა და შურისძიების გრძნობით აღვსილმა, გამოიღვიძოს და საბოლოოდ იძიოს შური. ტკივილს სიკვდილიც ვერას შველის. სიკვდილი მხოლოდ სატანჯველის რაციონალური წყვეტაა.

სწორედ ეს ტკივილი ასახოდა მთელ სახეზე: თვალებშიაც, იმ ღიმილშიაც, ხანდისხანობით რომ გამოუკრთებოდა დანაღვერდალებულ, ალმურავარდნილ სახეზე. აწითლებულ ლოყებზეც კი დამჩნეოდა რაღაც დიდი საწუხარი, იმდენად დიდი, რომ ჩამქრალი, წამებში ჩამცვივნულ-ჩაყვითლებული, ძვალგამოცლილი ღაწვები ლავისფრად ასტკიცვოდა. დაღონებულ, ნიღაბჩამოხსნილ კომიკოსს მოჰგავდა, რომელიც ცდილობს, სულიერი სატკივარი ღიმილისა და ფიზიკური გამონათებების უკან ჩაჩურთოს, ჩამალოს.

ცივი, ყინვაშეპარული ნიავი კი თავღიაობით მიმოქროდა მთელ ოთახში. არც უგრძნია. ღია სარკმლიდან შემომავალი ყინვანაკრავი სიცივე. იჯდა, იჯდა და თვალი და გონი სხვადასხვა რაიმესთვის მიეშტერებინა. ნიავი კი ქროდა... თავისთვის, ხელშეუხებლად, მალულად. გოგონა მას ვერ გრძნობდა. მხოლოდ ბროლის კიდეებმოჩუქურთმებულ ლარნაკში ჩასვენებულ ვარდს მოსჩვარვოდა, თითქოსდა, სიცივისაგან შეკუმშული ფურცლები, მუქმომწვანო ღერო, ახლა კიდევ უფრო მეტად რომ გამუქებოდა. ფურცლების სიწითლესაც დასტყობოდა სიბერისეული ჩამუქებანი. შემცივნულიყო... უცნაურად თრთოდა და ცახცახებდა. ოთახში მხოლოდ ყვავილიღა გრძნობდა რაიმეს, განსაკუთრებით კი მალულად შემოძურწული ნიავის სასტიკ ყინვას. ფურცელზე გათხაპნილი მელანი უკვე გამშრალიყო, დამჯდარიყო და დავანებულიყო. წინანდელი სისველე სრულებით დაეკარგა. აივნის მოაჯირზე თოვლი თხელ ფენად დადებულიყო, იმდაგვარად, რომ რთულად შეიმჩნეოდა. ძვლისფერი სახელოებიდან გამოჩრილი გაფითრებული მაჯა და ლამაზად მოყვანილი თითები გოგონას გალურჯებოდა. სილურჯე ნელ-ნელაობით იისფერში გადადიოდა. თვალებიც გაჰყინოდა. უემოციო, დანისლული, დათოვლილი გახდომოდა. აღარც რაიმე სწამდა და აღარც რაიმე სურდა. ერთადერთი რამ ეწადა... ერთადერთი...

* * *

მეორე დღეს, შებინდებისას გარდაიცვალა. სულ უბრალოდ, მარტივად... ციებცხელების გაშმაგებულ შემოტევას ველარ გაუძლო ნაგვემ-ნატანჯმა სხეულმა, მართლად კი სულმა. ერთადერთი შიში ჰქონდა მთელი ცხოვრება, არ უნდოდა წყალში დამხრჩვალიყო და ასე დაღუპულიყო. უცნაური შიში დასდევდა მუდამჟამ. ამაში მაინც გაუმართლა... აღარ შეეძლო მეტის ატანა, რასაც გაუძლო, ისიც გასაკვირი და საცნაური იყო.

უბრალო საფლავში უბრალოდვე ჩაასაფლავეს. საფლავზე ერთადერთი ვარდი იდო: ფოთლებშემომჭკნარი, ღეროჩამუქებული, ფურცლებკიდეებშეფომფლოვებული, რომელსაც ზედ უხვად ათოვდა. წინა საღამოს მსგავსად ახლაც თოვლისფრად შემოსილიყო, თუმც განსხვავება უზარმაზარი იყო...

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა
და სპორტის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 772346 794004